1978 2

16

მთავარი რედაქტორი **ᲨᲝᲗᲐ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ**

სარედაქციო კოლეგია: ᲛᲖᲘᲐ ᲑᲐᲥᲠᲐᲫᲔ, ᲑᲐᲩᲐᲜᲐ ᲑᲠᲔᲒᲕᲐᲫᲔ, ᲤᲐᲜᲐ ᲓᲐᲠᲩᲘᲐ *(პასუხისმგებელი მდივანი)*, **ᲛᲐᲒᲐᲚᲘ ᲗᲝᲚᲣᲐ, ᲜᲝᲓᲐᲠ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ᲙᲐᲠᲚᲝ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ, ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ, ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲔ, ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘ ᲙᲝᲢᲔᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲚᲝᲠᲗᲥᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ, ᲠᲝᲛᲐᲜ ᲛᲘᲛᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲝᲗᲐᲠ ᲜᲝᲓᲘᲐ, ᲜᲘᲙᲝ ᲧᲘᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2
15981

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო
კოლეგია

[illegible]

ალეფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს მწერალთა კავშირი

შინაარსი

პროზა

ჰენრიკ სენკევიჩი. მეშუქურე. მოთხრობა. პოლონურიდან თარგმნეს სტანისლავ რავიჩმა და თენგიზ პატარაიამ 12

ვიქტორ ასტაფიევი. ბერმუხელა. მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა გიგი ხორნაულმა 25

ვასილი შუკშინი. მრწამს! მოთხრობა. რუსულიდან თარგმნა გია ჭუმბურიძემ 83

ფრიდრიხ დიურენმატი. ბერძენი ეძებს ბერძენს. კომედია პროზად. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა 93

პოეზია

ალექსანდრე ტვარდოვსკი. ლენინის ხსოვნას. პოემა. რუსულიდან თარგმნა ოთარ ჭელიძემ 5

რუმინული პოეზიის ანთოლოგიიდან. ლექსები. თარგმნა ოთარ შალამბერიძემ 91

სტეფენ კრეინი. ლექსები. ინგლისურიდან თარგმნა ოთარ ჩხეიძემ 185

2
(23)
მარტი
აპრილი

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ალმანახი

1978

შინაარსი

დოკუმენტური პროზა

ლეონარდ მოსლი. გზა პრალისაკენ. დასასრული. ინგლისურიდან თარგმნა ალექსანდრე ჩიკვაიძემ 192

ლიტერატურული მემკვიდრეობა

ფან-ფაკ რუსო. ჟიული ანუ ახალი ელოიზა. გაგრძელება. თარგმნა ნიკა აგიაშვილმა 216

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ზურაბ კიკნაძე. შენიშვნები ჰერმან ჰესეს გროშურაზე „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“. 222

გარეკანზე: ვ. სეროვი. გოგონა ატმებით

ალექსანდრე ტვარდოვსკი

ლენინის ხსოვნას

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოემა

რუსულიდან თარგმნა ოთარ ჭელიძემ

1

ყრუ და მიკარგულ თემში, ზღვარივით
ტყე რომ შესცქერის სოფლებს მეზობლად,
ამბავი იგი გულშემზარავი
მარხილს კვალდაკვალ მოჰყვა ჩემსობას.

მან ჯერ ადრევე მოვლო ციხეებსა
მთელი პლანეტა ელდაჩართული
და ბურთს აღუვსო დედამიწისას
საშინელ ამბით ყველა მავთული.

აქ კი, შორეთი რომ არ მიქვია,
რომ მიყუჟულა სადღაც ნუგეშით,
საყვირთა ხმაც კი არ გაგვიგია,
ქარიღა სტვენდა საკვამურებში.

მაგრამ იმ მძიმე ჟამს ზაგორიე —
ჩემი ტყიანი და ყრუ სოფელიც
საგანგებოს მხარში ედგა სწორივით
საქვეყნო დარდით განუზომელით.

იდგა მთვლემარე თოშში, ყინვაში,
თოვლით დაზვინულ სახურავებით
შეძრწუნებული ქვეყნის წინაშე
დუმილი მკაცრი, ღრმა მწუხარების.

მინდვრად მარხილის ფრჩხილას ქვითინი,
ხმაგამწივანი კვნესა წეროთა —
მკაფიო, მკვეთრი, როგორც ტკივილი,
აქედან კრემლის კედლებს წვდებოდა.

ისევ და ისევ რას გვეძახოდა
ხმები უწყალო, ძნელასატანი,
როდესაც უკვე ითქვა, რაც მოხდა,
როდესაც უკვე გვესმა ნათქვამი.

იმ საშინელი ამბის ამარა
კაცს მარტოობა როდი შველოდა,
იმ დღეს სუყველა — დიდი, პატარა —
ერთად შეგვყარა სკოლის შენობამ.

და ვიდრე ხალხის ტალღა მდუმარე
დათოვლილ შუკებს უხმოდ ავსებდა,
საჭირო გარჯა და საზრუნავი
არ ილეოდა უფროსკლასელთა.

რას ვუშველიდით უსაშველობას!..
ტყეში ჯგროებად დავაბოტებდით
და მწვანედ ვრთავდით სკოლის შენობას
ყინვით გათოშილ ნაძვის ტოტებით.

არა ბავშვური საქმით, სიმწარით
ვიყავით სავსე, როგორც იმ დილით
იყო აღსავსე რტონი წიწვნარის
ზეიმით არა, ღრმა სიმძიმილით.

განა ზეიმმა, გლოვამ შეგვყარა,
სიმწრის წუთებში შთაგონებულნი,
სკოლის კედლიდან რომ დაგვეხარა
წითელი დროშა — შემოვლებული.

სუსხში, დათქმულ დროს, თავის ვადაზე
ხალხი მოადგა სკოლის კარიბჭეს,
ახალმორეცხილ, სველ იატაკზე
ზღურბლიდან მძიმედ შემოაბიჯეს.

წესრიგზე სიტყვაც არ დაცდენილა —
კრებებზე ბევრჯერ შეხსენებული,
რა წამსაც ჩვენმა მასწავლებელმა
ჩუმად გაშალა მერხზე რვეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არვინ დამჯდარა... თითქოს სავსენი
იდგნენ გამოთქმის ძალადახშულნი,
არა მარტოდენ ღრმა მწუხარებით,
არამედ რაღაც დანაშაულით.

იდგნენ, უხეშად კონკებდადებულ
მხრებჩამოშვებულ ცხვრის ტყაპუჭებით,
და ბევრს — მოსმენილ სიტყვით ანთებულს
უმოძრავებდა უხმოდ ტუჩები.

იდგნენ მრისხანე სახით ერთიან,
უსმენდნენ მწარე ფიქრს აყოლილნი,
გულებში ფრთხილად რომ ჩაეტიათ,
რომ ჩაემწყვდიათ სიტყვა ყოველი!

და იმ თავშეყრის, გლოვის სიწრფელე
ხსოვნაში წლობით უფრო ახლდება,
ხალხის დიდ იმედს და სიძლიერეს
ვხედავ მე მასში უქრობ სახებად.

განა თავდახრილს მწუხარებისას
მას არ ავსებდა მზედ ჩასახული
სულისკვეთება, რითაც ელირსა
გმირობა, ქვეყნად ჯერ არ ნახული?

სულისკვეთება, მსხვერპლის გაღების,
რასაც აროდეს ითხოვ მავანთგან,
წარსულზე ძნელად ხელის აღების,
შეხვედრის — თავის დიდ მომავალთან!

სულისკვეთება, გზნებით აღსავსე,
სასწაულებრივ შრომით მიღწევებს,
ბედნიერებას შობს ქვეყანაზე,
დიდებას — ბრძოლით რომ იმტკიცებენ.

განა ის ცეცხლი არ გახანძარდა,
გულებს არ სწვავდა გლოვამორეულს,
დიდ სვეტებიან დარბაზს არ ძრავდა
და ჩემი სოფლის სკოლას შორეულს?

დიახ, იმ საათს, რომ ვაცილებდით
ბრძენ მასწავლებელს, მამას, მეგობარს.
ჩვენ მოვიპოვეთ გლოვის ცრემლებით
ბოლო მიზნამდე გზა და მედგრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2

არის ობოლი სულის ვარამი —
გლოვა ახლობელ ადამიანის.
ცოცხლობს წუხილი გულში ვადამდე,
როგორც დღემოკლე — მრავალდღიანიც.

მაგრამ სახალხო დარდი არ წყდება,
ვერ განუსაზღვრავ ძალაუფლებას,
შვილიშვილების გულებს გასწვდება
და შვილიშვილის შვილთა გულებსაც.

ჩვენ საზრუნავთა გამო მარტოდენ
მოვლა გვევალა ბედით კუთვნილის,
წუხილი კი არ გავიბატონეთ,
ჩუმად ვიხშობდით მკერდში ყრუ ტკივილს.

ვყოფილიყავით მაშინ სხვაგვარნი,
ქედმოხრილები გულდანალვლებით,
იმ წმინდა ხსოვნას, როგორც საპყარნი,
ვერ მოვუვლიდით, ვულალატებდით!

ვუთხრათ ერთმანეთს, ვით ამხანაგი
ეტყვის ამხანაგს, ძმა — ძმას გულწრფელად,
არ იკარგება ის დანაკარგი,
წლების ქროლვაში რჩება უცვლელად.

ალბათ, რაც ახლო მივალთ მიზნამდე,
თვითონ ილიჩმა რომ მოგვანიშნა,
არ გაძნელდება გლოვა მისადმი,
და უფრო მეტად მოგვგვრის კაეშანს.

დაკაცებულან გარჯა-ბრძოლაში
ჩვენი საბჭოთა ქვეყნის ერები
და თავისუფალ ხალხთა ოჯახში
ერთად იღწვიან ბედნიერები.

ქვეყნის ღირსეულ, დიდ გამარჯვებებს
უზღავს საკადრის ხარკს ისტორია,
ნახევარ მილეთს ვინც გზას აჩვენებს,
მისი ცხოვრების არსი სწორია.

მას პოეტები ჰიმნებს უქმნიან,
ყველა — მცირე თუ დიდი ქვეყნისა,

ნეტავ მან ნახოს, რაც სხვებს უჭიათ,
რის ხილვაც მხოლოდ ფიქრით ელირსა.

ნეტავ ის, ნეტავ... როგორც მშობელი
ჩვენთან დგებოდეს ახლა ბელადიც,
ამ სევდით ფიქრი რა ახლობელი
და რა ნაცნობი გახლავთ ყველასთვის.

არ წაიშლება გლოვის თარიღი,
ხსოვნის ცეცხლივით მარად ანთია,
და ვგრძნობთ დანაკარგს გულზე დაღივით —
ხანდაზმულობა არ აბადია.

უზომო არის იგი, უვადო,
ჟამთასვლას ჩვენით გაუმკლავდება,
როგორც ლენინის საქმე უკვდავი,
მისი ხსოვნაა გაუკვდავება.

3

განა ათასი წელი გასრულდა,
რაც ის ზამთარი გაქრა, ძმობილო,
რაც დიდს და მცირეს ცრემლი დასცურდა,
რაც ულენინოდ დარჩა მსოფლიო.

რაც მან საგახტო დარდად ქცეული,
ყველა სოფელი ელდით დაბინდა,
კი არ გასრულდა ათასწლეული,
მაგრამ, იქნება, მეტიც გავიდა...

და მახსოვს მძიმე, მკაცრი დარდისგან
წუხილით სახეგაფითრებული
სკოლიდან ღამით ხალხი დაიძრა
შინისკენ — მწარედ დაფიქრებული.

აი, ჩარაზა კარი დარაჯმა
და გამომკეტა ჩუმად წყვდიადში,
იმ კლასში, სადაც არვინ არ დარჩა,
მკვდრულ და ცარიელ მწუხრის წინაშე.

ქარბუქის შიშით შინ არ წავედი,
ღამე ვათიე ავდარიანი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შავ წელიწადს ვიყავ ცამეტის,
დღეს ჩემთვის შორი ადამიანი.

ბეწვის ქუდიანს მეცვა მაუდის
ხიფთანი სრული — ზრდის ანგარიშით,
იმ ღამისთევის ხსოვნა მარადის
დამქონდა წლობით, დიდ გასაჭირშიც.

ლურჯად აჩენდა სარკმლის მინაში
ნამქერებს მთვარე — ცივი, შუქმკრთალი,
და თითქოს მარტო კუბოს წინაშე,
დავრჩი ილიჩთან ჭირისუფალი.

საშიში მაშინ ვერა ვნახე რა,
რამდენ საათსაც დავრჩი მარტოკა,
მაგრამ მისადმი მწველმა ნაღველმა
უცებ მომიცვა და შემატოკა.

თუმც იმ შორეულ უჟმურ წელიწადს
ჯერ ბალღი ვიყავ მთელი არსებით,
წიგნთაგან, რაც მას დაუწერია,
ჯერ არ მჭერია ხელში არცერთი.

მინახავს მხოლოდ მისი პორტრეტი,
უფროსებისგან მასზე მსმენია.
არა უმეტეს ჩემი ტოლების,
იმ ყრუ მხარეში რაც მომწვდენია.

ოღონდ ეს მახსოვს დარდით მინავლულს
ძილად მაწვენდა გრძნობა ასეთი,
რომ ჩემზე ძლიერ და დიდ სინანულს
არ განიცდიდა ქვეყნად არცერთი.

რომ იმ გარდუვალ დღეს მღირსებოდა,
სიკვდილი თუმცა ვის არ აშინებს,
მის ნაცვლად შავი ხვედრი მრგებოდა,
ვანაცვალებდი ჩემ თავს მაშინვე —

თუ გზა ასერიგ არ შეიცვლება,
მინდა ერთგული ჯარისკაცივით,
რომ დავიღუპო, აუცილებლად,
მისი საქმისთვის თავის განწირვით.

ვემსახურები მე მას გულწრფელად,
სიცოცხლეს მისთვის მსხვერპლად გავიღებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაც მივალწევ მის დაუსწრებლად,
ილიჩი თუმცა ველარ გაიგებს.

მე სიყვარულით დაუცხრომელით
პირველი წრფელი ფიცი წარმოვთქვი,
თავქვეშ კი მედო ჩანთა სოველი
ჩემი ცრემლების თბილი წყاროთი.

ძლივსღა მივლულე თვალი იმ ღამეს,
დაღლილს მეძინა ასე დილამდის.
ეზოდან შეშა შემოიტანეს,
ჩუმად დამადგა თავს განთიადი.

გარეთ გმინავდა მკაცრი ზამთარი,
ქუჩას მისდევდა, რეკდა ზარ-ვიშით
დაუვიწყარი წლის იანვარი...
იმ წელს შევედი მე კომკავშირში.

□

ჰენრიკ სენკევიჩი

მეშუქურე

მოთხრობა. პოლონურიდან

თარგმნეს სტანისლავ რავიჩმა და თენგიზ პატარაიამ

მოთხრობას საფუძვლად დაედო ნამდვილი ამბავი, რომელსაც იხსენიებს ი. ჰორაინი[1] ამერიკიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში.

I

ერთ დღეს, ასპინუოლის[2] შორიახლო მდებარე კუნძულიდან უგზოუკვლოდ დაიკარგა მეშუქურე. ეს ამბავი ქარიშხლის დროს მომხდარა და ამიტომ ფიქრობდნენ — ის უბედური წყლის პირას ჩავიდოდა და აზვირთებული ზღვაც ნაპირიდან გაიტაცებდაო. ამასთანავე ნავიც ველარსად ნახეს, რომელსაც მეშუქურე იქვე ტოვებდა ხოლმე, კლდოვან ნაპირზე და ამ ვარაუდსაც თითქოს წყალი არ გაუვიდოდა. ასე იყო თუ ისე, შუქურა უპატრონოდ დარჩა და ახალი მეშუქურეც რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა მოეძებნათ. შუქურას ხომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც პატარა, ისე დიდი გემებისათვის, პანამასა და ნიუ-იორკს შორის რომ დაცურავდნენ. მოსკიტოს ყურეში ბევრია თხელი ადგილი, აქა-იქ გემი ბრაგასაც წაეწყდება ხოლმე და გზის გაკვლევა ყურეში დღისითაც ჭირს, არამცთუ ღამით. ნისლის დროს კი, მალი-მალ რომ ჩამოწვება სუბტროპიკული მზით გამთბარ წყლებზე, აქ გასვლა თითქმის შეუძლებელიცაა; გემებს შუქურას სინათლე თუ მიანიშნებს გზას. ახალი მეშუქურის მოყვანა შეერთებული შტატების კონსულმა ითავა, — პანამაში კონსულს რეზიდენცია ჰქონდა, მაგრამ მეშუქურის გამოძებნა არცთუ იოლი საქმე გამოდგა: ჯერ ერთი, შემცვლელი აუცილებლად თორმეტ საათში უნდა მოენახათ, მეორეც, პატიოსანზე პატიოსანი კაცი უნდა შეერჩიათ, — აბა ვინმე ვიგინდარას ხომ არ მიანდობდნენ ამ საქმეს; და არჩევანიც გაჭირდა. კუნძულზე ცხოვრება ძალზე ძნელია და

[1] იულიან ჰორაინი (1821—1883) — პოლონელი ჟურნალისტი, რომელიც ვარშავისა და კრაკოვის გაზეთებს კორესპონდენციებს აწვდიდა ამერიკიდან.

[2] ასპინუოლი — ზღვისპირა ქალაქი პანამაში.

ხეტიალის მოყვარული სამხრეთელი აქ ვერ გაჩერდება. მეშუქურე ამავე დროს პატიმარიცაა: კვირა დღის გარდა თავისი კბოდოვანი კუნძულიდან ფეხს ვერ მოიცვლის. დღეში ერთხელ ასპინუოლიდან გამოგზავნილი კაცი ჩამოუზიდავს სურსათ-სანოვაგეს და უკანვე ბრუნდება, სხვა გამომლაპარაკებელი კი იმ ერთ-ქცევა კუნძულზე მეშუქურეს არავინ ჰყავს. ცხოვრობს ასე მარტოდმარტო; დღისით ბარომეტრის მონაცემებით აძლევს გემებს ნიშანს, — ხან ერთი ფერის ალამს გამოკიდებს კოშკურაზე, ხან მეორე ფერისას, ხოლო საღამო ხანს შუქურას ანთებს. ეს კიდევ არაფერი, ყველაზე უფრო მაინც შუქურაზე ასასვლელი ხვეული კიბე აწამებს: ვინ მოთვლის, რამდენჯერ უწევს ამ კიბეზე ასვლა-ჩამოსვლა. ერთი სიტყვით, ბერისა ან განდეგილის გარდა კუნძულზე სხვა ვერავინ გაძლებს. ჰოდა, სულაც არაა გასაკვირი, რომ მისტერ ისააკ ფალკონბრიჯი გაუთავებლად სცემდა ბოლთას, წუხდა, — ასე უცებ საიდან გავაჩინოო მეშუქურე. ახლა მისი სიხარული წარმოიდგინეთ, როცა ამ ადგილის მსურველმა თვითონ მოაკითხა. სტუმარი ჭარმაგი ბერიკაცი აღმოჩნდა, იქნებოდა ასე სამოცდაათს მიტანებული, შეიძლება მეტისაც; მიუხედავად ასაკისა წელში გამართული დადიოდა, ტანიც მოქნილი ჰქონდა და სამხედროსავით წარმოსადეგი გახლდათ, მაგრამ თმა, ეტყობა, კარგა ხანია გათეთრებოდა. მის გარუჯულ კანს რომ შეხედავდი, იფიქრებდი, კრეოლი[1] იქნებაო, თუმცა ბერიკაცის ცისფერი თვალები დაგარწმუნებდა — სამხრეთელი არ უნდა იყოსო. სევდიანი და დაღლილი კი ჩანდა, მაგრამ იმასაც ხელად მიხვდებოდი — ასეთი იერი ალალმართალ ადამიანს თუ აქვსო მხოლოდ. ფალკონბრიჯს იმთავითვე მოეწონა ბერიკაცი, მაგრამ ზოგი რამ ხომ უნდა გამოეკითხა და საუბარიც ამიტომ გაუბა:

— სადაური ბრძანდებით?

— პოლონელი ვარ.

— აქამდე რა საქმეს ეწეოდით?

— რაღას არ ვაკეთებდი, ხან სად ვმუშაობდი, ხან სად, დავეხეტებოდი ქვეყნად.

— მერედა, ჩვენ რომ შინაყუდა კაცი გვჭირდება!

— სადღა მაქვს ხეტიალის თავი, ნეტა კი დამასვენა და.

— სახელმწიფო სამსახურში თუ ყოფილხართ? ან იქნებ წარჩინების სიგელები გაქვთ?

ბერიკაცმა უბიდან აბრეშუმის დაცინცხული ნაჭერი ამოაძვრინა, ძველთაძველი დროშის ნაფლეთს რომ წააგავდა, გაშალა და უთხრა:

— ესეც ჩემი სიგელები. ეს ჯვარი ოცდაათიან წლებში მივიღე. ეს კიდევ ესპანეთში მომცეს, კარლოსისტების ომში; აი, ეს მესამე — საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენია; მეოთხე — უნგრეთში მომანიჭეს. მერე შტატებშიც მომიწია ყოფნა, ჩრდილოელების მხარეზე ვიბრძოდი, მაგრამ ჯვრებით იქ არავინ დაუჯილდოებიათ. სიგელი გადმომცეს.

ფალკონბრიჯმა სიგელი გამოართვა და კითხვა დაიწყო.

---

[1] კრეოლი — ლათინურ ამერიკაში პირველი ევროპელი კოლონიზატორების (ესპანელებისა და პორტუგალიელების) შთამომავალი.

— სკავინსკი, არა? გვარად სკავინსკი ბრძანდებით?.. ოო!.. ბრძოლაში ორი დროშა ჩაგიგდიათ ხელში... მამაცი ჯარისკაცი ყოფილხართ!

— თავს არც შუქურაზე შევირცხვენ.

— ის თუ იცით, რომ დღეში რამდენჯერმე მოგიხდებათ კოშკურაზე ასვლა-ჩამოსვლა. ფეხი ხომ არ გტკივათ?

— რას ბრძანებთ, ქვეყანა ფეხით მაქვს შემოვლილი.

— კეთილი. საზღვაო სამსახურს თუ იცნობთ?

— სამი წელი ვიმსახურე ვეშაპმჭერ გემზე.

— ეტყობა, ბევრი ხელობა გამოგიცვლიათ.

— დიახ, ხელობა ბევრი გამოვიცვალე, სად არ ვყოფილვარ. მოსვენების მეტი ყველაფერი ვნახე.

— რატომ მერე? რა მიზეზი იყო ასეთი?

ბერიკაცმა მხრები აიჩეჩა.

— ბედი იყო ალბათ...

— ისე, მეშუქურის ბარობაზე ცოტა არ იყოს ხნიერი მეჩვენებით.

— რასა ბრძანებთ, სერ, — გამოეპასუხა გულაჩუყებული სკავინსკი,— გადაღლილი ვარ, სად არ მათრია ბედ-იღბალმა. ეს ადგილი კი ნამდვილად საჩემოა, ამაზე უკეთესს რას ვინატრებ. აწი სიბერე მომერევა, მშვიდი ცხოვრება მინდა. ბოლოს და ბოლოს მეც ხომ უნდა მივაგნო ჩემს ნავსაყუდელს! ნუ გამაწბილებთ, სერ! ეს საქმე ხომ მარტო თქვენზეა დამოკიდებული. ასეთ ადგილს სადღა ვიშოვი, ბედზე ჩამოვსულვარ პანამაში. გემუდარებით... ღვთის გულისათვის... ახლა იმ ხომალდს ვგავარ, აბობოქრებული ზღვა ნაფოტებად რომ აქცევს, თუკი ნავსაყუდელში ვერ მოასწრებს შესვლას. ამ ბებერ კაცს უარით ნუ გამისტუმრებთ... ღმერთმანი, პატიოსანი კაცი ვარ, უბრალოდ... ყელში ამომივიდა ეს ალმა-დალმა ხეტიალი.

ბერიკაცს ცისფერ თვალებში ისეთი მუდარა ჩაუდგა, ფალკონბრიჯს გული მოულბა.

— კეთილი, — უთხრა ბოლოს, — დღეიდან მეშუქურე იქნებით.

სიხარულისაგან მოხუცს პირისახე გაებადრა.

— შეგიძლიათ დღესვე შეუდგეთ საქმეს?

— დიახ.

— მაშინ ნულარ დააყოვნებთ. კეთილად ბრძანდებოდეთ. ჰო, მართლა, იცოდეთ, ერთი დაუდევრობა და მაშინვე დაგითხოვთ.

— გასაგებია!

იმავე საღამოს, როგორც კი მზე დასავლეთით, სხვა ზღვის დასალიერთან ჩაესვენა და მოელვარე დღის ნაცვლად უცებ ჩამოწვა უკუნი ბნელი, ახალი მეშუქურე უკვე ადგილზე იყო: შუქურამ დათქმულ დროზე ისევ მოისროლა თვალისმომჭრელი სხივების კონა. ჩამოიბურა ჩუმი და უშფოთველი სუბტროპიკული ღამე: ბურუსით ნაქსოვს, მთვარე ფერად რკალებად დაებაკმა. მერე ზღვა დაიტალლა — მოქცევა იწყებოდა. სკავინსკი აივანზე იდგა უზარმაზარ, ბრიალა შუქურასთან და შორიდან პაწია შავ წერტილს წააგავდა. ცდილობდა დამშვიდებით აეწონ-დაეწონა ყოველივე, მაგრამ ისე იყო გაბრუებული, ვერაფრით მოიკრიბა აზრი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, დევნილ ნადირს რომ გაუჩნდება, როცა ხელიდან დაუძვრება მდევარს და სადმე გამოქვაბულს ან მიუვალ კლდეს შეაფარებს თავს. როგორც იქნა, თვითონაც გავიდა სამშვი-

დობოს. აწი ველარავინ მოიხელთებდა და ამის გაფიქრებაც კი აუწერელი ნეტარებით უვსებდა სულს. კბოდეებს შეხიზნულს ახლა ეცინებოდა თავისი უაზრო ხეტიალის გახსენებაზე, აღარაფრად აგდებდა ძველ უიღბლობასა თუ მარცხს. მართლაც რომ ხომალდს ჰგავდა: ქარიშხალმა დაუმტვრია ანძები, დაუგლიჯა ბაგირები, დაუფხრიწა იალქნები... ამ ქარიშხალმა ხან ზღვის ფსკერზე ჩააყურყუმელავა, ხან ტალღას მიახეთქა, ხან ქაფში ამოზუნზლა, მაგრამ ბოლოს მაინც დააღწია თავი, მაინც მიაგნო თავის ნავსაყუდელს. წარმოსახული ქარიშხლის სურათები მალიმალ ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს და სკავინსკიც მათ იმ მშვიდსა და უშფოთველ ცხოვრებას ადარებდა, კუნძულზე რომ ელოდა აწი. თავისი უკულმართი ბედ-იღბლის ამბავი ფალკონბრიჯსაც უამბო, მაგრამ ყველაფერს ხომ ვერ მოუყვებოდა. არ უთქვამს ათასი წვრილმანი; ღმერთია მოწმე, რამდენჯერ დაუდგამს კარავი, დაუნთია კოცონი, რამდენჯერ უფიქრია, — აქ დავსახლდები და ფეხსაც არ მოვიცვლიო, მაგრამ სულ ფუჭად ჩაუვლია მის ჯაფასა და ჯახირს; მორჩებოდა თუ არა საქმეს, სად იყო, სად არა, უცებ ამოვარდებოდა ქარი, ბუდიანად ამოძირკვავდა კარავს, ჩაუქრობდა კოცონს, ხოლო სკავინსკის ცხრა მთას იქით გადააგდებდა. უცქერდა ახლა მოელვარე ტალღებს, აგონდებოდა ნანახი და განცდილი. სადღა არ ყოფილა, რა საქმე არ წამოუწყია, მაგრამ ყველაფერში ხელი მოეცარა. ის კია, სადაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველთვის ალალ ლუკმას ჭამდა, მუშაობაში ხომ თავს არ იზოგავდა და ორიოდ გროშიც ბევრჯერ მოუგროვებია. ხან სად შეინახავდა ამ ფულს, ხან სად, მაგრამ სადაც არ უნდა შეენახა, ბოლოს მაინც დაეკარგებოდა დანაზოგი. ერთხანს ოქროს მრეწავი იყო ავსტრალიაში, მერე აფრიკაში ჩავიდა — ალმასებს დაეძებდა; იყო აღმოსავლეთ ინდოეთშიც, იქ სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და მსროლელთა რაზმში ჩაირიცხა; კალიფორნიაშიც მოუწია ყოფნა — ფერმერობას მოჰკიდა ხელი, მაგრამ გვალვამ ერთიანად გადაუბუგა ნათესები; ველურ ტომებთანაც სცადა ვაჭრობა, შეკრა ტივი და ამაზონით შუაგულ ბრაზილიისაკენ დაუყვა. შუა გზაზეც არ იყო, დაეშალა ტივი, თვითონ კი ცის ანაბრად დარჩენილი და თითქმის შიშველი, რამდენიმე კვირა დაწანწალებდა ულრან ტყეში. საჭმელად ტყის ხილს თუ ნახავდა სადმე, თან სულ იმის შიში ჰქონდა, ნადირის საკბილო არ გავხდეო... ამ ამბის შემდეგ არკანზასში გაემგზავრა, გახსნა სამჭედლო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ქალაქს ხანძარი გაუჩნდა და სამჭედლოც ნაცარტუტად იქცა. მერე „კლდოვან ქიმზე“ ინდიელებს ჩაუვარდა ხელში. სასწაულით გადარჩა: კანადელმა მონადირეებმა იხსნეს ხიფათისაგან. ერთხანს კიდევ მეზღვაურად მსახურობდა იმ გემზე, ბაჰიასა და ბორდოს შორის რომ დაცურავდა, იყო ვეშაპმჭერი გემის მებარჯეც; ორივე გემი ქარიშხალმა შეიწირა. ჰავანაში ერთ კაცთან საზიაროდ სიგარების ფაბრიკა ჰქონდა, ერთად მუშაობდნენ, ხოლო როცა ყვითელმა ციებამ ლოგინად ჩააგდო, ამხანაგმა დრო იხელთა, პირწმინდად გაქურდა და ცარიელ-ტარიელზე დასვა. ბოლოს ასპინუოლში ამოჰყო თავი. აქ თუ მოეღებოდა ბოლო მის უიღბლო წანწალს; ამ კლდოვან კუნძულზე თითქოსდა ალარაფერი ემუქრებოდა. აქაურობას ვერც წყალი წალეკავდა, ვერც ცეცხლი დააკლებდა რამეს. ბერიკაცის გარდა ამ კუნძულზე სხვა არავინ ცხოვრობდა და ველარც ადამიანი მოუტანდა ზიანს. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ადამიანებისაგან სკავინსკის კარგი მეტი ახსოვდა, ვიდრე ცუდი.

ამიტომ ეგონა, ოთხივე სტიქია მე მდევნისო. სკავინსკის ვინც იცნობდა,

ბევრი იმ აზრს ადგა, ბედმოცარული კაციაო და მის ყველა მარცხსაც უიღბლობას მიაწერდნენ. თვითონ სკავინსკის კი ბოლო ხანებში თავიდან ვერ ამოეგდო ერთი ახირებული აზრი — დარწმუნებული იყო, ვიღაცის უძლეველი და შურისმგებელი ხელი ჩემს დასაღუპად არისო შემართული, სადღა არ მდევნისო, ზღვაზეც, ხმელეთზეც... ამის თაობაზე იშვიათად თუ იტყოდა რამეს, იმასაც მაშინ, თუკი ჰკითხავდნენ, შენ როგორ ფიქრობ, რისი ბრალია შენი უბედობაო. ასეთ დროს იგი პოლარული ვარსკვლავისაკენ აიშვერდა თითს და იტყოდა — აი, იმის ნება-სურვილიაო... მართლაცდა, ისეთი ულელი დაადგა ბედ-იღბალმა, ისე დაიბრიყვა, გაგიკვირდებოდა კიდეც. სახტად დარჩებოდი, ამ კაცის თავგადასავალს რომ გაიგებდი, ხოლო თუ ასეთი ტანჯვა-წამება შენც გამოგივლია, კარგა ხანს ვერ ამოიდგამდი ენას. მართალია, ბედმა კი დაჩაგრა, მაგრამ მაინც ვერ მოდრიკა და ამ თავის უყისმათობას სკავინსკი ინდიელივით უსიტყვოდ იტანდა. არაფრით არ დაემონა ბედს, რაკი ყოველთვის ფლობდა იმ სულიერ სიმტკიცეს, რასაც კეთილშობილი გული შობს ხოლმე. ერთხელ, უნგრეთში, თხუთმეტიოდე ჭრილობა მიაყენეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ პატიება არ ითხოვა, — არ იკადრა და ხელი არ ჩასჭიდა უზანგს, თავის დასახსნელად შემოჩეჩებული თოკივით რომ გადმოუგდეს. რა არ გადახდენია თავს, მაგრამ არასოდეს მოუხრია ქედი. გამრჯე ჭიანჭველასი არ იყოს, სულ შეუპოვრად მიცოცავდა ზევით-ზევით. ასჯერ მაინც უკვრიათ ხელი, ძირს ჩამოუგდიათ, მაგრამ ვითომც არაფერი მომხდარაო, ისევ თავიდან გასდგომია გზას. მართლაც რომ უცნაური კაცი ეთქმოდა. ამ ძველ ჯარისკაცს, ღმერთია მოწამე, რა არ ენახა ქვეყანაზე, ბრძოლებში ხომ ფოლადივით გამოიწრთო, — გული კი მაინც ბავშვისა ჰქონდა. როცა კუბას ეპიდემია მოედო, რაც ქინაქინა გააჩნდა, სულ ავადმყოფებს ჩამოურიგა და თვითონ სწორედ იმიტომ გახდა ავად, რომ თავისთვის ერთი გრანიც[1] არ შემოინახა. ისიც გაგაოცებდა, ამდენგზის გაწბილებული კაცი მაინც რომ მიენდობოდა ყველას, მიენდობოდა ყველაფერს და უკეთესი მერმისის იმედს არა ჰკარგავდა. მიიწურებოდა თუ არა წელიწადი, უმალ გახალისდებოდა, — აი, აწი რომ გამოვიზამთრებ, ცხოვრება სხვაგვარად ამეწყობაო, ძირფესვიანად შეიცვლებაო ყოველივე და ამ იმედს ვერაფრით შეელია. ზამთარს ზამთარი ენაცვლებოდა, სკავინსკის იმედს კი არ იქნა და არ დაადგა საშველი. ამდენ ლოდინში თმა გაუთეთრდა, ხანში შესულს ჯანიც აღარ მოსდევდა და ბერიკაციც თითქოს შეეგუა თავის ბედს; წლობით ლოდინი ხომ ისედაც ჰგავდა ბედთან შეგუებას. ახლა უკვე ველარ იყო ძველებურად მშვიდი და უდრეკი; სულ უმნიშვნელო წვრილმანზეც აუჩუყდებოდა გული და ეს ფოლადივით ნაწრთობი კაცი ბავშვივით ატირდებოდა. დროდადრო სამშობლოზე ფიქრი მოეძალებოდა ხოლმე, აუფორიაქებდა სულს. საკმარისი იყო მერცხლისათვის ან ბეღურას მსგავსი ჩიტისათვის მოეკრა თვალი, სადმე შორს დათოვლილი მთები დაენახა ან ოდესღაც მოსმენილი ნაცნობი ბგერები გაეგონა, გული საგულეში აღარ ეტეოდა... ბოლოს ისე მოიღალა, დასვენების მეტი აღარაფერი უნდოდა. ყველა მისი იმედი და სურვილი ამ ერთ ფიქრად შეერთდა. ჩემი კუთხე რომ მომცა, ხომ მოვითქვამდი სულს და დარჩენილ დღეებსაც მშვიდად გავატარებდიო, — ეს გახდა ბერიკაცის სანუკვარი ოცნება. სად არ ათრია განგებამ, ერთი დღეც არ

[1] გრანი — სააფთიაქო წონის ერთეული, უდრის 62, 24 მილიგრამს.

ყოფილა მოსვენებული და შეიძლება სწორედ ამიტომ ეგონა, ადამიანისათვის ყველაზე დიდი ბედნიერება ის არის, სადმე თავისთვის თუ იქნებაო. კი ბატონო, რაც მრეპრიანება, ის გააკეთოს, ოღონდაც ხეტიალი ნუ მოუწევსო. ერთი შეხედვით თითქოსდა დიდი ვერაფერი ბედნიერებაა, მაგრამ ცხოვრებაში სკავინსკის იმდენჯერ მოეცარა ხელი, ამ პატარა ბედნიერებაზეც ისე ფიქრობდა, აი, ადამიანები რომ შეუძლებელ ამბავს გაიფიქრებენ. უჭირველ ცხოვრებაზე უწინ ოცნებასაც ვერ ბედავდა და უცებ, სულ რაღაც თორმეტ საათში ბერიკაცს თავშესაფარი მიუჩინეს, თითქოსდა საგანგებოდ მისთვის შერჩეული თავშესაფარი. რა გასაკვირია, რომ საღამო ხანს, როცა შუქურა აანთო, გაოგნებულივით იყო და თავი სიზმარში ეგონა. ნუთუ მართლა ამისრულდაო საწადელი — ეკითხებოდა თავის თავს. ვერაფრით დაიჯერა ეს, მაგრამ იქვე იყო ზღვაც, შუქურაც, ის ერთი ქცევა კუნძულიც და სხვა რა უკეთესი საბუთი გინდოდა კაცს. წუთივით გაირბინა რამდენიმე საათმა. სკავინსკიმ თვალი ვერ მოსწყვიტა ზღვას,—თითქოს თავს არწმუნებდა, არა, ნამდვილად არ მეჩვენებაო. მისთვის რომ შეგეხედა, იფიქრებდი, ალბათ ზღვა არასოდეს უნახავსო. ასპინუოლის მთავარმა საათმა თორმეტჯერ ჩამოკრა, ბერიკაცმა კი ვერა და ვერ მოაშორა თვალი წყალს; იდგა კოშკურაზე და უკიდეგანო ლივლივა სივრცეს გადაჰყურებდა. უზარმაზარი შუქურა კაშკაშა რკალებად აფრქვევდა სინათლეს. იქ კიდევ, შორს, საცა ვეღარ სწვდებოდა ბერიკაცის მზერა, უკუნში გაჭრილი შუქის ეს ზოლი იდუმალსა და შემზარავ სივრცეში იკარგებოდა, თუმცა, თუ დააკვირდებოდი, ასე მოგეჩვენებოდა — ჩაშავებული სივრცე სინათლისაკენ მოილტვისო. უშველებელი ზვირთები ღრიალით მოექანებოდნენ სიბნელიდან. მოაწყდებოდნენ თუ არა კუნძულს, ტალღების აქაფებული ქედი შუქურის სინათლეზე ვარდისფრად აციმციმდებოდა. ზღვის მოქცევამ იძალა. ნაპირი წყლით დაიტბორა. ოკეანის იდუმალი ძახილი სრულად აღწევდა კუნძულამდე, სულ უფრო მძლავრად მოისმოდა ეს იდუმალი ხმა, იგი ხან ქუხილს ჰგავდა, ხან ბერმუხის შრიალს და ხანაც შორეული სოდომ-გომორის მოძახილს. წამით ჩაჩუმდებოდა ყველაფერი, მერე კი ბერიკაცის ყურს — სამყაროს დიადი კვნესაოო თითქოს, ისევ მოსწვდებოდა ოხვრა, გულისშემძვრელი ქვითინი და უცებ. კვლავ ღვთის რისხვად დაიქუხებდა. ბოლოს ქარმა ნისლი გაფანტა, მაგრამ საიდანღაც დაცინცხული ღრუბლები მორეკა და მთვარეს თალხ რიდედ ამოაფარა. დასავლეთიდან სულ უფრო მძლავრად მოშხუოდა ქარი. ზვირთებად ქცეული ოკეანე გააფთრებით უტევდა კუნძულის ფლატეს და ქაფმორეული ენით უკვე კუნძულის ფუძესაც ლოკავდა. განუკითხავად დათარეშობდა ქარიშხალი. ჩაქუფრებულსა და აბობოქრებულ სივრცეში რამდენიმე მწვანე წერტილი გამოკრთა: ხომალდის ანძებზე იციან ხოლმე მწვანე ფანრების გამოკიდება. ეს მწვანე წერტილები ხან ამოტივტივდებოდნენ, ხან თავქვე დაეშვებოდნენ, ხანაც გაშმაგებით მიაწყდებოდნენ აქეთ-იქით. სკავინსკი დაბლა ჩავიდა და თავის ოთახს მიაშურა. გარეთ ძალლივით ყმუოდა ქარი. გემზე მყოფი ხალხი ებრძოდა ღამეს, სიბნელეს, ტალღებს, ოთახში კი სიჩუმესა და სიმყუდროვეს დაებუდებინა. ქარიშხლის გამოძახილი ძლივს ატანდა ქვის სქელ კედლებში და ბერიკაცის ყურს საათის გამოზომილი წიკწიკი იავნანასავით ესალბუნებოდა.

II

საათი საათს მისდევდა, დღე დღეს, წუთი წუთს...

ზღვაში გასული ხალხი იფიცება, როცა ზღვა აბობოქრდება, წყვდიადიდან დროდადრო შენი სახელის ძახილი შემოგესმება, თითქოს გიხმობსო ვიღაც. თუკი მეზღვაურს ოკეანე გამოგძახებს თავისი მარადისობიდან, მაშინ დროთაგან მოყრილ კაცს ალბათ სხვა, მეტი იდუმალებითა და წყვდიადით მოცული მარადიულობა მოგიხმობს, ხოლო რაც უფრო გაწამებული ხარ ამ ცხოვრებისაგან, ეს ხმაც მით უფრო დაგიტკბობს სმენას. მაგრამ ერთი ბგერაც რომ აღიქვა, სიჩუმესთან უნდა გაინაპირო. ამასთანავე სიბერეში ადამიანს განმარტება უნდა, თითქოს სამარეზე ფიქრისათვის იმარტოვებდეს თავს. კოშკურაზე ცხოვრება კი ზედგამოჭრილია საამისოდ. აქ იმდენად ერთფეროვანია ყველაფერი, რომ სკავინსკისათვის შუქურა თითქმის სამარეც კი იყო უკვე. ახალგაზრდა კაცი იშვიათად თუ დათანხმდება მეშუქურედ დადგომას, ხოლო თუ მაინც დადგა, დიდი-დიდი ორ-სამ კვირას დარჩეს, მეტს ვეღარ გაძლებს. სწორედ ამიტომაა, რომ ამ საქმეს ჩვეულებრივ ხანდაზმული, პირქუში და სიტყვაძუნწი კაცი ემსახურება ბოლომდე. თუკი ასეთი კაცი შუქურას მიატოვებს და ხალხში გაერევა, მთვარეულივით ივლის. მეშუქურე მოკლებულია იმ პატარ-პატარა შთაბეჭდილებებსაც, სხვა დროს ანგარიშგასაწევი და ჭკუის სასწავლებელიც რომ არის ხოლმე. ყოველივე, რასაც იგი თვალით სწვდება, მოკლებულია ხილულ ფორმას: ზეცა — ერთი მთლიანობაა, წყალი — მეორე. ამ ორ დაუსაბამობას შორის კი ადამიანის ეული სულია გაჩხერილი. ასეთ ცხოვრებას თუ გარგუნებს ბედი, გინდა, არ გინდა, მაინც ფიქრებში იქნები გართული; დღეები კრიალოსნის მძივებივით ჰგვანან ერთმანეთს და ამ ერთფეროვნებას მხოლოდ ამინდის ცვალებადობა თუ შეუცვლის იერს. მაგრამ სკავინსკი მაინც უბედნიერეს კაცად თვლიდა თავს. არასოდეს ყოფილა ასე ბედნიერი. ადგებოდა გამთენიის ხანს, წაიხემსებდა, გააპრიალებდა შუქურას, მერე კი პატარა აივანზე მოიკალათებდა და ზღვის შორეთს გახედავდა, თვალწინ გადაშლილი სანახაობის ცქერით ტკბებოდა. ფირუზისფერ დასალიერთან მალიმალ მოდგებოდა ხოლმე იალქნების ფარა. მზის სხივებში იალქნები უცებ ისე აბრწყინდებოდნენ, თვალს მოგჭრიდა; როცა ზურგის ქარი დაუბერავდა, გემები კვალში ჩაუდგებოდნენ ერთიმეორეს, ჩამწკრივდებოდნენ, როგორც თოლიების ან ალბატროსების წყება. გზის მიმნიშნებელი ბაკენები უშფოთველად ტივტივებდნენ წყლის ზედაპირზე: აქა-იქ გაბნეულ იალქნებს შორის ყოველ ნაშუადღევს სვეტად ამოიზრდებოდა მონაცრისფრო კვამლის ბოლქვები. სწორედ ამ დროს ჩამოივლიდა ხოლმე ნიუ-იორკიდან წამოსული გემი. ამ გემს გადმოჰყავდა მგზავრები, გადმოჰქონდა ტვირთი, თან შლეიფივით მოათრევდა ქაფის მოგრძო, ვიწრო ზოლს. აივნიდან ასპინწოლიც კარგად მოჩანდა. ქალაქის ნავსაყუდელში სკავინსკი ანძების ტყეს ხედავდა, უყურებდა ერთმანეთის გვერდიგვერდ მიჯრილ ნავებს და პორტის ხმაურიან ცხოვრებასაც ხელად შეიგრძნობდა ხოლმე; ნავსაყუდელიდან ოდნავ მოშორებით თეთრად ქათქათებდნენ ქალაქის შენობები და კოშკურები. შუქურიდან სახლები თოლიების ბუდეებს უფრო ჰგავდნენ, ნავები — ხოჭოებს, ადამიანები კი — პაწია შავი წერტილები, თეთრი ქვით დაგებულ სანაპიროზე დახოხავდნენ. დილაობით, აღმოსავლეთიდან მონაბერ სიოს მოჰქონდა ხოლმე ქალაქის შორეული ჟრიამული და

გემების პირმოხეული შემოძახილი. ნაშუადღევს სიესტა მოაწევდა. ნავსაყუდელში მიწყდებოდა ხმაური, თოლიები კლდეთა ნაპრალებს შეაფარებდნენ თავს, ტალღები კი, თითქოს არაქათი გამოელიათო, ნება-ნება მიიზმორებოდნენ ნაპირისაკენ. ამ დროს. ხმელეთზეც, ზღვაზეც, კუნძულზეც უშფოთველი სიჩუმის ვეებერთელა წუთი გადაწვებოდა ხოლმე. სანაპიროს ყვითელი ქვიშა ჩამოიცილებდა თუ არა ტალღას, უმალ წყლის ოქროსფერ ანაბზინს გადაიკრავდა; ცის ლაჟვარდში ირეკლებოდა კოშკურის სვეტი. მზის სხივები კი ელვრებოდა და ელვრებოდა წყალს, ქვიშას, ფლატეს... ასეთ წუთებში ბერიკაცსაც დაეუფლებოდა ნეტარი მოთენთილობა. ბედნიერებაც ალბათ ამას ჰქვიაო — ფიქრობდა, — ნეტავი სულ ასე გაგრძელდებოდესო... ქვეყანაზე სხვა აღარაფერი უნდოდა. გაბრუებულიც იყო ამ თავისი ბედნიერებით, ხოლო რაკი ადამიანი იოლად ეგუება უკეთეს ილბალს, სკავინსკისაც თანდათან გული გამოუკეთდა, რწმენა დაუბრუნდა. ასე ფიქრობდა, თუკი ადამიანები ინვალიდებსა და დავრდომილთათვის აშენებენ სახლებს, რატომ არ შეიძლება მამაზეციერმაც გამოუნახოსო თავშესაფარი დავრდომილს და, ჩემი არ იყოს, სადმე კუნძულზე შეაფარებინოსო თავი. ეტყობა, არ მიუტოვებივარ ღმერთსო. და რაც დრო გადიოდა, ბერიკაცსაც სულ უფრო და უფრო უმტკიცდებოდა ეს რწმენა. ამასობაში კოშკურასაც შეეგუა, აღარც შუქურა ეუცხოებოდა, შეეჩვია აქაურ ფლატესა და კბოდეს, შეეთვისა მარტოობასაც. ხშირ-ხშირად აკვირდებოდა კლდეთა ნაპრალებში დაბუდებულ თოლიებს. საღამოობით ფრინველები შუქურის სახურავზე გამართავდნენ თავყრილობას და სკავინსკიც საჭმლის ნარჩენებით აპურებდა ხოლმე. სულ მალე ისე მოიშინაურა ფრინველები, — აღარ ერიდებოდნენ: გამოჩნდებოდა თუ არა ჯამით ხელში, თეთრი ფრთების ნამდვილ ქარიშხალში მოექცეოდა და ბერიკაციც ისე დადიოდა ამ თავის მრევლში, როგორც მწყემსი ცხვრის ფარაში. ზღვის მოქცევის დროს თავთხელს გაუყვებოდა ხოლმე, აგროვებდა გემრიელ ლოკოკინებსა და სადაფისფერ ლამაზ ნიჟარებს, უკუქცეულ ტალღებს რომ მირჩებოდათ ქვიშაზე. ღამღამობით, მთვარისა და შუქურას სინათლეზე თევზის დასაჭერად ჩადიოდა: კბოდეს პირას უამრავი თევზი ირეოდა. ბოლოს ბერიკაცს კბოდეც შეუყვარდა, ეს თავისი პატარა კუნძულიც, სადაც წვრილ-წვრილი მცენარეების გარდა სხვას ვერაფერს ნახავდა კაცი; მართალია, მომსხო და აყინწული მცენარეები თავს ვერ მოგაწონებდა — ღეროებზე გაუთავებლად ჩამოსდიოდათ ლოპრი, სამაგიეროდ, შორეული ხედები გაგიხარებდა გულს. ნაშუადღევს, როცა ჰაერი გამჭვირვალეზე გამჭვირვალე ხდებოდა, მზერა შორეულ სივრცეებსაც მისწვდებოდა ხოლმე და წყნარ ოკეანემდე მთელი სანაპირო გამოჩნდებოდა თავისი უსიერი ტევრებით. გაიხედავდა თუ არა იქით, ასე ეჩვენებოდა, უზარმაზარ პარკს ვუყურებო და ასპინუოლის თეთრი სახლებიც თითქოს ბანანებისა და ქოქოსის პალმების დიდებულ თაიგულში იყო ჩაბნეული. მოშორებით, ასპინუოლსა და პანამას შორის გაუვალი ტყე იდგა. ტყის თავზე ყოველ დილა-საღამოს გადაწვებოდა მეწამული ნისლი. ლიანებითა და გიგანტური ჯადვრებით გათოკილი სუბტროპიკული ხეები კოჭებამდე იდგნენ ტბორში.

ჭოგრიტში თუ გაიხედავდა, ხეებისა და გაფოთლილი ბანანების გარდა ჯგროდ შეყრილ მაიმუნებსაც დალანდავდა, დალანდავდა აქაური ტყეების მკვიდრ დიდრონ მარაბუთ[1], თუთიყუშებს, აჭრელებულ გუნდებად რომ მოე-

[1] **მარაბუ** — მუქი მწვანე შეფერილობის დიდი ფრინველი ყარყატების ოჯახისა.

დებოდნენ ხოლმე ხეთა კენწეროებს. ასეთი ტყეები სკავინსკის ფეხით ჰქონდა შემოვლილი. როცა ამაზონზე ტივი დაეშალა, რამდენიმე კვირა ასეთ ჯაგნარში იხეტიალა, რას აღარ წააწყდა ტყის მწვანე თაღქვეშ და ახლა იცოდა, რა საფრთხეც იყო მიმალული ამ მშვენიერ და პირგაბადრულ საფარველს შიგმა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუგონია ღამღამობით ჰუმების სამარისეული ძახილი, იაგუარების ღრიალი. უნახავს უშველებელი მახრჩობელებიც, ლიანების მსგავსად რომ გადმოეკიდებოდნენ ტოტებზე; სკაროსებითა და ალიგატორებით პირთამდე ავსებული ტბებიც ახსოვდა. იცოდა, რა მძიმე უღელიც იყო ადამიანისათვის ამ გაუვალ ტევრში ცხოვრება. აქ ხომ თითოეული ფოთოლი კაცის სიმაღლეზე ათჯერ უფრო დიდია; ამ ფოთლებში ფუთფუთებს აუარება სისხლისმსმელი მოსკიტი, ხის წურბელა თუ უზარმაზარი შხამიანი ობობა.

ეს ყოველივე სკავინსკიმ საკუთარი თვალით ნახა, თავად გამოსცადა, თვითონ იწვნია და ახლა სიამოვნებდა კიდეც, რომ შორიდან უცქერდა ამ დიდებულ ტყეებს, ტკბებოდა მათი სილამაზით. თან თავსაც უშიშრად გრძნობდა: შუქურა ხომ ყოველგვარი საფრთხისაგან იცავდა. ბერიკაცი იშვიათად თუ მიატოვებდა თავის კუნძულს. ათასში ერთხელ, — კვირა დილით მეშუქურის თბილ, ვერცხლისფერღილებიან მუქ ლურჯ ხიფთანს ჩაიცვამდა, დაიბნევდა მკერდზე ჯვრებს და მხცით მოსილი თავიც ამაყად ეჭირა, როცა ეკლესიიდან გამოსული კრეოლების ლაპარაკს მოკრავდა ყურს: „აი, პატიოსანი მეშუქურეც ამას ჰქვია. იანკი უძახე შენ, ერეტიკოსი მაინც არაა“.

მოთავდებოდა თუ არა წირვა, წუთითაც აღარ გაჩერდებოდა ქალაქში, უკანვე ბრუნდებოდა, ბრუნდებოდა სიხარულით, რადგან მაინცდამაინც არ ენდობოდა მატერიკს. მერე გულდასმით კითხულობდა ქალაქში ნაყიდ ესპანურ გაზეთებს ან ფალკონბრიჯისაგან ნათხოვარ ნიუ-იორკის „ჰერალდ“-ს, — ეგება ევროპის ამბები გავიგოო. საწყალი ბერიკაცი! აქაც კი, სადღაც უკაცრიელ კუნძულზე, გადაკარგულში, მისი ბებერი გული მაინც სამშობლოსათვის ფეთქავდა. პირველ ხანებში, როცა სანოვაგითა და სასმელი წყლით დატვირთული ნავი კუნძულს მოადგებოდა, სკავინსკი ნაპირზეც ჩადიოდა ხოლმე, ყარაულ ჯონსს მაინც გამოველაპარაკებიო, მაგრამ მოგვიანებით, ეტყობა, ყველაფერზე ხელი აიღო: ქალაქისაკენ პირი აღარ უქნია, გაზეთების კითხვასაც მიანება თავი და აღარც ჯონსთან მართავდა პოლიტიკურ დისპუტებს. ისე გადიოდა კვირეები, ადამიანების ამბავსაც არ შეიტყობდა, კაციშვილს არ დაენახვებოდა და არც მისი იცოდნენ რამე. ერთადერთი ნიშანი, კაცს რომ გაფიქრებინებდა, ჯერჯერობით არაფერი უჭირსო — ის გახლდათ, რომ ნაპირზე დატოვებული სურსათი უკვალოდ გაქრებოდა, საღამოობით კი, დათქმულ დროზე — გეგონებოდა, მზე ამოტივტივდაო ზღვიდან — შუქურა აელვარდებოდა. ბერიკაცს ყველაფერზე გული აუცრუვდა. ვერ იტყვი, სამშობლოზე მოძალებულმა ფიქრმა გადაავიწყაო ყველაფერი. პირიქით, მისი გულაცრუების მიზეზი სწორედ ის იყო, რომ ბოლოს ამ ფიქრსაც შეეკვეცა ფრთები. ახლა მთელი სამყარო ამ ერთ ქცევა კუნძულად იქცა სკავინსკისათვის. ბერიკაცი იმ აზრსაც შეეგუა, დარჩენილ დღეებს აწი აქ გავატარებ და ვიდრე ცოცხალი ვიქნები, კოშკს არასდიდებით არ მივატოვებო. ამასობაში ისიც კი გადაავიწყდა, ამ კოშკის გარდა სხვა რამეც თუ არსებობდა ქვეყანაზე. ამასთანავე მისტიკოსი გახდა, მისი თვინიერი თვალები თანდათანობით ჩვილი ბავშვის თვალებს დაემსგავსა, ახელვისთანავე რომ მიაშ-

ტერდებიან უსასრულობას. მარტოობასთან შეხიზნული, ზღვისა და ზეცის უკიდეგანო სივრცესთან პირისპირ დარჩენილი ბერიკაცი თანდათან კარგავდა საკუთარი „მე“-ს შეგრძნებას და სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხდებოდა. ფიქრით ამაზე არ ფიქრობდა, ეგ არის, გრძნობდა მხოლოდ, ცის ლაჟვარდიცწყალიც, მისი კბოდოვანი კუნძულიცა და შუქურაც, ოქროსფრად მოზიმზიმე ქვიშაცა და ზღვაზე მოხეტიალე დაბერილი აფრებიც, თოლიებიც, ტალღების ნარნარი ლივლივიც, — ყოველივე ერთი დიადი მთლიანობა იყო, უზარმაზარი და იდუმალი სული; ბერიკაცი ნელ-ნელა იძირებოდა ამ იდუმალებაში, გრძნობდა ამ დიად სულს, უწყინარი არსებასავით რომ ელაციცებოდა. აი, ჩაიძირა კიდეც, მიინაბა, მილულა თვალიც და იმ თავის გამორჩეულ ყოფაცხოვრებაში, თავის ძილ-ღვიძილში ის დიადი სიმშვიდე ჰპოვა, ასე რომ ჰგავდა სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარს.

III

მაგრამ დაჰკრა გამოფხიზლების ჟამმაც.

ერთხელაც სასმელი წყალი და სურსათი გამოუტანეს ნავით და როცა სკავინსკი მოგვიანებით ნაპირზე ჩავიდა, სასმელ-საჭმელის გარდა ამანათი დახვდა. ამანათზე შეერთებული შტატების საფოსტო მარკები იყო დაკრული და მისი გვარიც გარკვევით ეწერა: Skawinski Esq., ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ნახავდა, რა იდო ამანათში. ბერიკაცმა ტილო ჩაჭრა და წიგნები დაინახა. ერთ-ერთი წიგნი ამოაძვრინა, დახედა და უკანვე ჩადო; უცებ ორთავე ხელი აუცახცახდა... თვალს არ უჯერებდა; ასე ეგონა, სიზმარს ვხედავო: ამანათში პოლონური წიგნები ეწყო.

ნეტა რას უნდა ნიშნავდეს — ფიქრობდა თავისთვის, ვინ გამომიგზავნიდაო ამ წიგნებს?! თავდაპირველად ვერც კი გაიხსენა, რომ მეშუქურედ დადგომიდან ერთი თვის თავზე კონსულისაგან ნათხოვარ „ჰერალდ“-ში ცნობა წაიკითხა — ნიუ-იორკში პოლონური საზოგადოება დაარსდაო, და სკავინსკიმაც თავისი ხელფასის ნახევარი ხელად იმ საზოგადოებას გადაუგზავნა. კუნძულზე აბარაში უნდა დასჭირვებოდა ფული? მადლობის ნიშნად საზოგადოებას წიგნები გამოეგზავნა მისთვის. უჩვეულო ამაში არაფერი იყო, მაგრამ პირველ ხანებში სკავინსკი ვერა და ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ სადღაც უკაცრიელ კუნძულზე გადახვეწილ მარტოხელა ბერიკაცს პოლონური წიგნებიც შეიძლება ჰქონოდა და ასეთი რამ თითქმის დაუჯერებელიც ეჩვენებოდა. სასწაულად მიიჩნია ეს ამბავი. შორეულმა წარსულმა უცებ შეახსენა თავი. ისეთი გრძნობა დაეუფლა, ზღვაში გასულ მეზღვაურებს რომ აქვთ ხოლმე, როცა წყვდიადიდან ვიღაცის ნაცნობი და საყვარელი ხმა მოუხმობთ. ბერიკაცი ერთხანს თვალდახუჭული იჯდა და თითქმის დარწმუნებულიც იყო, რომ გაახელდა თუ არა თვალს, ეს ტკბილი ზმანებაც უმალ გაქრებოდა. მაგრამ ოი, საკვირველებავ! ამანათი წინ ედო, შუადღის თაკარა მზეზე ნათლად ხედავდა ფერდჩაჭრილ ამანათს, ხედავდა გადაშლილ წიგნსაც. როცა სკავინსკიმ ისევ წაიღო ხელი წიგნისაკენ, გატრუნულ სიჩუმეში საკუთარი გულისცემა მოესმა. წიგნს დახედა: ლექსების კრებული აღმოჩნდა. სათაური დიდრონი ასოებით იყო დაბეჭდილი, სათაურს ქვემოთ კი ავტორის სახელი და გვარი ეწერა. იცოდა ამ

წიგნის არსებობა, ისიც იცოდა, ავტორი სახელმოხვეჭილი პოეტი იყო. 30-იან წლებში, პარიზში ყოფნის დროს, ამ პოეტის წიგნებს თვითონაც კითხულობდა ხოლმე. მოგვიანებით, როცა ალჟირსა და ესპანეთში იბრძოდა, თანამემამულეებისაგან ხშირად სმენია პოეტის ქება-დიდება, მაგრამ იმ წლებში ხელიდან არ გაუგდია შაშხანა და წიგნების საკითხავად სად მოიცლიდა. 1849 წელს ამერიკაში გაემგზავრა და განსაცდელითა და ხიფათით სავსე წლები იქ ისე გაატარა, თანამემამულე იშვიათად თუ გადაჰყრია სადმე, პოლონური წიგნი კი საერთოდ არ უნახავს. ამიტომ იყო, რომ წიგნს თვალი ველარ მოსწყვიტა და გულისფანცქალით გადაფურცლა სატიტული ფურცელი. ასე ეჩვენებოდა, ჩემს ეულ კუნძულზე ახლა საზეიმო წამმა შემოაბიჯაო. მართლაც რომ დიდებული იყო ის წამი — წამი დიადი დუმილისა და უშფოთველობის.

ასპინუოლის მთავარმა საათმა ხუთჯერ ჩამოკრა. კრიალა, უღრუბლო ცაში თითო-ოროლა თოლია ფრთებით მიაპობდა ლაჟვარდს. თვლემდა გარინდული ოკეანე. ნაპირზე ასრიალებული ტალღები რაღაცას ჩურჩულებდნენ თავისთვის და ნაზად ეღვრებოდნენ ქვიშას. იქ კიდევ, შორს, ასპინუოლის ქათქათა სახლებსა და ცადაზიდულ პალმებს გულნებიერი სიცილი ეკერა პირზე. იდუმალებაში გატრუნულიყო დიადი წამი. ეს ნათელი სიმყუდროვე უცებ ბერიკაცის ათრთოლებულმა ხმამ დაარღვია. ხმამაღლა დაიწყო კითხვა, რომ უკეთ გაეგო წაკითხული:

სამშობლოვ ჩემო, პოლონეთო, ვითარ ხარ ცოცხალ!
შენს ჭეშმარიტ ფასს მაშინ თუ ვგრძნობთ, დაგკარგავთ როცა;
წინ ახლა მიდგას ბრწყინვალება შენი თვალნათლივ,
როს შენზე დარდით, შენზე ფიქრით ლამის გავთავდი...

სკავინსკი გაჩუმდა. ასოები აქეთ-იქით გაურბოდა თვალწინ; მერე გულს რაღაც მოსწყდა და ტალღად აიზიდა, ყელს მოებჯინა, ხმა ჩაუხშო...

წამიც და თავს დაეუფლა, კითხვა განაგრძო:

დედაო წმიდავ, ვერ გაშინებს ვერვინ ალაგმვით!
იცავ ჩენსტოხოვს და ოსტრომბრამს! ციხე-ქალაქი
ნოვოგრუდეკიც შენ იხსენი — ერთგული ხალხით!
სასწაულებრივ ვით მაწიე სიცოცხლეს ბალღი,
(ატირებულმა ოდეს დედამ შენს დიდ სამართალს
შემწირა მსხვერპლად და როგორც კი თვალის გამართვა
შეეძელ, ფეხი უწმინდესი შენი ზღრუბლისკენ
წავდგი, რომ მეთქვა გადარჩენის მადლი უფლისთვის)
სამშობლოს წიაღს დაუბრუნებ ჩვენს თავს ასევე...[1]

ყელში მობჯენილმა ტალღამ მაინც შელეწა ნებისყოფის ჯებირი და ამოხეთქა. ბერიკაცი აქვითინდა, ქვიშაზე გაიშხლართა; რძისფერი თმა დაესილა. თითქმის ორმოცი წელია სამშობლოში არ ყოფილა, ღმერთმა უწყის, რამდენი ხანია, რაც პოლონური არ სმენია, დედაენამ თვითონვე მოაგნო, — გადმოლახა ოკეანე, ეძება, ეძება და განდეგილი ბერიკაცი ბოლოს აქ იპოვა, დედამიწის მეორე ნახევარსფეროში. მადლიანო, სულზე უტკბესო,—ლუღლუღებდა თავისთვის. ბერიკაცის ქვითინს სიმწრის ტირილი კი არა, უფრო სიყვარული ეთქმოდა, — ანაზღად გაღვიძებული, უკიდეგანო სიყვარული, ისეთი სიყვარული, როცა სხვა ყველაფერს აზრი ეკარგება, როცა უფერულდება და

[1] ნაწყვეტი ადამ მიცკევიჩის პოემიდან „პან თადეუში“ (თარგმანი გივი შაჰნაზარისა).

მჭრქალდება ყოველივე. გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ქვითინი თითქოს პატიების სიტყვები იყო. ბერიკაცი შენდობას სთხოვდა შორეულ დედულეთს, რომ მობერდა უკვე, შეეგუა თავის კბოდოვან კუნძულს და ისე გამარტოსულდა, სამშობლოზე ფიქრიც გადაივიწყა. ახლა კი „რაღაც სასწაულით ბრუნდებოდა“ ამ შორი გზიდან და გულიც ელეოდა, ეფლითებოდა. წუთი წუთს მისდევდა; ჯერაც მიწაზე იყო გართხმული. თოლიები ყეფა-ყეფით გადაუფრენდნენ კოშკურას, რაღაცას ჩამოსძახებდნენ, გეგონებოდა, მოხუცი მეგობრის ბედმა შეაშფოთათო. ბერიკაცი ამ დროს საჭმლით აპურებდა ხოლმე ფრინველებს. შუქურის თავზე შემომჯდარი თოლიები ერთიმეორის მიყოლებით მოფრინავდნენ. სულ უფრო იზრდებოდა ფრინველთა გუნდი. ფრთების ტყლაშუნით ჩაუფრენდნენ მოხუცს, ფრთხილად წაჰკრავდნენ ნისკარტს. ხმაურმა ბერიკაცი გამოაფხიზლა. დამშვიდებულ სახეზე ისე უბრწყინავდა ნამტირალევი თვალები, გეგონებოდა, შუქი ჩაღვრიაო. მთელი დღის სარჩო-საბადებელი ფრინველებს დაუგდო და თოლიებიც ქივილით დაესივნენ საჭმელს. თვითონ ისევ წიგნი აიღო ხელში. მზე შუბის ტარზე გადახრილიყო, პანამის წალკოტებსა და ატეხილი ჭალების თავზე გადაეზიდა მცხუნვარე ტანი და ახლა ზანტად მიგორავდა დასაბუდისკენ, სხვა ოკეანესთან. მაგრამ ატლანტიკას ჯერაც არ გაეძრო ელვარე კაბა. ნათელი იდგა და სკავინსკიც კითხულობდა:

და მიუახლე სული ჩემი, დამწუხრებული,
იმ ტყიან ბორცვებს, ამწვანებულ იმა მდელოთა...

წამივით მოკლე დაისმა წიგნის ქათქათა რუკაზე ასოები გადლაბნა. ბერიკაცმა კბოდეს მიადო თავი და თვალები მილულა. მაშინ კი „არსმა კეთილმა, ჩენსტოხოვისა“ მიუახლა სული მისი „იმ ტყიან ბორცვებს, ამწვანებულ იმა მდელოთა...“ ცაზე ჯერ კიდევ ღუოდა მზის ოქროსფერი და წითელი კვალი. სკავინსკიც ამ უვალი გზებით მიჰქროდა უკვე სანუკვარი ქვეყნისაკენ. მერე ფიჭვნარის შრიალი ჩაესმა, გაიგონა მშობლიური მდინარეების ჩქამი და ჩურჩული. ყველაფერს ხედავს, ყოველივე თავს აგონებს, ეკითხება: „გახსოვს?“ ახსოვს, როგორ არ ახსოვს, თვალწინაც უდგას მხარგაშლილი ველები, აოშვილი მიწა, ტყეები, მდელოები და სოფლები. ღამეა უკვე. სხვა დროს, ჩამოწვებოდა თუ არა ბნელი, შუქურა ზღვის უკუნს ააკიაფებდა, ახლა კი შორსაა სკავინსკი. მშობლიურ სოფელშია. ბერიკაცს მხცით მოსილი თავი ჩაუქინდრავს და ზმანებებს მისცემია. უთავბოლო ხილვები წარამარა ენაცვლებოდნენ ერთიმეორეს. ბერიკაცმა ვერც მამა-პაპისეული სახლი დალანდა, — იგი ხომ ომმა დაანგრია, ვერც დედ-მამას მოჰკრა თვალი: ბალღი იყო, როცა მშობლები მოუკვდა; მაგრამ თავისი სოფელი მაინც ხელად იცნო — თითქოს წინა დღით მიეტოვებინოს. იცნო ჩამწკრივებული ქოხმახები, განათებული ფანჯრები, კაშხალი, წისქვილი, ერთმანეთის შორიახლო მოგუბებული ორი ტბორი და ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი... ზმანებებში ის ხილვაც გამოერია, ერთ ღამეს საგუშაგოზე დგომისას რომ ნახა. აი, იგი ისევ ულანია და ახლა გუშაგად დგას. სიჩუმეა. სადღაც შორს სამიკიტნო აბრიალებს თვალებს, გუგუნებს, მღერის. ისმის ბრაგაბრუგი, ვიოლინოსა და ბასეტლის[1] ხმები, ისმის შეძახილები: „უჰ-ჰა“, „უჰ-ჰა!“ ულანთა ჩექმის ნალები სიხარულის ნაპერწკლებს

[1] ბასეტლი — პოლონური ხალხური საკრავი (მთარგმ. შენიშვნა).

აფრქვევენ, თვითონ კი ზის ცხენზე მოწყენილი. დრო ზანტად მიიზლაზნება, ბოლოს სინათლე ქრება; ახლა საითაც არ გაიხედავ, უკუნი ბნელი გეტმასნებია თვალებზე. ეს ბურუსი კი, მთელი სამყარო რომ მოთეთრო ნისლში გაუხვევია, ალბათ ველ-მინდორმა მოიყენა თავზე. ისეთი ბურუსია, ოკეანე გეგონება ახლომახლო, მაგრამ არა, ველ-მინდორია ეს. კიდევ ცოტა ხანიც და ბნელში შაშვი აჭახჭახდება, აჭრიჭინდება ლელიანი. რა წყნარი ღამეა. სიცივეც ძვალ-რბილში ატანს. ნამდვილი პოლონური ღამეა. სადღაც მოშორებით, ამ უქარო ამინდში ფიჭვნარი ფაჩუნებს... როგორა ჰგავს ეს ხმა გარინდული ოკეანის შარიშურს... მალე აისი აღმოსავლეთს დააიისფრებს. აი, ქანდარაზე შემომჯდარმა მამალმაც დაჰყივლა, მერე სხვა მამლებმაც აუბეს მხარი. მალალი ციდან წეროების ყივილი აღწევს. ულანი მხნედ გრძნობს თავს, სული გალაღებია. ჰო, რაღაცას ამბობდნენ ხვალინდელ ბრძოლაზე. თუ მართლა ბრძოლაზე მიდგა საქმე, თვითონაც დასცემს ბრძოლის კიჟინას და ზეაღმართული დროშების ფრიალ-ფრიალში ეკვეთება მტერს. ახალგაზრდული სისხლი ნაღარასავით უკივის ძარღვებში, უდუღს, მიუხედავად იმისა, რომ ღამის ცივმა სუნთქვამ დასუსხა, ხელ-ფეხი დაუზრო. აი, ირიჟრაჟა კიდეც. სიბნელეში ჩახატულმა ტყემ, შამბნარმა, თვალმოჭუტულმა ქოხმახებმა, წისქვილებმა და იქვე ატუზულმა ალვებმა ჩრდილიანიდან გამოჰყვეს თავი. ჭათა ოწინარები ისე აჭრიალდა, სამრეკლოს თავზე ჩამაგრებულმა თუნუქის ალამმა რომ იცის ქარში. ოჰ, რა ტურფა, რა მშვენიერია ეს ვარდისფრად მოსხივციისკარე მიწაწყალი. ჩემო სულზე უტკბესო! ჩემო ერთადერთო! ჩუ! ვილაც მოდის. ფხიზელ გუშაგს მოახლოებული ნაბიჯები ესმის. ეტყობა, ჩემი შეცვლის დროა. უცებ ხმა ჩაესმა სკავინსკის:

— ჰეი, ბერიკაცო, ადე, რა მოგივიდა?

სკავინსკი თვალს ახელს და გაკვირვებული უყურებს თავზე წამომდგარ კაცს. ვერ გაერკვა, ერთმანეთში აერია სიზმარი და ცხადი. ბოლოს ზმანება გაიცრიცა და გაქრა. მის წინ ჯონსი დგას — ნავსაყუდელის ყარაული.

— რა მოხდა, — ეკითხება ჯონსი, — შეუძლოდ ბრძანდები?

— არა.

— ამ ღამეს შუქურა არ აგინთია, სამსახურის დატოვება მოგიწევს. სანჟერომიდან წამოსული გემი მეჩეჩზე შეჯდა და დაიმსხვრა; ბედად არავინ დაღუპულა, თორემ ციხეს ვერ ასცდებოდი. ახლა ჩემს ნავში ჩაჯექი, დანარჩენს საკონსულოში გეტყვიან.

ბერიკაცი გაფითრდა: ამ ღამით მართლაც არ აუნთია შუქურა.

რამდენიმე დღის მერე სკავინსკისათვის ერთ-ერთ გემზე მოუკრავთ თვალი, ასპინუოლიდან ნიუ-იორკისკენ რომ აეღო გეზი. საწყალს სამსახური დაუკარგავს. ახლა ისევ მოუწევს აღმა-დაღმა ხეტიალი; ქარმა ისევ აიტაცა ეს გზააბნეული ფოთოლი, რომ მთელი მილეთი ქარდაქარ შემოეტარებინა, გული ეჯერებინა მისი აბუჩად აგდებით. ამ რამდენიმე დღეში ბერიკაცი ჩამოხმა თითქოს, წელშიც მოიხარა. ეგ არის, თვალები უბრწყინავდა კვლავინდებურად.

სიცოცხლის ახალ გზებზე სკავინსკიმ ის სანუკვარი წიგნი გაიხადა მეგზურად. დროდადრო ამ წიგნს მკერდზედაც მიიხუტებდა, თითქოს ეშინოდა, ესეც არ დამეკარგოსო...

□

ვიქტორ ასტაფიევი

ბერმუხელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა ბიბი ხორნაულმა

ლეონიდ ლეონოვს

●

ბექებიან შუბლა კონცხზე ყავრითა და ხის ქერქით გადახურული ოციოდე ქოხი ძარიდან გადმოყრილი ნაკოდლებივით შიმოფანტულიყო. ეს გახლდათ კერჟაკების სოფელი ვირუბი.

მალვა-პარვით, თითო-ოროლობით მოდიოდა აქ ხალხი და სახელდახელო ქოხებს დგამდა, რათა ზამთრის დადგომამდე მოესწრო დაბინავება. მიშენ-მოშენებას, საძირკვლის გაღრმავებასა და მაღალი, მკვიდრი მესრით შემოღობვას მერმელა ჰკიდებდნენ ხელს. ამიტომაც იყო, რომ ჩუქურთმიანი ჭიშკრებისა და გათლილი მესრების მიღმა ხშირად ნახავდით ვირუბში ფარღალალა, საცოდავ ქოხმახებს. თუმცაღა ზოგიერთ მოსახლეს, „ძველმამაპაპურ ფუძეთა“ ქომაგსა და ახალმორწმუნე „უწმინდურთ“ გამორიდებულს, ეს პირველი თავშესაფარი საზამთრო სამყოფად — ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფლიგელად ექცია.

სოფელშეყუჟული კონცხი გარე სამყაროსაგან საგულდაგულოდ იყო გადაღობილი მთაგრეხილებითა და ულრანი ტაიგით. ხანდახან მხოლოდ ზემოური მეტივეები თუ ჩამოიქროლებდნენ მდინარე ონიაზე ორთაყვირების გამწარებული ჭრიალ-ღრჭიალით. იქ, სათავეებისაკენ, ხრიოკ სტეპებში, მომთაბარე მესაქონლეების მეზობლად, დიდ ჯახირსა და წვალებაში იყვნენ გადმოსახლებული რუსები — ისინი მუშაობდნენ ხე-ტყის დაცურებაზე და ისინი მოაქანებდნენ აქაფებულ ონიაზე ტივებს მთებში შეფარებულ რასკოლნიკების სავანეებსა და სოფლებს შორის, რომელნიც ვირუბის მსგავსად უსალმონი და იდუმალნი იყვნენ. დიდი ხანია ცოცხალი აღარ იყო, ვინც პირველად მოვიდა კონცხზე, მიმოიხედა, დაკვირვებით აწონ-დაწონა ყველაფერი:

წინ მთები, უკან მთები, მარჯვნივ მთები, მარცხნივ მთები და მათ შუა აბობოქრებული, პირქაფიანი ონია. ევიწროება კლდიანებში ონიას, ლოდები ეხმელება, ხეობაში სული ეხუთება. ცოტას შემდორდება მორევებში, ცოტას დაწყნარდება, ჩასთვლემს და ჰა, ისევ ჩხატები, ჩანჩქერები, ჭორომები აქვს გადასალახი, ისევ ღრიალით უნდა გაიკვლიოს გზა და ისევ უცქიროს, რა ლაღად და ანცად თამაშობენ მის ტალღებში ტაიმენები და კაპოტები.

კონცხთან სულ ახლოს, მდინარის მეორე მხარეს ქვის ლოჯები ამოჩრილა წყლიდან და მთელი ზაფხული შხუილისაგან გაყრუებულია სოფელი, იტყვის კაცი, ქარი ტაიგას აშრიალებსო. ვირუბის ჭორომებთან ზამთარშიაც კი დიდხან შავფრობენ აბზინდები და თითქმის შობამდე მოისმის მათი სუსტი შარიშური. ვერც მდინარით, ვერც მთის ბილიკებით ვირუბში ვერ შეაღწევ — კისერს მოიტეხ. იმ უცნობმა კერჟაკმა, პირველი ძელქვა რომ წამოაქცია ქოხისათვის, იცოდა, სად და როგორ დამალულიყო ამ ქვეყნისაგან.

ვირუბის ჭორომს ძალზე საშიშ და ჭირითგასავლელ ჭორომად თვლიდნენ მეტივეები. დოყლაპიობა, უნიათობა აქ სიკვდილია. ამ ადგილას მდინარე მრიცლეა, ყველაფერი მარცხენა ნაპირს ეხეთქება. თუ არ იმარჯვე — ტივს შეაყირავებს, ლოდებს შეანარცხებს, დაშლის, დაანათოსებს. ასეც მოხდა ერთხელ, მეტივეთა მკლავები მდინარეზე ძაბუნი აღმოჩნდა, ლოდზე შეგდებულმა ტივმა დაიკვნესა, სამაგრებმა დაიწკარუნა და დაიშალა.

სუსტი, უიმედო ხმით ითხოვდნენ შველას მეარტელეები. კარგად იცოდნენ, არც ერთი კერჟაკი თითსაც არ გაანძრევდა მათ გადასარჩენად. ანკი რატომ უნდა გადაერჩინათ ისინი, ვისაც ასე საიმედოდ ემალებოდნენ, რა საჭირო იყო სოფელში უცხოთა შეყვანა? ცუდი საქმისა და გარყვნილების მეტს რას უნდა ელოდე მათგან.

რანაირად, როგორ მოხდა და ტივიდან გადმოვარდნილი ბიჭუნა მორს ჩააფრინდა შიშისაგან, ისე ჩააფრინდა, რომ ფრჩხილები ხეში ჩაასო. მორი კლდეს შეეხეთქა, ხელები მიუძეძკა პატარას, მაგრამ მან მაინც არ გაუშვა. მორევმა ატრიალა, ატრიალა და სოფელთან გამორიყა.

მოცვივდა ხალხი. რამდენი არ ჯმუჯნეს აბეზარა დედაკაცებმა, რანაირად არ ჩაჰკითხეს გამომცდელად, ვინ ხარ, საიდან ხარო, ვერაფერი ათქმევინეს. ბიჭუნას შიშისაგან ენა მუცელში ჩავარდნოდა, თვალდაჭყეტილ-დაელმებული შესცქეროდა ყველას და თავს უაზროდ აცანცარებდა.

— შეიშალა! — დაასკვნა ხარაზმა ტროხამ და დედებმა ბავშვები ნაპირიდან გამოყარეს, „შერყეულმა“ არ დაკბინოსო.

კაცებმა ბჭობა გამართეს: რა ვუყოთ ამ ბალღსო?

დიდხანს იყაყანეს, იკამათეს და ერთხმად გადაწყვიტეს: მოვიცილოთო სულელი.

ცრუმორწმუნეობამ და „ძველმამაპაპურმა ადათმა“ სიბრალული არ იცის. ამ ცრუმორწმუნეობამ უკარნახა ხალხს, რომ ბიჭუნა შემთხვევით არ გამორიყა წყალმა, რომ ეს ავის ნიშანია და რომ უბედურებას ვერ ასცდებიან, თუ ბიჭს სოფელში დატოვებენ. თუ ასე არ იყო, აბა რად შთანთქა წყალმა ყველა ძლიერი მეტივე, ხოლო პაწაწა, თითქმის უსუსური კაცუნა კი გადაარჩინა. უნდა მოიცილონ. პატარას გოგრა უტანტარებდა და ღიაწყლისფერ თარს თვალებს არც კი ახამხამებდა. ასეთი თვალები მარტო ძროხას კი არა, ორსულ დედაკაცსაც გასთვალავს. და ვინ იცის, კიდევ რა მოხდება! გადა-

მთიელნი დაესხმიან, თამბაქოს მწევარს — პოლიციის უფროსს მოიყვანენ, დაიწყებენ ძიებას, რა იყო, როგორ იყოო და ბიჭი ხარ, თავი დაიხსენი. არა, ჭვეუნისაგან რაც შორსა ხარ, მით უფრო ნაკლებ შესცოდავ.

ნაპირი სწრაფად დაცარიელდა. დედაკაცებმა ხბორებივით გაირეკეს წინ ცნობისმოყვარე ბავშვები, ორი თითით გადასწერეს ჯვარი თავის გზა-კვალს და სახლებში შეიკეტნენ. კაცებმა იმავე მორებისაგან, რაც დალუპული ტივისაგან გამოერიყა წყალს, სამხიანი ტივის შეკვრა დაიწყეს. არა, ბიჭუნას მოკვლას არ აპირებდნენ, ეს დიდი ცოდვა იყო! დასვამენ ამ სამხრეზე და შეაცურებენ — მშვიდობის ცურვაო! ხოლო სადამდე, რა ადგილამდე იცურებდა, ეს უკვე მათ აღარ ესაქმებოდა.

— ღმერთმა გამოგზავნა — ღმერთმავე გაიყვანოს სამშვიდობოს. უნდა — მიიყვანს შემდეგ სოფლამდე, უნდა — პირველივე ჩანჩქერში დაახრჩობს. ეჰ, ღვთის ნებას ვინ წაუვა.

ბიჭი თვალს ადევნებდა ცულებით მოფუსფუსე გლეხებს და ცდილობდა გაეგო, თუ რას უპირებდნენ. მაგრამ ტკივილი უხშობდა გონებას. მან წყნარად ამოიკვნესა, რიყეზე გახოხდა და დასახიჩრებული ხელი ცივ წყალში ჩაყო. კაცებს სახე შეეჭმუხნათ.

ხარაზმა ტროხამ ცხვირში თხუპუნით წაილულლუღა:

— ხელი მაინც შეგვეხვია.

კრინტი არავინ დაძრა და ტროხაც შინისაკენ გავარდა ჩვრის მოსატანად. გადასაგდები ჩვარი ვერსად რა ნახა. ტროხას ცოლმა, ცხოვრებისაგან და ვირუბის მცხოვრებთაგან მოძულებულმა საწყალმა ქალმა, თავის ქალიშვილობის დროინდელ ხელის ტილოს პუჭპუჭა მოაღლვია, ქმარს გაუწოდა და თან წაიბუტბუტა:

— რასა ჩადიან, რასა ჩადიან!...

ტროხამ ჭრილობაზე თამბაქო მოაყარა ბიჭუნას და სიძველისაგან გაყვითლებული ჩვრით შეუხვია. გლეხებამდე აღწევდა მისი ქეჯნიანი დუდღუნი:

— შენ რომ კაბარგა იყო ან რაღაცა სხვა ცხოველი, უცებ მოგიღებდით ბოლოს და ამდენს აღარ გაცოდვილებდით. მაგრამ რაც უნდა იყოს, მაინც ადამიანი ხარ და ამისი გაკეთება არ შეიძლება; ამიტომაც იტანჯები ამდენს...

ბიჭუნა შესცქეროდა ტროხას და სიმწრისაგან თავს აქეთ-იქით აწყვეტებდა. სახეზე კარტეჩივით ჩამოსდიოდა ცრემლები, ტკივილისაგან გული უწუხდებოდა. ტროხამ ფრთხილად მიაწვინა ქვებზე.

— ოჰო-ჰო-ჰო, ნეტავ აქ დაგელია სული, საერთო სასაფლაოზე დაგმარხავდით, შენი სული ჯერ უცოდველია, სუფთაა. თორემ ხელახლა წყალმა გაპრიწიალოს, ვინემ სიკვდილი მოგნახავდეს...

ბიჭი მიყუჩდა, თვალები მილულა და ტროხაც შეეცადა წყნარად გასცლოდა.

— იქნება ჩაეძინოს და მძინარე შევაცუროთ წყალში, ოჰ-ოჰ-ოჰ! — ტროხამ თვალები ცისკენ აღაპყრო და გაუბედავად თქვა: — ძმებო, ღმერთს ნუ ვცოდავთ...

— ნუ წკმუტუნებ! — შეუღრინა კურდღლისტუჩა, ბაჯაჯგინა გლეხმა: — სოფელმა გადაწყვიტა.

ტროხამ ენა ჩაიგდო. სოფელს წინ ვერ აღუდგები, სოფელი — ძალაა. ხოლო კურდღლისტუჩა გლეხმა ფრთხილად აიტატა ბიჭუნა და ტივისაკენ წაი-

ყვანა. წყლის დანახვაზე ბიჭმა გაიბრძოლა, ცემა დაუწყო ქვასავით მაგარ უცხო ხელებს.

სამჯერ შეათრიეს ბიჭუნა ტივზე, სამჯერვე გადმოხტა და აბლავლებული ამობობღდა ფლატეზე. სისხლიანი ჩვარი შეეხსნა, ზედ იბიჯებდა, ეცემოდა. სისხლიანი დაძეძკილი თითები ლამითა და მიწით ამოეგანგლა. ამ ტალახის გუნდიდან თითების ადგილას ძვლის პრიალა თეთრი ნატეხები ამოჩროდა. მაგრამ ისინიც, ეს ძვლებიც ფხოჭნიდნენ მიწას, ჭინჭრებს ებლაუჭებოდნენ. ტროხამ ვერ გაუძლო ამ საშინელებას და აბანოს მოეფარა. გლეხებმა ძალით შეაგდეს ტივზე პატარა კაცი და მუხლებით მიაჭყლიტეს მორებზე. ბიჭი იფხლაკნებოდა, თევზივით უსხლტებოდა, აკანკალებულ ხელებზე ჰკბენდა გლეხებს. უცებ მისუსტდა, მოეშვა, გრძნობა დაკარგა, მაგრამ გამხდარი სველი ტანი მაინც უტოკავდა. გლეხებს მოეჩვენა: სიკვდილს ებრძვისო პატარა სული.

— წყლისა ეშინია, — ჩაილაპარაკა ვიღაცამ შიშისაგან ნირწამხდარი ხმით და ჩუმად დაამატა, — უნდა მივაბათ, თორემ აქვე მოგვივა.

— რა დროს მიბმაა, შევაცუროთ, სანამ გონზე არ მოსულა.

— გადასაბმელები იყო სადღაც, გადასაბმელები, — ჩქარობდა ვიღაც, — ეჰ, რაღა ნაპირზე შევკარით ტივი.

— იჩქარეთ, ღვთისნიერო ხალხო, სანამ ბავშვს სული არ დაულევია თქვენს ხელში, თორემ ცოდვა თქვენ მოგეკითხებათ! — გაისმა დამცინავი ბოხი ხმა.

შეხტნენ გარეგნულად უშიშარი, გულით კი მფრთხალი ძველმორწმუნენი, თითქოს ხმას ციდან დაეგრგვინოს. ამ გაწამაწიაში ვერავინ შეამჩნია, როდის მოადგა ნაპირს ვერხვის ნავგეჯა და როდის გადმოვიდა იქედან შავწვერა ზორბა მონადირე ფაეფანი, საეკლესიო კალენდრით — თეოფანე, ვისი სახელიც ენას ისე მოეგლუვებინა, როგორც მდინარეს ქვები, და წარმოსათქმელად იოლი გაეხადა.

ფაეფანი მძიმედ მოაბიჯებდა ნაპირზე, მის ფეხქვეშ ქვები ლამში ჩადიოდა. კერჟაკებმა გზა უტიეს.

მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ფაეფანი ოჩოპინტრესთან იყო ჩაძმაკაცებული და ამიტომ უფრთხოდნენ. თვითონაც რაღაცით ჰგავდა ოჩოპინტრეს: გრძელი მკლავები, მოგრეხილი ცხვირი, გაბანჯგვლულ, ჩამოფანჩულ წარბებს ქვეშ მოელვარე ბოშასავით შავი თვალები, რომლებიც თითქო ბურღავდნენ ადამიანს, სულის სიღრმემდე სწვდებოდნენ.

ფაეფანი ბავშვისაკენ დაიხარა, თითით ამოუფხრიწა ხალათი, ფერწასულ დიდშუბლა სახეზე წყალი შეასხურა. მან მძიმედ გაახილა მობინდული თვალები და ფაეფანს მიაჩერდა.

— ცოცხალია! აი, შე ტაიმენუკავ! ამ ღვთისნიერ ხალხს კი საიქიოს უნდოდა შენი გასტუმრება, თანაც ისე, რომ ხელი არ გაესვარათ...

ფაეფანმა თავისი ბალნიანი თათი გაუწოდა ბიჭუნას. ბიჭი შექანდა, თითქოს ყელში რაღაცა გაეჩხირაო, აბლუკუნდა და უცებ აღმოხდა სასოწარკვეთილი ბღავილი:

— ა-ა-ამა!

— კარგი ჰო, ნუ გეშინია, ნუ გეშინია! ეჰ, შე საცოდავო, ადამიანი მხეცისაგან ჯერ ვერ გაგირჩევია!

ფაეფანი მოეფერა ბიჭუნას, ხელში აიყვანა, საწვიმრის კალთა შემოახვია და ფლატეზე აალაჯა. სოფლისაკენ მიმავალ გზაზე გაუბედავად გადაელობნენ გლეხები. ფაეფანმა თვალები მძვინვარედ დააბრიალა:

— დაიღუპეთ აქედან, მე თქვენი ჯიში... სანამ ცუდი არაფერი ჩამიდენია!

ნაპირი დაცარიელდა. გლეხები, ვინ შიშნაკრავი და ვინ გულს მოშვებული, შინისაკენ წაცუხცუხდნენ. ფაეფანმა კარგად იცოდა თავის სოფლელთა ზნე, ამიტომ სოფლის ორღობეში შესულმა ხმამაღლა დაიძახა:

— თითის დაკარება არავინ გაბედოთ, თორემ გაგათავებთ!

პასუხად — არც კრინტი, მხოლოდ ფანჯრის დარაბებმა გაიღეს ჯახუნი, დარაბებს მიღმა ფაციფუცი შეიქნა. პატარა სპილენძის ხატებთან, სიძველისაგან გამწვანებულ, მამა-პაპათაგან უბითა თუ ტილოს ჩანთით ნატარებ ჯვარცმასთან იწერდნენ პირჯვარს: „უფალო, დამიფარე უცხო თვალისაგან. რწმენა განიმტკიცე გულში, გადამარჩინე და დამარჩინე!“

ფაეფანს კი, მეტსახელად კატორღელს, მიჰყავდა სოფლის ახალი მცხოვრები, რომელსაც ალერსით ტაიმენუკას ეძახდა. ამაზე საალერსო სიტყვა ფაეფანმა არ იცოდა.

* *

ფაეფანის ცოლი მაკრიდა ეზოში შემოეგება ქმარს, საწვიმრის კალთა გადაუწია და გასუსულ ბიჭუნას ჩააცქერდა.

— რა ღვთის წყრომაა ჩვენს თავს! შეიყვანე, ღუმელზე დააწვინე, ნაკურთხ წყალს ვასხურებ. ოღონდაც ამქვეყნიური პირი არ უჩანს, არა, თან ვერც სოფელს აღუდგები წინ.

— იყრანტალე, იყრანტალე, ჭინკავ, — წაუქშინა ცოლს ფაეფანმა. — მე ვეყოლები ამას დამცველი! — ჩაფიქრდა, თვალები მოჭუტა: — და შენც აგრეთვე.

მაკრიდამ თვალები ცისკენ აღაპყრო და მარცხენა მხართან მიიდო ჯაფისაგან დაჯღარკულფრჩხილებიანი ორი თითი.

— ჩვენ ყველას მამაზეციერი გვყავს დამცველი. მისი ნებაა ყოველივე.

მაინც ვერ გაიგო ფაეფანმა — გაკიცხა მაკრიდამ შვილობილის მოყვანისათვის თუ არა. ქაჯივით გრძნეული და ქვეშქვეშელაა მაკრიდა, უცებ ვერ გაიგებ, რა უდევს გულში. ოჯახში დიდი ხანია ის უფროსობს, მას შემდეგ, რაც ფაეფანი ჯარში გაამწესეს.

სათემო გამგებლობამ ერთხელაც მიაგნო სოფელ ვირუბს და მაშინვე სამხედრო ბეგარა, გადასახადები შეაწერა. უხუცესებმა ურჩიეს წვევამდელებს, ჯარში წარწყმედას სალოცავებში დაწვა გერჩივნოთო. მაგრამ ცოცხლად დაწვა არავინ ინდომა. მაშინ იმავე უხუცესებმა თქვეს, ავიკრათ გუდანაბადი, ხატები, ჯვარცმა, „წესის“ წიგნები შულდაკებში ჩავიწყოთ და გადავიხვეწოთ სადმე უდაბურ ტყეში, „აღთქმულ მიწაზე, სადაც არა არს ხელისუფლება“, ხალხისაგან აღზევებულიო.

ვირუბელებმა იქოთქოთეს, ივიშვიშეს, ჩამოცრემლეს, წასვლით კი არსად წასულან. მაშინ მოწესე აგაფონმა, — მაკრიდას მამამ — დაწყევლა ყვე-

ლანი, სამლოცველოში ჩაიკეტა, მშიერ-მწყურვალმა სამი დღე-ღამე ლოცვაში გაატარა, ხოლო მეოთხე დღეს ცეცხლს მისცა სამლოცველო და შიგ ჩაიწვა.

მამასახლისი მოევლინა სოფელ ვირუბს, თავყრილობანი დააწესა. წელიწადში ერთი-ორჯერ პოლიციის უფროსის სახით მთავრობაც მობრძანდებოდა ხოლმე სოფელში და კუშტ კერჟაკებს ლაზათიანად შეჯორავდა. ვირუბელებმაც თანდათან ისწავლეს ჭკუა, უფროსებთან საერთო ენა გამონახეს წვევამდელთა გამოსასყიდლად. მაგრამ სანამ ჭკუას ისწავლიდნენ, რამდენიმე ახალგაზრდას მოუხდა ჯარისკაცობის შხამ-სამსალის შესმა.

მოველურო, უხიაგი და ფანატიკოსი ახალგაზრდა ფაეფანი თვალში ამოიღო კოხტაპრუწა უნტერ-ოფიცერმა. ერთი-ერთმანეთზე ჭუჭყიან საქმეებს იგონებდა კერჟაკისათვის, აბუჩად იგდებდა, მაინცდამაინც ხალხში სცემდა და ურტყამდა, მაგრამ ვერც დააკვნესა, ვერც აატირა და ვერც ქრთამი ვერ დაცინცლა. ერთხელაც სამხედრო მეცადინეობაზე უნტერ-ოფიცერმა ხიშტი გაუქანა ფაეფანს და როცა ამან ხიშტს ხიშტი აუკრა, ამობრუნებული კონდახი ხეთქა თავპირში. ფაეფანს ჩაესმა თავისივე ცხვირის ძვლების ხრაშუნი, სისხლი მკერდზე ჩამოენჩქლია.

ფაეფანმა მთელი ასეულის თვალწინ შაშხანის ლულამდე ჩასცა ხიშტი უნტერ-ოფიცერს.

ამ ბეჭებში გახედებული ხიშტის დარტყმისათვის ფაეფანს მთელი სიცოცხლე ბაიკალს იქით საბადოებში მუშაობა მიესაჯა, მაგრამ პიტერში ტახტზე ვიღაცამ ვიღაცა შეცვალა და მისმა ყოვლად მოწყალებამ რამდენიმე ათეულ კატორღელს თავისუფლება უბოძა.

სხვა კაცად დაბრუნდა ფაეფანი ვირუბში. არ მიიღო აღარც ძველი და აღარც ახალი სარწმუნოება, თითქოს აღარავინ და აღარაფერი აღარ სწამდა. თვეობით იკარგებოდა ტაიგაში, ნადირობდა. მაკრიდა შეეგუა უქმროდ ოჯახის გაძღოლას. ასე უკეთესიც იყო. ლოცულობდა, როგორც უნდოდა, რამდენიც უნდოდა და ძველებურად მკაცრად იცავდა კერჟაკულ წესებს. თუმცა შესუსტდა, ჰოი, როგორ შესუსტდა ძველმამაპაპური რწმენა ვირუბელებში...

თავისთავად მოხდა ისე, რომ „აგაფონ წამებულის“ დაწვის შემდეგ მის ადგილზე მაკრიდა აღმოჩნდა და მას სხვაგვარად აღარავინ მიმართავდა, თუ არა „დედა მაკრიდას“. ფაეფანი სიმთვრალეში მუდამ დასცინოდა, მაგრამ ქალი „ურწმუნო“ ქმარს ყურსაც არ უგდებდა. ის თავის საქმეს აკეთებდა, ქმარი — თავისას.

რომ მტკიცე ხასიათი ჰქონდა, რომ არ წახდა მძიმე წლებში, რომ შესძლო ოჯახის გაძღოლაც და სოფლის დარიგებაც, ფაეფანი დიდად აფასებდა მაკრიდას. გულით არ უყვარდა, მაგრამ პატივს კი სცემდა. დარწმუნებული იყო, თუ ვინმე შეძლებდა შვილობილის დაცვას, ისევ მაკრიდა შეძლებდა, როცა საჭირო შეიქნებოდა.

ბიჭუნამ თანდათან ამოიდგა ენა. ხელის თითებმა უტკივილა და მერე შეახმა. შერჩა მხოლოდ ნეკი და ბერა თითი, ორკაპის მსგავსად.

ტაკვიანი, ტაკვი, ტაკვა — ასე ეძახდნენ ვირუბელები ბიჭუნას და ისიც მალე შეეგუა ამ სახელს. სხვა სახელი არც რქმევია არასოდეს და არც ახსოვდა, თუმცა მაკრიდამ ტიტი შეარქვა თავიდან, მაგრამ არ მიემყნო და არა ტიტი.

მაკრიდასა და ფაეფანის შვილი ამოსი ხმელ-ხმელი, მოქნილი ბიჭი იყო — ტაკვაზე ორი წლით უფროსი.

— ეს შენი ძმა იქნება, — უთხრა ფაეფანმა ამოსს, — ერთურთს მხარი უჭირეთ, ნუ დაჩაგრავ და სხვასაც ნუ დააჩაგვრინებ.

— კ-კარგი, ოღონდ ჩემს წესდებას უნდა დაემორჩილოს, — გააფრთხილა ამოსმა მამა.

— ჯანდაბას, შენსას დაემორჩილოს, ოღონდ მაკრიდასას ნუ, თორემ ამისაგან ლაქლაქა მედავითნეს გამოიყვანს. მე მონადირეებად მინდა გ•გზარდოთ და არა ღვთის მსახურებად...

ფაეფანს დამხმარე ესაჭიროებოდა, მონადირე, მაკრიდას — მოწესე და თანაც ისეთი, მუჭში რომ მოიქცევდა თანასოფლელთ, რომელთა სულშიაც შეირყვნა ძველმამაპაპური რჯული და ადათი, მართლმადიდებლური რწმენა, რისი გულისათვისაც ცეცხლში დაიწვნენ უშიშარი წამებულნი, მღვდელთმთავრები ავაკუმი და ივანე ნერონოვი, თავი დასდეს დიდმოწამე ფეოდოსია მოროზოვამ და ევდოკია ურუსოვამ, სახელოვნად დაიღუპა სლოვეცკის აჯანყების ერთ-ერთი მოთავე ბერი გერონტი.

ამოსი იყო დედის სიხარული. გამჭრიახობა და გონიერება თვალებში ეტყობოდა, ხშირად დედაც კი ვერ ხვდებოდა მის ზრახვებს. თუ საქმეს რამეს მოჰკიდებდა ხელს, ველარ მოსწყვეტდი. ჩაიჟეჟ-ჩაიგლიჯებოდა, ხელებს დაისისხლიანებდა და მაინც თავისას გაიტანდა. აი ასეთი მოწესეა საჭირო, თავის ძალაუფლებას, თავის ნებას რომ დაუმორჩილოს ყველა.

მაგრამ ჯერ ბალღია ამოსი, სულელი, გაურბის დედის მორჩილებას. ხალხი კი ალთა-ბალთასაა, ხოლო რწმენას განმტკიცება უნდა. რითი? როგორ?

ჩლიქების ტკივილი — ტყის ავადობა — დაერია პირუტყვს. ვერ დააფრთხეს ვერც ეზოში ჩამარხული ჩლიქებით, ვერც მარგილზე ჩამოცმული თავის ქალით, ავადობა სცელავდა ცხენს, ცხვარს, ძროხას. არ უშველა არც ლოცვანთა კითხვამ და არც ხატების წინ დიდიან-პატარიანად საყოველთაო ყურყუტმა. საქონელი დაეცა. უბედურება დაატყდა სოფელს. ვირუბში აღარ იყვნენ მონადირენი და მეთევზენი, გადაშენდნენ მომპოვებელნი და მშოვნელნი, მხოლოდ ხვნა-თესვითა და მესაქონლეობითღა ცხოვრობდნენ. და აჰა: საქონელიც დაეცა, გაწყდა.

განარისხეს მამაზეციერი, მისი გულის მოგებაა საჭირო, მსხვერპლის შეწირვაა საჭირო — მარტო ლოცვით ვერ მოთაფლავენ.

მსხვერპლი... მსხვერპლი... მსხვერპლი... სულ უფრო ხშირად იმეორებდნენ ამ სიტყვას და ამოსმაც შენიშნა: ასეთ დროს მლოცავნი დედანი მისი პატარა ძუძუმტესაკენ აპარებდნენ თვალს. ის არავის ეცოდებოდა, მისი უცებ ჩაკვლა უნდოდათ.

მაკრიდა შეფიქრიანდა, მთელი ღამე ფერგადასულ პატარა ხატის წინ იდგა მუხლის კვერებზე და შუბლს ძირს ურტყამდა. დილით გამოაცხადა:

— ტიტ უთვისტომოს, წმინდა, შეურყვნელ სულს უფალი ღმერთი ითხოვს...

ვირუბელები მუხლებზე დაეცნენ მაკრიდას წინ: გაახარა დედა-მფარველმა, გამოიცნო. განა ვის ემეტებოდა თავისი შვილი კოცონზე დასაწვავად!

სამი დღე და სამი ღამე აშიმშილეს ტაკვა, მხოლოდ წყალს ასმევდნენ ცოტ-ცოტას. შინნაქსოვ• სუდარა შეუკერეს, კისერზე თვით წმინდა აგაფო-

ნის ჯვარი დაჰკიდეს. ლოცულობდა მაკრიდა, თან თვალი ამოსზე ეჭირა. მერე აბანოს უკან გაიხმო, საგზლით სავსე გუდა შეაჩეჩა და უბრძანა:

— საჩქაროდ შეუყევი ონიას იზიბაშისკენ, მამასთან გაეჩქარე, ხვალ კი აქ იყავი, თორემ...

გამთენიისას მხრით შეხეთქა ამოსმა მონადირული ქოხის ნაჩოჩკნი კარი, იატაკზე ჩაიკეცა, წყალი მოსვა, სული მოითქვა და შეშფოთებულ მამას შეხრიალა:

— ძამიკო... — და ღუმელში მინავლებულ მუგუზლებზე მიანიშნა.

სხვენებსა და სარდაფებში ემალებოდნენ გავეშებულ ფაეფანს ვირუბელები. დედა მაკრიდაც კი ვერ ბედავდა მასთან გამოჩენას. ფაეფანმა შინ ჭურჭელი დაამსხვრია, მეზობლებს ფანჯრები ჩაულეწა, გამოიყვანა შვილობილი და კვლავ იზიბაშისაკენ გასცურა.

მაკრიდამ ქმრის ცოდვებისათვის ათასი თაყვანისცემა იკისრა, ამოსს ასი აკისრებინა.

„მე რატომღა?“ — წყენით ფიქრობდა ამოსი და წარბებს ქვეშიდან უცქეროდა დედას თავისი ღრმად ჩამჯდარი თვალებით, შედავება კი ვერ გაუბედა. სიტყვის შებრუნებას ჯერ ვერ უბედავდა დედას.

ასე გაიყო ოჯახი ორად.

ძნელია ტყეში ბალღით ყოფნა. ყოველთვის თან ვერ წაიყვან ტაიგაში, იზიბაშში მარტოდ დატოვებაც საშიშია. თუმცა ტაკვა მალე შეეგუა ახლებურ ყოფას. ხასიათითაც ჩუმი იყო, მარტობის მოყვარული, წლოვანებისათვის შეუფერებლად გულჩათხრობილი. ჩამოჯდებოდა ონიას ნაპირას ბექობზე და საათობით იჯდა მუხლებზე ხელებშემოჭდობილი, რაზე ფიქრობდა? იქნებ სულაც არაფერზე. უბრალოდ იჯდა, უბრალოდ სუნთქავდა, გაჩხიკული მკერდით იწოვდა მიწის ცხოველმყოფელ წვენს...

გაზაფხულზე ათასნაირი ყვავილებით ამკობდა ბიჭუნა ქოხს. დაბრუნდებოდა ფაეფანი — საწოლზე ყვავილები, მაგიდაზე ყვავილები, ლეიბქვეშ ყვავილები ხვდებოდა, ქუდის შესაკრავსა და ხალათის ღილკილოებშიც კი ყვავილები ჰქონდა გარჭობილი ბიჭუნას. ქოხში ყვავილების ისეთი სურნელი იდგა, კაცს დაბნიდავდა.

— აი, ყოჩაღ, აი, ყოჩაღ! — გაიძახოდა შვილობილის ასეთი არააბეზარი, უცნაური ხასიათით აღფრთოვანებული ფაეფანი.

ერთხელ ფაეფანმა ხელი ჩაჰკიდა ტაკვას და იზიბაშის შესართავში ტაიგის ქურქიდან კვერცხივით ამოზიდულ ქაჩალგორაზე წაიყვანა. აქ მონადირემ ისეთი ხავერდოვანი და ისეთი სურნელოვანი ყვავილი უჩვენა ბიჭუნას, რომელსაც თითქოს ტყის ყველა სურნელი შეესრუტა.

— ბერმუხელა! — არაჩვეულებრივი სინაზით წარმოთქვა ფაეფანმა და უამბო შვილობილს, თუ როგორ მოვიდნენ ამ ადგილებში მრავალი წლის წინათ მამაცი, შეუდრეკელი ადამიანები, მოვიდნენ იქიდან, სადაც იზრდება მუხა, სადაც იზრდება ვაშლი, მსხალი, ალუბალი და არ არის კედრიანები და ნაძვნარები. მათ ყველაფერს თავისი სახელი შეარქვეს, ხოლო ყველაზე ლამაზ, ყველაზე სამკურნალო ყვავილს სათაყვანებელი ხის — მუხის პატივსაცემად ბერმუხელა უწოდეს. ასე იქცა ეს ყვითელი სურნელოვანი ყვავილი სამუდამოდ დაკარგული მშობლიური მხარის უკვდავ ხსოვნად. იცვლებოდა თაობები, იხოცებოდა ხალხი, აღარ იყვნენ ისინი, ვინც სხვას სდევნიდა ან თვი-

თონ იდევნებოდა ძველი რწმენის ერთგულებისათვის, მაგრამ ყოველ გაზაფხულზე მთელ ციმბირში ცეცხლივით ამობდღვრიალდებოდნენ ბერმუხელები, ჩააბნევდნენ თესლს, რათა არა და არ შეეწყვიტა მიწას ყვავილთმცნევა, მუდამ აევსო ადამიანთა გული მისი წვენითა და სურნელით და არ წაეშალა მათ ხსოვნაში წარმომშობელი ძვირფასი მხარე.

იმ დღიდან მოყოლებული ტაკვამ ხშირ-ხშირად დაიწყო ქაჩალგორაზე სირბილი, იპოვიდა ბერმუხელას და დიდხანს ჩასცქეროდა თვალდაშტერებით.

ასე იზრდებოდა ტაკვა ბუნებაში, ფაეფანის მკაცრი ზედამხედველობით მის მონადირულ ქოხში და სულ პატარაობიდანვე ითვისებდა ყველა მონადირულ სიბრძნეს. აყლაყუდა ამოსი კი ჭერქვეშ იყვლარწებოდა. მამასავით ახმახი იყო, გრძელხელება, თვალებიც ღრმად ესხდა ბუდეებში, ოღონდ უფრო მეტად ჩაბინდული, მძინარეული. ამ თვალთა სიღრმეში იმალებოდა ეშმაკობა, ჟინიანობა, ხოლო მოწკურულ თვალებში — მედიდურობა. ფაეფანს ისე ეჩვენებოდა, რომ მისმა შვილმა იცოდა იმაზე მეტი, რასაც ლაპარაკობდა, ხედავდა იმაზე ბევრად შორს, ვიდრე ხალხი ფიქრობდა. ამოსს მამისა ერიდებოდა, დედას უწადინოდ ემორჩილებოდა, მაგრამ როგორც კი მათ თვალს აიცდენდა, ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებდა. განსაკუთრებით ზიზღით, აგდებული გულგრილობით უცქეროდა ძველმორწმუნეთა ადათ-წესებს. არავითარი ლოცვანი მის გულს არ ხვდებოდა, არავითარი ლოცვა მის სულს არ ეკარებოდა. ისევე უხმოდ და უხალისოდ ასრულებდა ამ ადათებს, როგორც საზიდარში შებმული ცხენი. მოწესე რომ არ გამოვიდოდა მისი შვილიდან, ამას მაკრიდა უკვე კარგად ხედავდა. ამოსმა დედა თითქოს შეიძულა, მამას გაურბოდა. ჯარისკაცის გარყვნილმა ქვრივმა ნელ-ნელა მიაჩვია იგი თაფლუჭის სმასა და თამბაქოს წევას. მაკრიდამ ეს უკვე ვეღარ მოითმინა და, როცა ფაეფანი სოფელში მოვიდა, უთხრა:

— მამა ხარ და დროა შენს ღვიძლ შვილსაც მიხედო, აჯილღაობა დაიწყო, საქმეში მოიხმარიე...

ფაეფანმა საქმეზე პირველად მაშინ გაიყოლა ამოსი, როცა ცხრამეტი წელი შეუსრულდა. მარალზე ნადირობდნენ სამარილესთან. ძნელია სამარილის მოწყობა, მაგრამ კიდევ უფრო ძნელია იქ ჯდომა. არც ერთი ნადირობა არ მოითხოვს კაცისაგან იმდენ ამტანობას, საზრიანობას, სიფრთხილესა და ზუსტ სროლას, როგორც სამარილეზე ნადირობა.

ყოველივე ამის თაობაზე არაერთხელ სმენოდა ამოსს და თითქოს იცოდა, რა იყო და როგორ იყო. ერთხელ მიეხმარა კიდეც მამასა და ტაკვას მდინარე იზიბაშამდე მარილის მიტანაში.

მამა ახოში მარგილებს ჩაასობდა მიწაში, მიარყ-მოარყევდა და ვიწრო ნახვრეტებში თხვლიაფ მარილწყალს ჩაასხამდა.

სწორედ ამ იზიბაშზე იყვნენ ისინი ახლა. ამოსმა ვეღარ იცნო ის ადგილი, სადაც მამამ ორი წლის წინ მიწა დაამარილა. ნახვრეტები აღარ ჩანდა, მათ ადგილას შავი ჭრილობასავით დაეღო პირი ნადირის ჩლიქით ნათხარ ორმოს. ნათხარის ირგვლივ ამოეყარა ბოლოკას, ფათალას, ჭანგას, შხამას თავზე წამოევლო ნაძვისა და ვერხვის ბაყილოებისათვის.

ყრუ, გულისგამაწვრილებელი სიჩუმე იდგა, სამარილესთან მომრავლებულ კოღოს წუილი გაჰქონდა. ჩანს, ნადირი დადის, რაკი ასე მოხშირებულად წუიან კოღოები. მდინარიდან, დაბლა რომ მიშხუოლა გაუბედავად, გრილი

სიო უბერავდა, ხოლო მთის ფერდობებიდან იელის მხუთავი სურნელი სცემდა. ამ საკმელივით მძაფრ სურნელში შიგადაშიგ ერეოდა ქაფურას თაფლისებური სუნი, რომელსაც ტალღა-ტალღად მოჰყვებოდა სანთელას ფესვების წამალივით გულის ამრევი სიმყრალე.

ამოსს იმედი ჰქონდა, მამა და ტაკვა თითო პაპიროსს მოსწევდნენ და მასაც მოაწევინებდნენ (თავისი თამბაქო მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა), მაგრამ მამამ საფარისაკენ ანიშნა თვალით. ყველანი ფრთხილად შეძვრნენ. ამოსმა გაკვირვებით მოათვალიერა იქაურობა. გარედან მხოლოდ ჩალეწილი ხეების გროვა ჩანდა, საგველა ბალახითა და გირჩებით დაფარული, ქვეშ კი თურმე გაურანდავი მორებისაგან ეშმაკურად მოწყობილი ნაგებობა ყოფილა. ეს ნაგებობა დაბალი იყო, მაგრამ მუხლებზე მდგომელა კაცი კი გაიმართებოდა. თითოეული მორის გადანაჭერი, თეთრად რომ არ გამოჩენილიყო, ტალახით ან ფისით იყო შეთითხნილი. წინიდან, შემოუქერქავ მორებს შუა სათოფურების მსგავსი ჭრილები იყო გაკეთებული. თითოეული ჭრილი არყის ხის ქერქითა და ზაფხულის მზისაგან გახუნებული ბანჯგვლა ხავსით შეენიღბათ. „ეს იმიტომ, თოფის ლულა არ დარახუნდეს“, — მიხვდა ამოსი.

არავითარი ხმა, არავითარი ფაჩუნი არ უნდა გასულიყო აქედან. ამოსი სუნთქვაშეკრული მიჩოჩდა სათოფურთან, რომლისკენაც მამამ თავის გადაქნევით მიანიშნა, ჩოქზე წამოიმართა და თოფის წვერი გაყო. მამამ თითი მიარტყა შუბლზე: დაფიქრებაა საჭირო, ტვინის განძრევაო. ამოსი გაუგებრად მიაჩერდა. მამამ სწრაფი მოძრაობით შეუყენა თოფის ჩახმახი, ამოსი ბრაზისაგან წამოენთო და მამას ზურგი შეაქცია. გარედან ქარისაგან ატაცებულივით ფარფატებდა არყის ხის თხელი ქერქი. ამოსი ყურადღებით დააკვირდა და მიხვდა, — ეს ქერქი აქ ტყუილად არ ეკიდა, ის ქარის მიმართულებას უჩვენებდა. ქერქის ბოლო საფარისაკენ იყო გამოზიდული. ჰიუზი — სუსტი, ქიქინა ნიავი, ვერხვის მოცახცახე ფოთლების შეტოკებაც რომ არ შეეძლო, ხეობიდან მონადირეებისაკენ იწურებოდა. „ჭკვიანურია! — გაიფიქრა ამოსმა, — ისეა ადგილი შერჩეული, რომ ნიავი ყოველთვის ნადირის მხრიდან უბერავს“.

აწუვლდნენ, ამღერდნენ კოლოები და მხოლოდ ახლაღა მიხვდა ამოსი, რატომ ათვალიერებდა მამა თავისასა და მის ტანსაცმელს, რატომ უთხრა, დახეული ყველგან ამოკერეო, უძიროების ყელებში ბალახი ჩაიტენეო, ყელზე ბეწვის საკოლოე შემოიხვიეო. ამოსმა ყოველივე ეს ტყუილუბრალო წვალებად მიიჩნია და შარვლის ნახევები არ ამოკერა. სწორედ იქიდან უძვრებოდნენ ახლა კოლოები.

ამოსი შეტოკდა.

მამამ მუშტი მოუღერა.

ბიჭი გვერდზე გადაქანდა და გაისუსა. სათოფურიდან შემოსულ მთვარის შუქზე იხატებოდა ტაკვას წვეტცხვირა ხმელი სახე. უძრავად იჯდა ახალგაზრდა მონადირე, თითქოსდა თვლემსო. უჩვეულო სანახავი იყო უჩიბუხოდ. როგორც ამოსს ახსოვდა, ტაკვამ სულ პატარამ გაირჭო ჩიბუხი პირში და მას მერე უჩიბუხოდ აღარც უნახავს. დედა მაკრიდა კბილებში ურტყამდა მეთუთუნეს, ერთხელ გაღვივებული ჩიბუხიც ჩასჩარა პირში, მაგრამ არც ამან უშველა. ძველებურ სიწმინდეზე თავგადაკლული დამცველის ოჯახში არანაკლებ თავგადაკლული ორი მწეველი გაჩნდა — მამა და ტაკვა.

„მამამ გაწურთნა!“ — ჩაეღიმა ამოსს და სათოფურში გაიხედა. დაისი

ჩაქრა შორეულ უნაგირას იქით. გვერდმოლეული მთვარე წამით გამოჩნდებოდა ხოლმე უჯრედ-უჯრედი ღრუბლებიდან და კვლავ თვალთაგან იკარგებოდა, ორმოს ირგვლივ ატეხილი შამბნარ-ბუჩქნარი სწორედ ის დაცრეცილი ღრუბელი ეგონებოდა კაცს, მიწაზე ჩამოვარდნილი.

ტყე უკუნეთს ეძმო. დადგა ყველაზე წყნარი საათი. მხოლოდ კოლოების ყრუ წუილი ისმოდა. ამოსს შარვალი უჩუჩუნებდა ნახვრეტიდან შემძვრალ ზედახორა კოლოებისაგან. ხელებზე ეგლისებოდა ეს წვრილი, მაგრამ მწარედ კბენია კოლოები. საკოლოეში საიდანღაც შემძვრალნი თვალებსა და ცხვირში დაფათურობდნენ, მთვრალეული ზუზუნით გვერდულად გადიოდნენ სათოფურიდან, შავ ნაპერწკლებად გაკრთებოდნენ მთვარის შუქზე და შამბნარში ცვიოდნენ. მათ ნაცვლად სხვები შემოდიოდნენ, საქმიანად რომ ბზუოდნენ სათოფურის სიახლოვეს.

ამოსს ჭირის ოფლმა დაასხა. „მთვარე მაინც გამოსულიყო და იქნებ აცივდებოდა“, — გაიფიქრა გულშეღონებულმა ამოსმა და შეამჩნია, მამა რაღაცას ანიშნებდა. სიბნელეში ერთხანს ვერ გაიგო, რა უნდოდა მისგან. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა — მამა ხელებზე ანიშნებდა. ბიჭმა შვებით მიაგდო თოფი და გამწარებით დასცხო მარჯვენა ხელი მარცხენა ხელის ზურგს. ხელი სისხლისაგან დაუსველდა. იმავე წუთს შიგ ყურის ძირში მოხვდა სილა და გვერდზე დაეცა.

— მე გითხარი, ხავსში ჩამალე-მეთქი ხელები! — ნიავის შრიალივით გაისმა მამის ბრაზიანი ჩურჩული.

ამოსმა ხელები ნაგვიანევად ჩამალა ხავსში.

ჯიუტი მთვარე ბოლოს მაინც გამოძვრა ღრუბლებიდან, როგორც თევზი სლიპი ხოლოხიდან. უცებ ყველაფერი გამოიკვეთა თვალწინ: ყვავილთა ფურცლები, შამბნარში მდგარი ძახველი, ყოველივე, თითქოს მოულოდნელად წაასწრესო, მთვარის სამარისებურ შუქზე გაშეშდა.

საყუჩის შორიახლოს აწრიალდა და აჭახჭახდა შაშვი, რომელსაც ადამიანების შიშითაც კი არ მიეტოვებინა ბუდე. ამოსმა იგრძნო, მამა რა დაძაბულად წაიხარა სათოფურისკენ. „ფრინველმა რაღაცა იგრძნო“, — მიხვდა ბიჭი. როცა მთვარე საფარიდან უფრო მარჯვნივ გადაიწია და წინ ტყე გაიჭრა, ამოსმა ხეებს შორის მდგარი მარალი დაინახა. ის იდგა ამაყად შემართული რქებით, მარჯვენა ფეხი დახატულივით ჰქონდა აწეული.

მამამ შვილს მაგრად მოუჭირა ხელი მხარზე: „არ გაბედო სროლა! ადრეა!“.

მარალი გვერდზე მიაწყდა და ბუჩქებს ლაწალუწი აუყენა.

„წავიდა!“ — წყენით ამოიოხრა ამოსმა და თან შიშით გაიფიქრა, ნეტავ მე ხომ არაფრით დავაფრთხეო.

მამამ ხეშეში ხელისგული მიაფარა პირზე: „არ ისუნთქოო!“

ბიჭმა მორჩილად შეწყვიტა სუნთქვა, უკვირდა, როგორ ახერხებდა მამა ჭოტივით უხმაუროდ მოძრაობას. თვალებდაჭყეტილი მისჩერებოდა იმ ადგილს, სადაც ცოტა ხნის წინ ხარლალი იდგა. და უცებ სულ სხვა ადგილას დალანდა, ხმელი ხის უკან, თუმცა ახლა ყველა ხე ხმელი ეჩვენებოდა.

ნადირი ფრთხილობდა, დიდხანს ეფარებოდა ხეებს, ჯირკებს, ბოლოს კი წყნარად, გაუბედავად დაიძრა მარილიანი მიწისაკენ.

მარალი ხან ველზე გამოვიდოდა, ხან უკანვე შეშლიგინდებოდა ტყეში

და გაირინდებოდა. ამოსს ლამის მკერდიდან ამოუვარდა გული. უკვე აღარ ანგარიშობდა, რამდენად შეიძლებოდა ამ დატოტვილი დოყების გაყიდვა, რომლებსაც მერე ვიღაცა ჩარჩები უფრო ძვირად ჰყიდდნენ ჩინეთის მიწაზე. გაგებული ხალხი ჰყვებოდა, დოყების ნაყენისაგან ისეთ წამალს ამზადებენ, რომლის დალევითაც მთლად დაფეხვილი მოხუციც კი საცოლშვილო ბიჭივით გახდებაო. ამოსს გულით უნდოდა გაესინჯა ასეთი სასმელი: გემრიელი დასალევი იქნება, მაშ არა და. მაგრამ ახლა ასეთ რამეებზე ფიქრის თავი არ ჰქონდა. თვალთ უბნელდებოდა, სახსრები უბჟუოდა, შუბლი დაეცვარა. ასე ეგონა, შეკავებული სუნთქვისაგან მკერდი გაბეროდა, კოლოები უკანასკნელ სისხლის წვეთს სწოვდნენ. წუთები და წამები საათებად ეჩვენებოდა. გრძნობდა, საფეთქლებში როგორ მძიმედ აწვებოდა სისხლი. მარალი კი ისევ ინაბებოდა, ფრთხილობდა. აი, ერთხელ კიდევ გამოაელვა რქები მთვარის შუქზე და ბუჩქებშივე შევარდა. ამოსმა საზარელი ხმით შებღავლა და შებღავლებას თან ამოაყოლა შეგუბებული ჰაერი და ბოღმა:

— ა-ა-, გველო! — და თოფმაც იჭექა.

მამამ პირდაპირ საფარშივე სცემა ამოსი, დამპალი კუნძივით აგორავა. ბიჭი არცა ცდილობდა თავის დაცვას. მხოლოდ პირზე ჰქონდა ხელები აფარებული. ფაეფანმა სიბნელეში მორს გაჰკრა მოქნეული მუშტი, ღვინჯები გადაიყვლიფა, მერე ძალაგამოლეულმა შვილი საფარიდან გამოათრია და ლეკვივით ისროლა.

ტაკვამ ყალიონი მოიძია უბეში, გააბოლა.

ფაეფანმა პირიდან გამოგლიჯა და ხარბად მოსუტა.

ნადირობა ჩაიშალა.

ამოსი გატეხილი ცხვირის ჭყაპუნით მიკოტრიალობდა მდინარისაკენ და თან ყვიროდა:

— დაიცადეთ, თუ დედას არ ვუამბო ყველაფერი! ქაჯებო-ო-ო!

მდინარესთან სისხლი მოიბანა, პეშვით წყალი მოსვა, ქვა აიღო, მდინარეში ჩასცხო, მერე თოფი დატენა და უნდოდა საფარისაკენ მიექუხებინა, მაგრამ გადაიფიქრა.

საოცარია და შვება იგრძნო. ბიჭს უხაროდა კიდეც, ბოლო რომ მოეღო ამ წამებას, ეს ბეგვაც კი ბევრად ერჩია გაშეშებულ ჯდომას და კოლოებისაგან ცოცხლად შეჭმას.

— ტაკვას უყურე! — ბრაზობდა ამოსი. — არც კი განძრეულა! მე დაწვას გადავარჩინე, მაგან კი?.. ხომ შეიძლებოდა მოვეკალი ამ კატორღელს? უ-უ, მჩხიბავებო! მოწყდნენ ქვეყანას და განადირდნენ!

ამოსი შედგა, ყური მიუგდო.

ღამე იყო, მთვარისაგან ჭაღარა ღამე. მდინარეში შავად ჩახატული, ხოლო ფერდობებსა და სერებზე შეეერცხლისფერებული ტყე საამო სიგრილით სუნთქავდა. სურნელი განელებულიყო, ძლივსღა იგრძნობოდა. გასაოგნებელი სიწყნარე იდგა. ხანდახან აქა-იქ გადაიფაჩუნებდა ღამით მშოვნელი წვრილი ნადირი, სადღაც ლაფანჭამია ხრავდა ფუტუროს. თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, თითქოს სიზმრად ენახოს ამოსს: დოყა-მარალი, გაშეშებული ტაკვა, მამის ლანძღვა-გინება, ტუჩებზე ჩამომდინარი, გულისამრევი სისხლი, რომლის გემო რატომღაც დოყების ნაყენს მიამსგავსა, თუმცა ის არასოდეს ეგემნა. რატომღაც ჰქონდა წარმოდგენილი სწორედ ასეთი — ცოტა საძაგე-

ლი, მოტკბო, გულისამრევი, შემაღონებელი და გამაღიზიანებელი იმ დაფარულისა, რაიც ადამიანში გარკვეულ დრომდე თვლემს.

ამოსმა დაამთქნარა, ხის ძირში ხელი მოაფათურა, ნესტიანი ხომ არ არისო, და მიწვა. იწვა და ფიქრობდა — ვილოცო, როგორც დედამ მასწავლა, თუ არაო. გადაწყვიტა, არა ღირს, შინაც მობეზრებული მაქვსო. გახეთქილი ტუჩი მოილოკა, ნერწყვი ჩაყლაპა და გაიფიქრა: „ლოცვა კი არა, ცოლის შერთვაა ჯერო. ვინ არის ეს ღმერთი, მუდამ რომ უნდა ეთაყვანო და თავი უქონო? ძარი კი არ მოგვიყვანა სამარილეზე, მარტო მოგვაჩვენა, გაგვაღიზიანა, მეც ამის გამო მივიბეგვე. პირდაპირ ქვის მუშტი აქვს ამ კატორღელს. დამაცადე, ერთი გავიზარდო, ღონე მომემატოს, იქნება ჩემი მუშტიც იგემო!“ — დაიქადნა ამოსმა, ფშნატაფშნუტით გაიშოტა, ტკბილად დაამთქნარა და ის იყო ჩვეულებისამებრ ხელი ასწია პირჯვრის გადასაწერად, რომ ამ დროს საიდანღაც დააცხრა ჭოტი და გვერდზე გაფრაშუნდა. ბიჭმა ხელი დასწია და ბრაზიანად წაიბუზღუნა:

— მოგიქუხებ ერთს და მაშინ გაიგებ, როგორია მართლმადიდებლის გაგიჟება!

ამოსს არც რამისა ეშინოდა და არც რამისა ედარდებოდა. მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ უამბობდა დედას იმ საშინელებაზე, რაც ამ ღამეს გადაიტანა.

კოლოები ჩამოსცილდნენ და სადღაც გაქრნენ. ამოსმა ყოველი შემთხვევისათვის ორი თითი გაიქან-გამოიქანა სახის წინ და სანამ ჩაეძინებოდა, თოფიახლოს მოიჩოჩა, ის უფრო მეტად ეიმედებოდა, ვიდრე პირჯვრის წერა და ლოცვა.

სიცივემ მალე გამოაღვიძა ბიჭი, თვალები მიატარ-მოატარა, ვერ გაიგო, სად იყო.

ტაიგაში შემოჟონილი განთიადი მთვარის შუქს ერეკებოდა. ფრინველები ილვიძებდნენ, ხმებს ისინჯავდნენ. ბალახიდან გამოძვრა ღამე სირბილით დაღლილი გრძელფეხა ღალღა და მდინარეს დაეწაფა, წვეთის გადასაყლაპად მალიმალ შეიქნევდა ხოლმე თავს მაღლა. ამოსი თვალმოუცილებლად ათვალიერებდა ძვირადსანახავ ფრინველს, განსაკუთრებული ვერაფერი შენიშნა და წამოიწია. ღალღა ბალახშივე გაუჩინარდა.

ამოსმა ჯიბეებზე შემოიკრა ხელი, პურის ნატეხი ხომ არსად მიძევსო. რაკი ვერაფერი იპოვა, დაკრიფა ერთი მუჭა ღანძილი და ხრამუნით გაემართა იზიბაშის შესართავისაკენ, სადაც მონადირეთა ქოხი იდგა.

კონცხთან ხშირ შოთხვნარში რაღაცა შავმა გაიშლიგინა და მდინარეში გარდიგარდმოდ ჩაქცეულ ხის ფუღუროში შეძვრა. ამოსმა კონდახით დააკაკუნა ხეზე. მომპალი ტოტის ნახვრეტიდან გამოხტა მხეცუკა. ბიჭმა საფანტი გააყოლა. მხეცუკა მდინარეში ჩავარდა. ამოსმა ლეწვა-მტვრევით გაარღვია ბუჩქნარი, დინებას გაუსწრო, ამოიყვანა ჯერ კიდევ ცოცხალი მხეცუკა, თავი ქვას შემოუნარცხა და მერეღა დახედა.

ფუმფულა კუდი, სასიამოვნო თხელი ცხვირ-პირი, მრგვალი თავისთვის შეუფერებლად დიდი ყურები ჰქონდა სიასამურს.

— მოდის, მოდის ფულები, — კმაყოფილებით გადაუსვა ამოსმა ხელი მხეცუკას და სტვენა-სტვენით განაგრძო გზა ქოხისაკენ.

იქ უკვე ბოლავდა ზედადგარი. მამასა და ტაკვას რომელიღაც სამოკლეო ბილიკებით ჩაესწროთ ბინაზე.

— ანდე! ნანადირევი!... — გამომწვევად შეუბუზღუნა ამოსმა და მამას ფეხებთან მიუგდო სიასამური.

ფაეფანმა კუდით აიღო მხეცუკა და, როგორც ამოსს ეჩვენა, უბოროტო, რაღაცნაირი ფარული გულის ტკივილით მიარტყა შვილს ხახეში.

— ჰაი, შე წყეულო! დედალი სიასამური მოჰკალ?! ეს ხომ შემოდგომამდე არ იცვლის ბეწვს, ამ დროს ლეკვები ჰყავს, ისინიც დაიობლე, დალუპე... მ-მოშორდი, დღესვე ჩაჯექი ნავში და შინ წაეთრიე! შენ ბუნების მტერი ხარ, შენგან მონადირე არ დადგება!

— ვითომ შენ კი მეგობარი ხარ? — ნაძალადევად ჩაიღიმა ამოსმა, — გამოდის, ტაიგა მარტო შენთვისა და ტაკვასათვის ყოფილა?

— მომცილდი! მომწყდი თავიდან! — უცებ დაუღრიალა მამამ და თოფს სტაცა ხელი.

საიდანღაც ისკუპა ტაკვამ და თოფზე დაეცა. გავარდა თოფი, ტყვიამ ფეხებთან აუთხარა მიწა ამოსს. ფაეფანს ბნედამ მოუარა, პირზე დუჟი მოადგა. ტაკვა მთელი ტანით დააწვა მამას, ცდილობდა ხელები გაეხსნევინებინა, მაგრამ მონადირე ისე იხლაკნებოდა, ისე იკრუნჩხებოდა, რომ მასთან თავგანწირვით შებრძოლებული ყმაწვილის ძვლებს ტკაცატკუცი გაჰქონდა.

დაზაფრული ამოსი ხან აქედან ურბენდა მამასა და ტაკვას, ახრიალებულ გორგალს რომ დამსგავსებოდნენ, ხან იქიდან და აღარ იცოდა, რა ექნა. მან იცოდა, რომ მამა ახალგაზრდობაში „კატორღელი“ იყო და იმ კატორღიდან ბნედიანი დაბრუნდა. მაგრამ ამოსს აქამდე არ ენახა ბნედამორეული მამა.

საზარელი სანახაობა იყო.

— აბა, რად იშლი ძაღლვებს ამ რაღაცა მხეცუკას გულისათვის? — წყნარად ბუტბუტებდა ამოსი,—წავალ ჰო, წავალ, არ მჭირდება მე თქვენი ტაიგა. საგლეხო საქმე ჩემთვისაც მოიძებნება სოფელში...

ამოსმა იმავე დღეს გასწია ვირუბისაკენ. ლაჭანში მწოლიარე მისუსტებულმა, დალეწილმა ფაეფანმა თვალი გააყოლა მიმავალ ამოსს და წაიდუდუნა:

— მაკრიდა ჭკვიანი ქალია, მაგრამ ამისთანა ბიჭი კი მთლად გამიფუჭა! რაღა უნდა გამოვიდეს ახლა მაგისაგან? შეიძლება ძალზე საშიში ადამიანი დადგეს, ჩვენს ორი თითით პირჯვრისწერიებზე უფრო საშიში, რადგან იმათზე ჭკვიანია, მაცილი!

— ტყუილად მოეპყარი ეგრე, — უთხრა ტაკვამ.

— რაო, ტყუილად? — შვილობილის შეკამათებამ გააოცა ფაეფანი.

— ტყუილად მოიცილე თავიდან.

— ჰა-ა! შეიძლება, შეიძლება, — გააგრძელა ფიქრებში წასულმა ფაეფანმა, — თუ გაწვრთნა მინდოდა, თავიდან უნდა გამეწვრთნა, ახლა უკვე დედიკოს შვილია, ოღონდ იმაზე უფრო ეშმაკი და გაქნილი.

მონადირე ფაეფანმა ამჯერად უკვე ველარ შეძლო ფეხზე დადგომა. ძველი სენი დიდხანს კრუნჩხავდა და ბოლოს სახრინავზეც მიაყენა. ღამით კიდევ გაუმეორა ბნედამ. ფაეფანი ლაჭანიდან გადმოვარდა და კეფა დაარტყა ფიცარს. ტაკვამ ლაჭანზევე შეათრია მამა, მთელი ღამე სასთუმალთან უჯდა და იმაზე ფიქრობდა, თუ რა ძალიან უნდა იყოს ხალხზე გულაცრუებული კაცი, რომ მთლად გაერიყოს მათ და გულყრით დაავადებულმა მარტოდ იხეტიალოს ტაიგაში.

ფაეფანმა გამთენიისას გაახილა უკვე ჩამქრალი, გაციებული თვალები.

— მორჩა... წასულია, ფაეფან, შენი საქმე, შენი წილი კალო გალეწილია... — ცოტა ხანს დადუმდა, ძალა მოიკრიბა. — აქ დამმარხავ... კერჟაკების სასაფლაოზე არ მინდა... უფრთხილდი მათ, უფრთხილდი... წყეულნი... მშიშრები და ბოროტები... ერიდე... ხალხ-ქვეყანაში ნუ გაერევი... საზარელია ჩვენი ხალხ-ქვეყანა.

ტაკვამ პატარა შუბლა ფერდობზე შეარჩია ადგილი, სადაც ბავშვობაში საათობით იჯდა ხოლმე. აქედან შორით შორამდე მოჩანდა არემარე. გაზაფხულობით ყველაზე ადრე აქ შრებოდა თოვლი და ბერმუხელებიც პირველად აქ იჩეკებოდნენ. წყალდიდობა აქამდე ვერ უწევდა, იზიბაშის ბუტბუტი კი ზამთარზაფხულ ისმოდა.

ტაკვამ მარტომ დამარხა მამა. დედა მაკრიდამ როცა გაიგო ფაეფანის სიკვდილის ამბავი და მისი დანაბარები, ტყეში დამმარხეთო, წყენით თქვა:

— პირი ეწბილებოდა ხალხთან, შერცხვენილი იყო და ამიტომაც არ ინდომა ჩვენი სასაფლაოს გაუწმინდურება. სულით კეთილშობილი ადამიანი იყო, ცხოვრებამ კი დაამახინჯა.

— შენ რა გესმის! — ზიზღით ჩაიბურტყუნა ამოსმა, — იქნება ჩვენგან გაუწმინდურებას მოერიდა...

დედა მაკრიდამ ამგვარი მკრეხელობისათვის ასი თაყვანისცემა დააკისრა ამოსს, თვითონ კი მთელი ღამე ლოცვაში გაატარა, რათა მამაცი, წამებული ფაეფანისათვის მიწა მსუბუქი ყოფილიყო.

* *

ვირუბის მცხოვრებნი ტაკვას ნაადრევ თოვლს ადარებდნენ. ჩამობარდნის უცებ და მოულოდნელად მიწას დაათეთრებს, გამოაჭყიტებს მზე — და ფაფუ, გაქრება.

ოღონდ ის კი ვეღარ გაითვალისწინეს სოფლის მცხოვრებთ, რომ ასეთი თოვლის შემდეგ საშემოდგომო ჯეჯილმა უფრო მწვანედ ახასხასება იცის მინდვრებში, ფოთლები უფრო მეტად შრიალებენ, ჩიტები უფრო ლაღად დანავარდობენ და მხოლოდ დღემოკლე, უსუსური, სიცოცხლეს სუსტი ფესვით ჩაბღაუჭებული ჭკნება, კვდება და ქრება.

რკინას ცეცხლი აწრთობს, ადამიანს — უბედურება. უბედურების ჟამს უცებ გამოჩნდება, ვინ რას წარმოადგენს, ვის რა შეუძლია. უბედურება უკითხავად მოდის, თვითონ შემოაღებს ჭიშკარს და მზადა ხარ თუ არა ხარ მზად, ან უნდა შემოუშვა, ანდა შეებრძოლო.

უბედურება დაუკითხავად მოვიდა ვირუბში, ყველაზე დიდი, ყველაზე საშინელი უბედურება — შიმშილი. მან მოსინჯა ხალხი. როგორ არიან? ვინ არის მათში შეუდრეკელი? ვინ არა? ვინ რაში ვარგა? შიმშილიც ომივით გამოაჩენს ხოლმე ჯაბანსა და ძლიერს. მასაც მხოლოდ ძლიერი უძლებს.

სოფელში მოხუცი ყირგიზი გამოჩნდა თავისი პატარა შვილიშვილით. ეს იყო შიმშილის პირველი მაცნე, პირველი ყვავი. მოხუცი ყინვადაკრულ სოკოსავით იყო დანაოჭებული. შავ თავზე ძველი ავადმყოფობისაგან დატოვებული ლურჯი ხალები აჩნდა. მას ხელიხელჩაკიდებული მოჰყავდა ელამი, გამხდარი ბიჭი. ყირგიზი ყველა ეზოსთან ჩერდებოდა, მოიშვლეპდა ქუდის ნაძველას,

ხელის გულებს შეატკაცუნებდა, სხაპასხუპით რაღაცას ბუტბუტებდა და თავს დაბლა ხრიდა. პატარა კი ველურივით მდუმარედ იცქირებოდა თავისი ელამი თვალებით. შეშინებული ხალხი სქელ ხარიხებს — ურდულებს უყრიდა ჭიშკარს, ქოქოლას აყრიდნენ ყირგიზს და ავსულივით ერეკებოდნენ.

მოხუცმა ყირგიზმა თავის ბიჭთან ერთად კარდაკარ ჩაუხანხალა მთელ სოფელს, დიდხანს იდგა გზაჯვარედინზე, ანთებიანი, ჩაჩირქებული თვალებით გასცქეროდა თხელ ნისლში გახვეულ აღმოსავლეთს. ის აღარ წუწუნებდა ჭიშკართან და აღარც თავს ხრიდა დაბლა, მხოლოდ მოცხვად აჩხაკუნებდა საკეტს და გზადაბნეული ძაღლივით ფხოჭნიდა ფიცარს. დილით ღობის ძირას ნახეს ყირგიზი. მორთხმულ ფეხებზე მკვდარი ბიჭი ესვენა, მთელი ტანით ქანაობდა და რაღაც გულის გამგმირავს მღეროდა.

ვერავინ გაბედა მოხუცის შეწუხება.

ვიღაცა დიასახლისს ვეღარ გაუძლო გულმა და ღობიდან პურის ნატეხი გადაუგდო. მოხუცმა წამით გაახილა მწუხარებისაგან დაბინდული თვალები, პურს ცერად გადახედა და ისევ დახუჭა.

ასე გაატარა მეორე ღამეც.

ბოლოს ვეღარ აიტანა ხალხმა და ხელებით დაუწყეს ნიშნება, ბავშვი მოკვდა და დამარხვა უნდაო. ყირგიზი თავს აქნევდა, თითქოს ეთანხმებოდა, მაგრამ როგორც კი გაეცლებოდნენ, კვლავ შვებით ხუჭავდა თვალს. მაშინ გლეხებმა ჩასჭიდეს აქეთ-იქიდან ხელი და სოფლიდან გააცილეს. იქ, ბალახიან ტყის პირას, ორმო რაღაცა იყო ნათხარი და ყირგიზს შიგ ჩააშვებინეს ბავშვი. გვამს უკვე სუნი უდიოდა.

მოხუცი გულგრილად უცქეროდა, როგორ აყრიდნენ მიწას მის შვილიშვილს, მარტო ტუჩებს აცმაცუნებდა, თითქმის უხმოდ ჩიფჩიფებდა რაღაცა ლოცვას.

ღამით კი მთელი სოფელი შეძრა ველურმა ბღავილმა: „ა-ა-ა-ა-ა-ა-აი!“ და ხალხს ეჩვენა, რომ მოსული კაცი იძახდა სიტყვას: „პატარაი!“ ეს იყო ერთადერთი არარუსული სიტყვა, რომელიც ვირუბელებმა იცოდნენ.

გადიოდა დღეები.

ჩამომხმარი ყირგიზი დაწრიალებდა, დასუნსულებდა სოფელში, ნაგავს ქექავდა, რაღაცა ძვლებსა და ფესვებს ღრღნიდა, ხოლო ღამღამობით შემზარავი ხმით გაჰკიოდა ორღობეში.

რამდენჯერმე გაიყვანეს გზაზე, პანღური ჰკრეს. უაზროდ შესცქეროდა ადამიანებს, მორჩილად გაუყვებოდა იქით, საითაც გზას უჩვენებდნენ, მაგრამ შეღამებულზე კვლავ შვილიშვილის საფლავთან აღმოჩნდებოდა.

ამასობაში მეორე წელიც გვალვიანი დადგა, სულ მთლად გააჩანაგა მინდვრებში ნათესები, ბოსტნები; შიმშილი დანავარდობდა სოფელში კარდაკარ და პირველ რიგში ბავშვებსა და მოხუცებს იტაცებდა. ვირუბელებმა მაშინ კი ჩამოფქვეს სათესლედ შენახული მარცვალი, კარტოფილი ოთხ-ოთხად გაჭრეს და ისე დათესეს, იფიქრეს: ღმერთი მთლად არ გაგვწირავს — ცოტაოდენ სარჩოს მაინც გაგვიჩენსო. მამაღმერთი კი ისევ რისხვით მოევლინა სოფელს, ისევ გადახრუკა მიწა და ხალხის ნაწვავ-ნადაგი.

იწვოდა ტყეები. ნადირი, ფრინველი თუ ყველა სულდგმული დაწიოკებული გარბოდა ტაიგიდან. ონია შიგადაშიგ ჩამოატარებდა ხოლმე ლოსის, გარეთხის, მარალის გაბერილ, აყროლებულ გვამებს. ერთი ლოსი ქვაზე მი-

აგდო ჭორომებთან და იდგა ასე შეყალყული და ბღავილისათვის პირდაღებული. მერე მაინც ჩაითრია და დიდხანს ატრიალა მორევმა დამწვარ ხეებთან ერთად.

დიდი ცდითა და მონდომებით კიდევ შეიძლებოდა თევზის დაჭერა შორეულ მდინარეებში, მიყრუებულ ტყეებშიც შეიძლებოდა ნადირის მოკვლა, მაგრამ ვირუბში აღარ იყვნენ მონადირენი, რატომღაც პირწმინდად გაქრა და ამოიძირკვა გამჭრიახობა, სიმამაცე, ამტანობა — დარჩა მჭვარტლივით სულის შემხუთავი რწმენა და მორწმუნეობა, შავბნელი ღვარძლი და გულდედლობა. ყველაფრისა ეშინოდათ: ტაიგისა, მეტადრე ხანძრისა, რომლისაგან დასაცავად სოფელს თხრილი შემოავლეს და ცალ-ცალკე შემოუთხარეს თავთავის სახლებსაც, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც ღვთის რისხვისა ეშინოდათ; ამიტომ დიდ-პატარიანად ჩოქზე იდგნენ, ევედრებოდნენ ერთად თუ ცალ-ცალკე, მღეროდნენ გრძელ-გრძელ საგალობლებს, კითხულობდნენ ხატ-ღმერთის წესთა დიდად დამცველ მამა-პაპათა ბრძნულ წიგნებს — არაფერმა არ უშველათ! შიმშილი ტარაკანებივით სრესდა ადამიანებს, რომელთაგან მხოლოდ საფლავის შავი ბორცვები რჩებოდა მიწაზე.

ღამღამობით და განსაკუთრებით წყნარ საღამოებში ლამის იგუდებოდა სოფელი. ღრუბლებივით ეხვეოდა სოფელს ტაიგიდან წამოსული ფერფლი, ფენა-ფენად ედებოდა სახურავებზე, ფანჯრებსა და ხატებზე, მზეს ძალას უკარგავდა, ახრჩობდა და ხუთავდა ადამიანებს. საქონელი ზმუოდა, ძაღლები ყმუოდნენ და ამას ერწყმოდა მოხუცი ყირგიზის ხმა. მისი ღმუილის გაგონება აღარ შეეძლოთ მშიერ კერჟაკებს. და როცა ერთ-ერთი სახლიდან ორი წლის გოგონა გაქრა, გათვალვაში დასდეს ბრალი აზიელს, სოფელს მოაშორეს.

მთლად ჩაკვდა სოფელი, გამოყრუვდა. ყველა ოჯახი თავთავისთვის ცხოვრობდა, ყველა თავთავის სახლში ებრძოდა განსაცდელს, თავის ქოხში. ხალხი პირველ ხანებში სასაფლაომდე აცილებდა მეზობელს, ჩვეულებისამებრ ლოცულობდა, ლოცვანს კითხულობდა, მერე კი თავთავის მკვდარს თვითონ უვლიდა, წესისა და აუცილებელი რიტუალების გარეშე, ხანდახან კუბოს გარეშეც.

ერთ ასეთ საღამოსაც, როცა სოფლის თავზე ბური ლივლივებდა და მზე თხელ წითელ მატყლში გახვეულივით ეშვებოდა მთებს იქით, ვირუბში ტაკვა გამოჩნდა. ის უკვე საკმაოდ წლებმომატებული იყო, მაგრამ ისევ ძვალმაგარი, ცოცხალი, პირხმელი, დანაოჭებული. ცაამოძენძილი ქუდიდან მოუჩანდა დასორსლილი ჭაღარა თმა.

ტაკვამ გაოცებით შეავლო თვალი მზისაგან დახეთქილ ნავებს, ქუდი აიწია და ყური მიაპყრო სოფელს, რომ რაღაც ხმა ან ძაღლის ყეფა მაინც გაეგონა, მაგრამ ჩამიჩუმიც არაფრისა ისმოდა.

მონადირემ თავი გადააქნია, გულმოკლულმა ტუჩები გააწკლაპუნა და ნავი ნაპირზე ამოათრია. ძველი, მაგრამ კარგად მოვლილი თოფი მხარზე დაიკიდა, ხელი დაავლო თითქმის ცარიელ გუდას და სოფლისაკენ წალასლასდა.

სიცხისაგან ჩამხმარი ბალახი ყვითლად მოჩანდა ორღობეებში, მზეს შეეხრუკა ფესვმაგარი შუშხია ჭინჭარიც და უფრო მწარედ იკბინებოდა. აბანოები ცინცხალი კვამლით აღარ ბოლავდნენ ეზოებში. გვიანი შემოდგომის მსგავსად მოტიტვლებულიყო ბოსტნები, კვლებს შორის ბილიკებიც კი სი-

ცხისაგან დამსკდარ-დაქსელილი ჩანდა. გამქრალიყვნენ ქათმები, არ ისმოდა მამლის ყივილი. ვედროთი წყალზე მიმავალმა გოგომ ჩამოუარა ტაკვას, ავადმყოფურად ჩამქრალი თვალებით შემოხედა და ხმა არ გაუცია: არც გამარჯობა, არც გამარჯვებითო. გული შეეწურა ტაკვას. ვირუბს უბედურება დაატყდა თავს და აღარ და აღარ ეშვება. საოცრად გაბოროტებული გვალვა მეორედ ჩამოდგა ამ მხარეში. პირველ წელს გაუძლეს ვირუბელებმა, — ზოგს მარაგი ჰქონდა, ზოგს მეზობელმა გაუმართა ხელი, სხვას ტაკვამ გაუწია დახმარება, ხორცს უზიდავდა, თევზს. ახლა კი სხვისი დახმარების თავი აღარავის ჰქონდა, ტყეშიც აღარაფერი ჭაჭანებდა: ამოწყდა, გადაიბუგა ყველაფერი.

გაზაფხულზე ნეკრისის ქარი გამოაჩნდა ტაკვას, ქოხიდან გარეთ ველარ გამოდიოდა, თვითონაც ჩამარილებული ხორცით და ღანძილით იკვებებოდა, სოფელში ვერაფერი მოიტანა, იმედი კი ჰქონდათ, ეგება რამე მოგვიტანოსო.

უბედურება ტრიალებს სოფელში, ტაკვას კი შველა არ შეუძლია. წინათ კი ასე იყო: ეზარალებოდა ვისმე საქონელი, გადაეჩეხებოდა თუ მოუკვდებოდა ოჯახს მარჩენალი, ან სახლი ვინმეს დაეწვებოდა — ტაკვა მაშინვე იქ გაჩნდებოდა, მიუტანდა თევზს, ხორცს, დოყებს, ბეწვეულს, — ყველაფერს აძლევდა, თვითონ მას თამბაქოს, მარილისა და პურის მეტი არაფერი სჭირდებოდა. ასე იქცა ტაკვა ყველასათვის სასურველ კაცად, შეურიგდნენ უკვე მის „უწმინდურობასაც“. ერთმანეთს ექიშპებოდნენ მის მასპინძლობაში, იმავე სასმისით ასმევდნენ, რითაც თვითონ სვამდნენ და არა კატის ჭურჭლიდან, როგორც ადრე.

ტაკვა დიდხანს იდგა ბეწვეულისა და დოყების გადამყიდველის, დაჯღარკული ურინის ფართე, მძიმე ჭიშკართან და გაუბედავად წაეპოტინა შემოგრეხილ რგოლს. ჩამოჰკრა და უცებ გაუშვა ხელი, დაეწვა. რგოლი ქურიდან თითქოს ეს-ესაა გამოეღოთო. წუთით შეიცადა, კვლავ დარეკა აჩქარებულმა, შეშფოთებულმა. შიგნიდან ურინის ყრუ ხველა და ყვირილი მოისმა:

— წაეთრიე, წაეთრიე მანდედან, უწმინდურო! თორემ გამოვალ და აგკუწავ!

ტაკვა გაოგნებული მიაშტერდა ჭიშკარს.

— რა მოხდა, იონიჩ? — მორიდებული ხმით იკითხა ძონადირემ, მაგრამ, ჩანს, ურინს მისი ხმა არ გაუგონია, რადგან აღარ გამოხმაურებია. ტაკვამ ველარ გაბედა ხელმეორედ დაკაკუნება.

ულონოდ ჩამოჯდა მზისაგან გახურებულ მაღალ მესერთან და მხრები ჩამოყარა. ასე იჯდა კარგა ხანს და გასცქეროდა უჩვეულოდ დაცარიელებულ განაცრისფერებულ ქუჩას. მდუმარედ იდგნენ კარჩაკეტილი ქოხები, ფანჯრებზე დაისის უძრავი ცეცხლი ბრიალებდა. ეს ის დრო იყო, როცა ძროხებს წველავდნენ, როცა ბიჭები მდინარისაკენ მიაჭენებდნენ ცხენებს საბანაოდ და დასარწყულებლად, დედაკაცები ბაღ-ბოსტნებს რწყავდნენ. საღამო სოფლად სანეტარო დროა! მაგრამ ეს ის საღამო არ იყო, აკლდა საუკუნოდ დამკვიდრებული მოზომილი სიმშვიდე, მომქანცველი დღის შემდეგ რომ ეუფლება ადამიანს. მდინარიდან არ მოისმოდა ბავშვების ჟივილ-ხივილი, არ ჩხრიალებდა საძეული და მას არ ერთვოდა ქალის დაღლილი ხმა: „დადეგ, ჰო, ბეხრეკო!“ არც არავინ ჩანდა, არც არაფერი ისმოდა. მხოლოდ ურემი გახირულიყო შუა შარაზე მთვრალივით ხელნებგაფარჩხული.

„უნადავლოდ არავის ვუნდივარ, თავადაც კუჭი უხმებათ შიმშილით“.

ტაკვამ აიღო ნადირის ქონით გაჟღენთილ-გაპოხილი გუდა და თავისი მამობილის, ფაეფანის სახლისაკენ წალასლასდა.

სახლი ტყის პირას იდგა. ბოსტნის მესრიდანვე იწყებოდა ხავსიანი ფერდობი. იქვე გამოჩუხჩუხებდა ცივი წყარო, აბანომდე რომ მთელ ბოსტანს რწყავდა. გვალვიან ამინდებში ამ წყაროს სიახლოვეს იბუდებდნენ გველები, ხოლო ყინვიან გაზაფხულზე ყველაფერი იყინებოდა. ახლა ამ ბოსტანში, განსაკუთრებით აბანოს უკან, კუნძულივით მოჩანდა მწვანედ მოხასხასე ხშირი ბალახი, კანაფებს შორის ჭინჭარი იბურძგლებოდა და მალვაც ამ უდროო დროს თავხედურად ბდღვრიალებდა. ტაკვა ბოსტანში გადაძვრა, აბანოსთან მივიდა და იქ ჩამოიხსნა თავისი ბეჩაური ბარგი-ბარხანა, მერე მოიხადა ოფლისაგან სველი ქუდი, გაიძრო ასევე სველი ჯუბაჩა და ჩამოჯდა აბანოს წყლისაგან ჩამორეცხილ, გამწვანებულ ზღურბლზე.

ფაეფანის სახლში ამოსი უფროსობდა და კარგა ხანია რაც უფროსობდა. დედის სიცოცხლეშივე მოიყვანა ცოლი და ოჯახის გამგებლობას ჩამოაცილა მაკრიდა, გაყარა ბნედიანი მწირი ქალები, ყოველთვის მათ ჭერქვეშ რომ აფარებდნენ თავს და იკვებებოდნენ: ამოსი ვერ იტანდა მუქთახორა და არაფრის მაქნის ადამიანებს, მარჯვედ და ჭკვიანურად უძღვებოდა ოჯახს, და ამიტომ ხალხიც პატივსა სცემდა. სოფლის ყრილობის თავკაცმა — მამასახლისმა თავის მემკვიდრედ აღიარა: ჩემი დრო მოვჭამე, დავბერდი, დროა მოვისვენოო.

ტაკვა როცა ნასვამი საიდანმე შებორიალდებოდა თავისიანებთან, ჩვეულებრივ ან აბანოში ეძინა, ან საბძელში. ამოსი არ უშლიდა მათთან სიარულს, მაგრამ არც მაინცდამაინც გულზე ეხატებოდა. ახლოს არასოდეს ყოფილან ერთმანეთთან, არც ნათესაური რამ უგრძვნიათ ერთმანეთის მიმართ, ხოლო იმ მარალზე სამახსოვრო ნადირობის შემდეგ მთლად დაკარგეს ერთმანეთი. და როცა ფაეფანი მოკვდა, თითქოს მათი შემაკავშირებელი ძაფიც გაწყდა.

ტაკვამ ერთი ყალიონი მოწია და ხელმეორედ დატენა. აბანოს წინ შეშა მოკრიფა და ცეცხლიც შეუნთო. ტომრიდან გამურული, გვერდებშეჭყლეტილი კარდალა ამოიღო და წყაროს წყალი შემოიტანა.

სახლიდან კვამლი შეამჩნიეს. ვერხვის კოპწია ჭიშკარი გაიღო და კლავდია გამოჩნდა, ამოსის ცოლი. სიგამხდრის მიუხედავად სანდომიანი გარეგნობა ჰქონდა, დიდრონ თაფლისფერ თვალებში ნაღველი და გადაღლილობა ჩაგროვილიყო.

— გამარჯობა, ტაკვა!

— გაგიმარჯოს, კლავდია, გაგიმარჯოს! — მსწრაფლ უპასუხა ტაკვამ მოკრძალებული ხმით, — როგორა ხართ, როგორ არიან ბავშვები?

— მადლობა ღმერთს, სული გვიდგას, — ოხვრა ამოაყოლა კლავდიამ, — შენ როგორა ხარ? სად დაიკარგე ამდენ ხანს? ჩვენა ვფიქრობდით — ალბათ მოკვდაო.

— მართლაც კინაღამ მოვკვდი, — ყოველგვარი წყენის გარეშე, თითქოს ერთგვარი სიხარულითაც მიატანა ტაკვამ. — ჩამაგდო ავადობამ და გაზაფხულიდან მოკიდებული ფეხზე ვეღარ დავდექი. აი, როგორც კი ცოტა მოვიხედე, წამოვედი, ვიფიქრე, ხალხს დავენახვები-მეთქი, მაგრამ არავინ შემიშვა... — უკვე წყენით დაამთავრა ტაკვამ.

— ხმა მოგეწვდინა როგორმე, — უთხრა კლავდიამ, — ყირგიზი შემოგვეხიზნა აქ თავისი შვილიშვილით, გულები გადმოგვიტრიალა ღამ-ღამ ყვირი-

ლით, იმისი ხმისგან, თუ რისგან, მათხოვრებიც შემოგვეჩვევნენ. ეს ჩვენი ღვთისმოსავნი კი სახლებში გამოიკეტნენ. — კლავდია ცოტა ხანს დადუმდა და მერე დაამატა, — მათხოვარნიც იხოცებიან და ღვთისმოსავნიც. შიმშილი არავის ინდობს.

— ეს რა უბედურებაა! ვინ იფიქრებდა, ვინ იაზრებდა, — მწუხარედ გაიქნია თავი ტაკვამ და ხელები დამნაშავესავით გაშალა: — მეც რომ გუდაცარიელი მოველი, შეუძლოდ ვიყავი და...

— ყველას ხო შენ ვერ მიაწვდი ლუკმას, ყველას ხო ვერ გაათბობ...

კარგა ხანს დუმდა ორივე. კლავდია უცებ წამოხტა, არყის ნახეჩი შეუკეთა ცეცხლს და ვედროებს წამოავლო ხელი.

— წყალს გაგიცხელებ, დაიბანე. ტაიგიდან მოსული ხარ.

— კარგი იქნებოდა, — გაუხარდა ტაკვას. — ავადობის დროს, ნუ იტყვი, მე ტილი დამეხვია.

კლავდიამ წყალი მოიტანა და თქვა:

— მამამთილის ნიფხავ-პერანგი სადღაცა უნდა იყოს, წავალ ერთი, მოვძებნი.

— არ გინდა, არა, იოლად გავალ! ჯაჯღანს დაიწყებს.

— დაიწყებს და დაიწყოს, — მშვიდად წაილაპარაკა კლავდიამ და ეზოდან გავიდა.

ტაკვამ ფიქრიანი მზერა გააყოლა კლავდიას. ჩითის გახუნებული ზედაწელის ქვეშ ძვლებამომწვეტებული ბეჭები ემჩნეოდა, კეფაზე შენასკვული თავსაფრიდან მუქ-ქერა, წენგოსფერი თმა მოუჩანდა, ჩაოფლილი, ჩასორსლილი. ტაკვამ ოხვრას თითქო გული ამოაყოლაო, აბანოს კარის წირთხლს მიექადღა და ასე იჯდა თვალდახუჭული.

მას კლავდია სხვაგვარი ახსოვდა.

ამისი თუმცა ძველმორწმუნე დედის კალთის ქვეშ გაიზარდა, მაგრამ ნაწილობრივ ფაეფანის ზნეც გამოჰყოლოდა და იგი ველარაფერმა აღმოუფხვრა. ხანდახან ისე გაიხიდებოდა, რომ უფლებისმოყვარე დედაც კი ვერაფერს აგონებდა. ასე მაგალითად, ამოსმა დედის ჯიბრით ის კი არ შეირთო, ვინც მისთვის ამოერჩიათ, არამედ — ხარაზ ტროხას გოგო, ღარიბი, მრავალრიცხოვანი და, ძველმორწმუნეთა შეხედულებით, ძალზე უთავგზო, გაჭირვების გამო რუსეთიდან ციმბირში შემოხიზნული ოჯახისშვილი.

თუმცა იქნებ ამოსს კიდევ სხვა ვინმესთვისაც უნდოდა გულის მოკვლა...

ტაკვას და ფაეფანს უყვარდათ ქეიფის მოყვარულ ტროხასთან შევლა, მისი ზღაპარ-ლეგენდებით ნაზავი ტყუილების მოსმენა. ტროხას გაბურძგნულ თავში უფრო ბევრი იყო ტყუილ-მართალი, ვიდრე წვრილი სარჭები მის წინ დაზგაზე შემოდგმულ არყის კოლოფში.

როგორც კი ერთ-ორს გადაჰკრავდა მონადირეებთან, ტროხას მხიარულება ეკარგებოდა და ცრემლნარევი ხმით ემუდარებოდა, ტყეში წამიყვანეთო.

— წამიყვანეთ, აქ გაძლება აღარ შემიძლია. სოფელი კი არა — მორევია. რაღაცაში მაინც გამოგადგებით: ბარგს გიზიდავთ, საჭმელს მოგიმზადებთ, ფეხსაცმელს მოგიწესრიგებთ...

— შენ იქ რა გინდა? ხელოსანი ხარ, ოჯახის პატრონი.

ერთხელაც ტროხამ ხუმრობით ან იქნებ მართალი გულითაც თავის თვალებბდღვრიალა, ჯერ უასაკო კლავდიაზე ანიშნა ფაეფანს და წამოროშა:

— რა გოგო მყავს! ტაკვა თუ ინდომებს ჩემს სიძეობას — მივცემ. ამ მორევში გადასაგდებად კი არ გავიმეტებ.

ტროხას რა? ტროხამ ისროლა სიტყვა, როგორც ბიჭმა ქვა სტყორცნოს შურდულით, და დაივიწყა. ის ქვა კი ბიჭის აუმღვრეველ სულში ჩავარდა და შიგ ყველაფერი არია.

დადის ტაკვა ტყეში, იღიმება, ტუჩებს აცმაცუნებს. საქმეს შეებმის — საიდანა აქვს ამდენი ძალა: ფაეფანიც კი ტოლს ვერ უდებს ზოგჯერ. ორმოცდაათი კილომეტრი ბიჭს ყურის ძირში ეჩვენება. ცოტა რამ მიზეზი და დაიჭინებს სოფელში წასვლას, ოღონდ კი ტროხას სახლს შეავლოს თვალი, ტროხასთან მარტოდ სტუმრობისა უკვე რატომღაც ეროდება.

მაგრამ მოკვდა ფაეფანი და ამ უბედურებამ, ამ აუნაზღაურებელმა დანაკარგმა ყოველივეს მოსწყვიტა ტაკვა. ერთი დღითაც კი არ მიუტოვებია საფლავი, ფიქრობდა, მამას უჩემოდ მოეწყინებაო.

გავიდა ზამთარი.

მარტობაში, უმამოდ ძალზე გრძელი ეჩვენა იგი ტაკვას.

როგორც იქნა, წყნარი შრიალით ჩამოიბნა ხეებზე შერჩენილი თოვლი, მერე კი წვეთმაც დაიწყო ჩამოდენა. მონადირულ დაბალ ქოხზე სტაფილოსავით გრძელი ლოლუები დაეკიდა. თოვლი ჩამოდნა ფანჯარაზე და დღის სინათლეს შეაჭყიტა ქოხმა თვალი, ცალი თვალი მიაშტერა მზეს. ტაკვამ ბოლომდე გააღო კარი და დამათრობელმა, გაზაფხულის წვენით გაჟღენთილმა ჰაერმა ჩაგუბებული მხუთარი გამოდევნა ქოხიდან.

ზამთრის ნადირობა დასრულდა. გამოზაფხულდა ტაიგაში. გამოზაფხულდა ახალგაზრდა მონადირის გულშიც. აი, უკვე ონიას ნაპირებზეც მოდნა ყინული, დაიწყო გაზაფხულის თოვლჭყაპობა და მთებიდან ნაკადულები წამოვიდა. გაშიშვლდა ფაეფანის საფლავიც, ამოჩნდა, ამოჟიჟინდა მწვანე ბალახი. ტაკვა ფიქრობდა: ეს ხალხისაგან დაფარული ძვირფასი ადამიანის სულს შემოადნა თოვლი და ბალახად ამოვიდაო.

ტაკვას უძილობა დასჩემდა, რისაგან — თვითონაც არ იცოდა. ღამღამობით ხალათის ამარა გამოვარდებოდა ქოხიდან და ტყეში შებორიალდებოდა, მხვალ თოვლში ეფლობოდა, ებღოტებოდა. სოჭის წებოვან კუნწუხებს ეფერებოდა — სიმშვიდეს ეძებდა, მაგრამ ვერ პოულობდა. ტყეშიც კი ვერ პოულობდა.

ერთხელაც ასე გათენებამდე ბოდიალისას ბოლოს და ბოლოს მიხვდა ყოველივეს და მთელი ტყე შეაზრიალა მისმა ყვირილმა:

— კლავდია! მე მოვალ! მალე მოვალ! დამელოდე ბერმუხელების ამოსვლამდე!

წლოვანების მიხედვითაც და გარეგნულადაც ტაკვა კაცი იყო, გული კი ბავშვისა შერჩა. ძალიან მოუნდა წასულიყო და კლავდია ბერმუხელათი დაენიშნა უთუოდ. ის ენძელასა და ორფერას შემდეგ ამოვა — ხასხასა-ყვითელი, გულნაკვერჩხლიანი ყვავილი.

და რაც უფრო მეტად ჭკნება, მით უფრო მძაფრი სურნელი ასდის.

იზიბაშთან ბერმუხელა ყველაზე ადრე იმ ადგილას ამოდიოდა, სადაც მამა განისვენებდა. ტაკვა ყოველდღე მიდიოდა ამ მეფურად დიდებული ყვა-

ვილის თვალის დასაკრავად. ისინი მწვანე მწიკვებად შეფხუნწულიყვნენ და აღარ იშლებოდნენ. აჩქარებდა ტაკვა: „მიდით, ჩქარა, ჩქარა!“ ეგონა, გაზაფხულის მზე ვერ ათბობსო, ჩაიჩოქებდა და ასუნთქებდა, აორთქლებდა თითოეულ ღეროს.

გაზაფხული კი ამასობაში გოლიათურად მიაბიჯებდა ტაიგაში, მიერეკებოდა თავაწყვეტილ დღემოკლე ნაკადულებს. გაიშალა ტირიფის ფისუნიები, არყები და მურყნები დაბერილი კვირტებით შეიხორხლა, ფრინველთა ხმა უფრო ზარიანი გახდა, დამათრობელმა ჰაერმა აავსო და ააჩქროლა ყველა და ყველაფერი.

ყინული აფუვდა, აინთლაშა ონიაზე.

და იმ დღეს, როცა გორაკზე იფეთქა ამ გაზაფხულის პირველმა ბერმუხელამ, მდინარემ ამოიოხრა და ხმაურით დაიძრა.

ტაკვამ ხელი სტაცა ბერმუხელას და უბით გააქანა საცოლისაკენ, ზურგზე სიასამურის, კვერნისა და ციყვის ტყავებით გატენილი გუდა ეკიდა. უნდოდა ყელამდე ბეწვეულში ჩაეფლო თავისი საცოლე, თმაში მზე ჩაეწნა.

დაე ენთოს!

დაე ყველამ იცოდეს — ტაიგა აქორწინებს თავის შვილს!

ამოსი არც ყვავილებს ჩუქნიდა კლავდიას, არც ბეწვეულს. ის უბრალოდ მოიქცა: ტროხა დაათრო და ქალი დასტყუა.

იმ საოცრად ფორიაქ დღეს, როცა ონიამ ყინულქვეშ მთელი ზამთრის ნაგროვები ძალით ხათქახუთქი აუყენა ლოდებს, ბალახის ღეროებივით გადათელა წყლის პირას მდგარი ხეები, ვირუბში გაიმართა ძველებური, დარბაისლური ქორწილი, ბევრი სასმელი დაილია, ბევრი ჰკოცნეს ხატებს, ილოცეს, იქადაგეს, იმაქციეს და იპუტუნეს.

უცებ ვიღაცის ცივმა კივილმა გაფლითა ქორწილის ერთფეროვნება, გაფანტა თაფლუჭის მათრობელა სუნთან შერეული საკმევლის მხუთარი.

— მდინარეს ვიღაცა გადმოდის!

ელდანაცემი ხალხი სუფრიდან წამოიშალა, ყველანი მდინარის ნაპირს მიაწყდნენ.

ამოსი აიმრიზა. კლავდია გაფითრდა, მუშტები მიიჭირა მკერდზე, თითქო ეშინოდა, გული არ ამომივარდესო, გრძნობამიხდილივით გამოლასლასდა ქოხიდან, მთვრალივით გაემართა ნაპირისაკენ. თეთრი, განიერი ყინულხერგილის შუა შავად მოჩანდა ეული კაცი. ყინულსაცა და კაცსაც წყალი ატრიალებდა და ჭორომისაკენ მიაქანებდა. კლავდია მდინარისაკენ გაესწრაფა, გრძელი კაბის კალთების აწევა დაავიწყდა, ფეხი დაიბიჯა, ფხრაწ! ჩამოეფხრიწა კაბის კალთა.

— სად მირბიხარ? რას უშველი!

თვითონაც კარგად იცოდა, რომ ვერაფერს უშველიდა, მაგრამ თავისდაუნებურად გარბოდა. კაცი კი უშიშრად მოიწევდა და მოიწევდა ონიაზე, ხალხისაკენ, ამ ღვთისაგან დავიწყებულ სოფლისკენ.

კაცს დინება უკან მიაქანებდა, ფეხებს ათოთქროვებული ცხენივით ინაცვლებდა, ელოდა სხვა ყინულის მიახლოებას. ისინი კი ვეებერთელა თეფშებივით ტრიალ-ტრიალით მოდიოდნენ, შემოხეთქებულ ყინულებზე ბასრ კიდეებს, ეშვებს იმტვრევდნენ. აი, ორ ფილას შორის გაეჩხირა ლოქოსხელა

წვრილი ყინული და ერთი მათგანი კაცისაკენ მიაცურა. იმ წამს ჭოკზე შექნეულმა სხეულმა გაიელვა ჰაერში და მეორე დაჩვრეტილი ყინულის ნათოსზე დახტა.

ნახტომი, კიდევ ნახტომი! მოახლოვდა ნაპირი, დაშორდა აყეფებული ჭორომი, სულ ახლოსაა წყნარი მორევი. კიდევ ერთი ყინულის ნათოსი, მეორე, მესამე! მოსწყდა, ჩავარდა კაცი წყალში.

— ოჰ, დამთხვეული, დაიხრჩო!

მაგრამ კაცმა კვლავ ამოყვინთა და კვლავ ნაპირისაკენ გამოიბრძოლა, სადაც თავზარდაცემული ხალხი შლეგიანივით ბღაოდა. სირბილი და ხტომა აღარ შეეძლო — ამოლუმპული იყო. ის მაინც არ ყრიდა ფარხმალს. ნათოსიდან ნათოსზე გადო ჭოკი და ფეხების ოდნავი დაკარებით გაირბინა — გადაევლო ყინულრუს.

მდინარე ღრიალებდა, ამსხვრევდა ყინულს, ანგრევდა მთელი ზამთრის ნამტკიცს, იხსნებოდა და იხურებოდა მობუყბუყე ყინულრუები, წკრიალა თითისტარებივით ბზრიალებდა ირგვლივ ხორგო, ყოველ წუთს შავი ელვა იკლაკნებოდა მდინარეზე, სერავდა, აქუცმაცებდა ყინულებს. ჭორომში ორი ყინული შეეჯახა ურთიერთს, ლოდზე შეიყალყნენ და დოლა თავებით მიეხირნენ. აიწიეს, აიწიეს და მძვინვარედ შეიმართნენ უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის. წამით ყველაფერი გაირინდა ირგვლივ, გაინაბა და ჭორომში გახიდული ორი ყინულისაგან შეგუბებული წყალი ტალღებად შეგორდა ნაპირებზე.

კაცი კი აღარსად ჩანდა, ჩაინთქა, ჩაიღუპა.

ანკი რა იყო ის ამ ძალასთან შედარებით: ქინქლა. მაგრამ ყინულები ჩაენარცხა მდინარეში, ნამსხვრევებად იქცა, ალმასებად გაიბნა და კვლავ დაიძრა შეგუბებული წყალი, გაიხსნა ხედი და კვლავ გამოჩნდა კაცი.

ის მოიბრძოდა.

ახლა პირდაპირ კი არ სჭრიდა მდინარეს, ოდნავ თავქვცერად მიუყვებოდა.

მიხვდა, ეტყობა, მკერდით ვერ შეუდგებოდა ონია-მდინარეს.

ხალხმა ერთი ამოიგმინა და კვლავ გაშტერდა.

— გაბრუნდი! — უყვიროდნენ.

— დაიღუპები!

— ტომარა მაინც გადააგდე! — ანიშნებდნენ ხელების ქნევით: — ტომარა! ეეჰ, არ ესმის!..

— ფიცარს ჩაეჭიდე!

ვილაცამ ხის ნაპობი გადაუგდო. კაცმა დაიჭირა და კვლავ ნაპირისაკენ გამოუტია, ფიცხად, შეუპოვრად.

სოფლიდან სამი ვერსით ქვემოთ გამოვიდა ნაპირზე, ფეხი დაუსხლტა, დაეცა.

ხალხმა მიირბინა, წამოაყენეს: ტაკვა!

მას ჯერ კიდევ უელავდა თვალები, ჯერ კიდევ არ ჩაქრობოდა შერკინების ცეცხლი. ყინულის ხორგივით გათეთრებოდა პირსახე ბიჭს, მაგრამ მაინც უცინოდა.

ბავშვობიდანვე შერყეულია — ეს ყველამ იცის სოფელში, ალბათ ამი-

ტომაც შემოვარდა ასე უშიშრად ყინულ-მდინარეში, ამიტომ იცინოდა ასე უაზროდ.

შერყეულს რა, შერყეულისათვის ყველაფერი სეირია.

მაგრამ უცებ სიცილი შეწყვიტა ბიჭმა, თვალები ჩაუქრა, უფრო მეტად გაუფითრდა პირისახე; კალთაჩამოხეულმა კლავდიამ მოირბინა, გაჩერდა, არ იცოდა, რა ეთქვა. ამოსი აეტუზა გვერდზე და წყალში გადაგდებულ ქვასავით ისროლა:

— რაო, ჩვენს მოსალოცად მოიჩქაროდი? აბა შეუბერე! დაგვლოცე!

ტაკვამ უბიდან ამოიღო დასრესილი, მაგრამ მაინც ელვარე ბერმუხელა და კლავდიას შეაჩეჩა უსიცოცხლო, ნაზ თითებში.

ქირქილი მიმოიფანტა სანაპიროზე: ეს ხალხი არავის და არასოდეს ყვავილებს არ უზიდავდა. მხოლოდ მიცვალებულთან თუ მიიტანდნენ და ისიც ბურბუშელისას. ტაკვამ ზიზღით მოავლო თვალი სეირის მომლოდინე ხალხს და ხელები შემუშტა:

— წუმპე! წუმპე! წუმპე! წუმპე!

მან ფეხებთან მიუგდო კლავდიას ტყავებით გატენილი გუდა და უკანვე გაბრუნდა. მხრებჩამოყრილი მილასლასებდა, მაგრამ მდინარესთან მისულმა ტყვიანაკრავივით შეჰბღავლა და ყინულიდან ყინულს გადაევლო.

ბრბო შეჩოჩქოლდა და გაირინდა.

უკვე აღარავინ ქირქილებდა, აღარ ყვიროდნენ, აღარ ოხრავდნენ. დაზაფრული ხალხი უაზროდ უცქეროდა, თუ როგორ მიუყვებოდა კაცი წყალზე მოლივლივე არმისანდო ყინულებს სულ შორსა და შორს.

მხოლოდ მეწაღე ტროხამ დააპირა ტაკვას გადევნებოდა. ხელი სტაცეს, მიწაზე დაანარცხეს, მუხლები დააბჯინეს. ტროხა ქალივით ქვითინებდა და, სასოწარკვეთილი, ტალახიან მიწას ურტყამდა თავს.

კლავდია ამოსზე ბევრად ახალგაზრდა იყო, არცთუ ურიგო ტანად თუ თვალად. მისი დიდრონი თაფლისფერი თვალები ყველას მოურიდებელი სითამამით, რაღაცნაირი გამოწვევით შესცქეროდა, ძველმორწმუნეთ კი არ მოსწონთ ასეთი გამოხედვა. საქმისთვის ცეცხლი აღმოჩნდა გოგო, ქმარს ტოლს არ უდებდა. სანამ დედამთილი ცოცხალი ჰყავდა, კლავდიამ ფრთები ვერ გაშალა. მაკრიდა მიჩვეული იყო ოჯახში მბრძანებლობას, ყველასაგან მორჩილებას თავის წესებსა და რწმენისადმი.

ამოსი ხელიდან დაუძვრა — დედა ცოლს უბეჩავებდა. კლავდიას თავის მამასავით ტაშ-ფანდურა უყვარდა, მაგრამ მოთოკეს, გადააჩვიეს ამ არაფრის მაქნის საქმეებს. ხელში ფურცელი ეჭირა და ლოცულობდა დილა-საღამოს, ძილის წინა და ძილის შემდეგ, ჭამის წინა და ჭამის შემდეგ.

— ნუთუ ასე გაგრძელდება მთელი სიცოცხლე? — ერთხელაც შესჩივლა ამოსს კლავდიამ.

ამოსი იღრიჭებოდა.

— არაფერია, ჩვენი გაუხარელი ცხოვრებაც გამოსცადე. ჩვენი რწმენა პალოსავით სწორსა ხდის ადამიანს, ურტყი ცულის ყუა, მიწაში ჩაარჭე, კრინტს არ დასძრავს. ნურც შენ დაიწყებ ჭიჭყინს, მოითმინე. მე აგერ რამდენი წელი ვითმენდი. რაც უნდა იყოს, კაცი ვარ ბოლოს და ბოლოს.

კლავდიას ღარიბულ, უთავგზო ოჯახში არასოდეს არ იყო ასეთი სასოწარმკვეთი დამონება.

კლავდია ხანდახან ჩუმად გაიპარებოდა შინ, ჩამოემხობოდა მამას მხარზე, რომელსაც ყოველთვის შმორის, კუპრისა და არყის სუნი უდიოდა, და ტირილით გულს იჯერებდა. ტროხა თავისი ჩაშავებული თითებით იწვალებდა ნისკარტა ცხვირს, — ჩაქუჩს მკვირცხლად ატრიალებდა და ჯღან ფეხსაცმელებს ხის სამსჭვლებს ასობდა. ჩაქუჩი ხანდახან უცდებოდა, თითებზე ირტყამდა. გამწარებული ტროხა კისერში ჩამოუთაქებდა ხოლმე პატარა იზოტკას, ხელებში რომ ებლანდებოდა, ანდა გეჯიდან იღებდა ჩამბალი ტყავის ნაჭრებს და რეზინივით წელავდა კბილებით.

ქალიშვილი როგორც კი წავიდოდა, ტროხა ერთი მაგრად გამოთვრებოდა და ფანჯრიდან ისროდა ჩექმებს, უძიროებს, კალაპოტებს:

— აჰათ... თავად შეაკეთეთ! თქვენგან სიცოცხლე გვაქვს გამწარებული მეცა და ჩემს ქალიშვილსაც!

როგორც ყველა ჩამოხიზნულს, ვირუბელები ტროხასაც ქედმაღლური ლმობიერებით ეპყრობოდნენ. მით უმეტეს, რომ ტროხა სულ მთლად ურწმუნო იყო, არანაირად არ ლოცულობდა, ერთი სიტყვით, მთლად წამხდარი კაცუნა. ურწმუნო ხომ იგივეა, რაც უნიფხვო, მთლად უვარგისი. ერთხელ გლეხებმა გადაწყვიტეს კიდეც კეტებითა და მუშტებით ესწავლებინათ ტროხასათვის ჭკუა და სოფლის პატივისცემა. იმ წინა ხანებში უკანასკნელი სიტყვებით ლანძღა ყველა; მოთმინების ფიალა აევსოთ. მაგრამ კლავდია გამოუვარდა ცულშემართული, დაერია გლეხების ბრბოს და რომ არ მოეკურცხლათ, ვიღაცას კარგი დღე არ დაადგებოდა.

ეს რა ჩაიდინა დედაკაცმა! გაუგონარი ამბავი — კაცებზე აღმართა ხელი!

კლავდია იმ დღიდან ველურად მონათლეს კერჟაკებმა, ამტკიცებდნენ, შერყეულიაო, და უკვირდათ, ამოსი აქამდე როგორ იყო ან ცოცხალი ან უვნებელი. ამოსი მათ თავის დაძარღვულ მუშტს უჩვენებდა:

— აი, დედაკაცის მომრჯულებელი!

ბაქიაობდა კაცი. გული-გულში კი თვითონაც შიში ჰქონდა „ველურისა“ და თითის დაკარებასაც ვერ უბედავდა.

კლავდია, თითქოს ვიღაცის ჯავრის საყრელად, ესიყვარულებოდა მონადირე ტაკვას. ამით ყველას აგრძნობინებდა, რომ ის ახლობელი იყო და ახლობელადვე დარჩებოდა. ამოსი იჭვნეულად უთვალთვალებდა მათ, მაგრამ ვითომც არაფერიო, მხოლოდ გესლიანად ქირქილებდა.

ტაკვა უძალიანდებოდა, მაგრამ რაღაც ძალა მაინც იქით ეწეოდა, სადაც კლავდია ცხოვრობდა. ამას იმით ხსნიდა, რომ წარუშლელი პატივისცემა ჰქონდა მამის ხსოვნისა. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, იყო სხვა მიზეზიც. და რაც უფრო მეტად მიუწევდა გული ამ სახლისაკენ, მით უფრო იშვიათად მოდიოდა სოფელში, და როცა მოდიოდა, შორიდან უვლიდა მშობლიურ ეზოკარს, სხვებთან ათევდა ღამეს, უფრო ხშირად კი ქორვაჭარ იონიჩთან ეძინა ხოლმე.

დღეს კი აღარ შეუშვა იონიჩმა. მეტი რა გზა ჰქონდა, ახლა ისევ თავისიანებთან იყო და ისევ კლავდიასთან საუბრობდა. ამოსი გაიგებს და ჩხიკინს დაუწყებს ტაკვას, უხამსად გაეხუმრება კლავდიას. იქნებ კი აღარც იხუმროს? წლებს ხომ თავისი მიაქვს. ამოსი ტაკვაზე ბევრად თავშენახული კია, მაგრამ აღარც ის არის შეღერებული ბიჭი. დროც რა საშინელი დადგა. ვის რა ეხუმრება?

ხის ჭიშკარი შემოჯახუნდა. ეზოში ამოსმა შემოალაჯა. უკან კლავდია მოჰყვა. ამოსი უფრო ჩამომხმარი ჩანდა, გალეული. ჭაღარა ისე დამჩნეოდა, თითქოს შავ ყინულღრუს თხელი ყინული გადაჰკვრიაო. ღრმად ჩამსხდარ თვალებს ნაოჭების ბადე შემოხვეოდა, წარბები წინგარდებივით მიბჯენოდა ცხვირის კეხს. ამობურცული ხვანჩი ლურჯ ძარღვებს დაექსელა, კისერი ბავშვივით გაწვრილებოდა.

ოჯახის თავმა ხელი ჩამოართვა ტაკვას, მაგრად მოუჭირა და გვერდით მიუჯდა. მონადირემ ჩაიჩოჩა, შემკრთალს ხველა აუვარდა.

— შინ რატომ არ შემოხვედი? — ჰკითხა ამოსმა და ქისა გაუწოდა. უჯიათი ამოსი გეახლებოდათ ნამცხვრებს, საფუვრით გამომცხვარ კვერებს, სვამდა არაყსა და სვიან ლუდს, რაც ძველმორწმუნეთა თვალში დიდ ცოდვად ითვლებოდა.

— რა ვიცი, აი აბანოსთან მოვედი და ჩამოვჯექი, — ამოილუღლუღა ტაკვამ.

ამოსმა ცერად გადახედა, პაპიროსის ქაღალდს ენა აუსვა:

— ნუ მიედებ-მოედები რაღაცას! შინ წამოდი, განა უცხო ხარ.

ტაკვა დაფაცურდა, ზურგჩანთას დაუწყო ძებნა.

— მე წამოვიღებ, მე, — ხელი აუქნია გახარებულმა კლავდიამ.

— ბავშვებს წამოვუღე რაღაც — ღანძილის წნილიანი ჩოკორე.

— ამათთვის ხორცი უფრო ალალი იქნებოდა, — კუშტად წაილაპარაკა ამოსმა, — ძალიან გახდნენ...

— სად არის ხორცი! მეც ვიავადე, — თავის მართლება დაიწყო ტაკვამ.

— ნადირი გადაიხვეწა ტყიდან? — ჰკითხა ამოსმა და ტაკვა წინ შეუშვა ეზოში.

— გადაიხვეწა, რაც ჯანსაღი იყო, დასახიჩრებულიღა თუ სადმე შემორჩა და თითო-ოროლა ნუკრიანი ფური. კიდევ ერთი ფური სამარილეზეა მოჩვეული.

ამოსს წარბი შეუთამაშდა, თვალები დაეწკურა. ისევე მოთენთილივით, მაგრამ უფრო თბილად წაიდუდღუნა:

— ჯუბაჩა კი აქ მიაგდე დერეფანში, წეკოს მოაყრის, იცოცხლე, ტილები მაგ ბანჯგვლებზე მეტი გეყოლება.

— ტილი მყავს, აბა არა მყავს. რას მოუხერხებ მაგ წყეულებს...

ღამით ტაკვა გაქრა.

კლავდია დილით გავიდა საბძელში მის გასაღვიძებლად და აღარსად იყო. ქვეშ ნაგები თივაც კი აეხვია კელფებად და კედელთან მიეწყო. არც თოფი, არც ზურგჩანთა თივაში არსად ჩანდა.

— ნამდვილი ავსულია! უცებ საიდანღაც გამოგეცხადება და უცებვე სადღაც გაქრება, — ხელები გაასავსავა კლავდიამ.

— სულ ტყუილად ლანძღავ, — ჩაიქირქილა კიბის თავზე ჩამომჯდარმა ამოსმა, — იგი უმწიკვლო ანგელოზია, ტილიანი ჯუბის ქვეშ გედივით თეთრი ფრთები აქვს. იმ ფრთებით გაფრინდა ანგელოზურ აღთქმათა აღსასრულებლად.

— რას როშავ, ბებერო ტაკიმასხარავ?! გითხრა, საით წაეღეტა?

— რას მეტყოდა! ჩემთვის ფუთიანი ჭლიტითა აქვს გული ჩაკეტილი და გასაღები ონიაში გადაგდებული.

— ავადმყოფობისაგან დასუსტებულია, გაბეჩავებული — ტაიგაში დაიღუპება.

— მ-მაშ, დაიღუპება! უწინ ჩვენ დავიღუპებით აქ.

— ცარიელ ტაიგაში ეშმაკიც ვერ გაიტანს თავს.

— ტაიგაც ზოგისთვის დედაა, ზოგისთვის დედინაცვალი, ზოგისთვის ცარიელია, ზოგისთვის სავსე. შენ ჩემს სიტყვას ნუ დაივიწყებ და ნახე, ხვალ ან ზეგ თუ არ გამოჩნდეს ეგ უთითო ანგელოზი, — ქონიანი მკერდის ფხანით დასძინა ამოსმა, — და არც ცარიელი გუდით.

ტაკვამ მეორე დღეს საღამოს მოსცურა. ნავში მსხვილ ნაჭრებად აქნილი ლოსის ხორცი ეწყო, ზემოდან არყის ქერქი ეფარა. ნავის კიჩოსთან სისხლიანი წყალი ჩქაფუნობდა. სანამ ტაკვა ხის კოვზით ხაპავდა წყალს, ნაპირზე კაცები მოგროვდნენ, მათ მოჰყვნენ ქალები და ბავშვებიც. უხმოდ მომლოდინედ იდგნენ ნავის სიახლოვეს. ტაკვამ თვალი მოავლო შიმშილისაგან თითქოს დაპატარავებულ გამოღამებული, ჩაცვივნული თვალებით მზირალ კერჟაკებს. მერე კბოდეს გახედა. ისევ ისე იბურძგლებოდა ჭინჭრიანი კბოდე, თხემზე კი იდგა ისევ ის შავფერი აბანო, მხოლოდ კუთხეები შემოლპობოდა აქა-იქ. ოდესღაც ამ კბოდეზე მიბობღავდა პატარა კაცუნა, მიწას ფხოჭნიდა, ჭინჭრებს ებღაუჭებოდა, ფეხს იბიჯებდა თამბაქოსაგან გაყვითლებულ ხელის ტილოზე, რომელზეც სისხლის ლაქები ჭაჭყატა მამლებივით მოჩანდა.

— ტროფიმ მატვეევიჩი აქ არის? — წყნარად იკითხა ტაკვამ.

— ტროხა, ჰაი ტროხა! შენ გეძახიან! ტაკვა გკითხულობს! — ექოსავით გადაურბინა ნაპირს და გაუბედავად წამოიჭვინტა წინ ფეხშიშველი, ფეხებმოკაკვული ტროხა, უხერხულად მოისრისა ცხვირი თითებით, ჯერ კიდევ ზოლზოლად რომ ემჩნეოდა გასანთლული ძაფის კვალი, თუმცა დიდი ხანია აღარც არაფერს კერავდა და აღარც არაფერს აკერებდა.

— ცული მომიტანე, ტროფიმ მატვეევიჩ, — ხალხთან კიდევ უფრო პატივით ეპყრობოდა ხოლმე ტროხას, რითაც მთლად თავგზას უბნევდა საწყალს.

— ცული, ცული მოიტანე! — კვლავ ექოდ დაირხა ნაპირზე.

— აქ არის ცული, აქ არის! — ხელიდან ხელში გადასცეს ცული და ამასობაში ორი დასუსტებული კაცი უკვე მიაგორებდა კუნძს ნავისაკენ.

ტაკვამ ჩრაქვები წყალში მოისროლა და ნაპირზე მდგომთ უცებ სახეები მოებრიცათ, ნესტოები აუცახცახდათ. ნავში ხორცის მთა იდგა! ბავშვები წყალში შეცვივდნენ, ჩრაქვებს იჭერდნენ და ჟუჟულს ლოკავდნენ. მათ დასატუქსად არავის ეცალა. ყველანი ხორცს მისჩერებოდნენ, მოუთმენლად ინაცვლებდნენ ფეხს და რის ჭირით იკავებდნენ თავს, რათა არ დასცემოდნენ ამ ვარდისფერ ნაჭრებს, არ დაეტაცათ, არ დაეთრიათ, არ დაებღღვნათ ცოტათი მაინც სულის მოსაბრუნებელი.

მაგრამ შიმშილმა ხალხი მორჩილი გახადა. ისინი იცდიდნენ.

ტაკვამ აუჩქარებლად წამობერტყა ჩიბუხი ნავის კიდეზე, წარბებს ქვეშიდან ერთხელ კიდევ მოავლო თვალი კერჟაკებს და ქორბუდას ბეჭი კუნძზე შემოდო. ის დაახლოებით ფუთნახევარს მაინც იწონიდა. ტაკვამ ცული დააღირა, შუაზე დაუპირა გაჭრა, მაგრამ მოსაქნევად აწეული ხელი უცებ დაუშვა.

— წაიღე, ტროფიმ მატვეევიჩ!

ტროხა ადგილიდან არ იძროდა, იდგა გახევებული.

— წაიღეო, გეუბნები! — ხმამაღლა გაუმეორა ტაკვამ, — მთლიანად წაიღე!

— ამდენი როგორ? — წაიბლუკუნა დაბნეულმა ტროხამ. — ეგება ორი-სამი გირვანქა ჩამოგეჭრა. ამ მოწყალებისთვისაც ღმერთს მადლს შევწირავთ...

იმან, რომ ასე საცოდავი იყო ტროხა, ასე საცოდავად ლაპარაკობდა და მაზრის უფროსივით თქვენობით მიმართავდა, მოთმინებიდან გამოიყვანა ტაკვა. მან ხელი წამოავლო ვეებერთელა ბეჭს და ისე დასცა მხრებზე ტროხას, იგი სიმძიმისაგან ჩაიკეცა.

— შეაყოლე!

ტროხა მორჩილად წაცუხცუხდა კბოდეზე. ტვირთისაგან ბარბაცებდა, ჭინჭრებს ებლაუჭებოდა ცალი ხელით, მაგრამ ხორცი მაინც მაგრად ეჭირა.

— წაიღო! — გული ამოაყოლა ვილაცამ.

ტაკვა გაცხარებული ჭრიდა ლოსის ხორცს. კი არ ჭრიდა, კაფავდა, ნაკუწებს გამოწვდილ ხელებში აჩეჩებდა ხალხს და აქოშინებული ისე ყვიროდა, თითქოს ხორცი ტანიდან ეგლიჯოს:

— აჰა, შეაყოლე! ა-ჰა! შეაყოლე! ა-ჰა! შეაყოლე!

და აი, მარტო დარჩა მდინარის პირას. ხელები დაიბანა, ყალიონი ამოიღო და ნავის კიდეზე ჩამოჯდა. სოფელში ყველა ბუხრიდან კვამლი ამოდიოდა. ტაკვას ხელები უკანკალებდა.

ამოსი და კლავდია არ გამოჩენილან მდინარის პირას. ტაკვამ ლოსის დიდ-ტუჩა თავი ტომარაში ჩაუშვა, ზემოდან შეშასავით დააწყო ჩლიქებშუა ბალახ-შერჩენილი ნადირის ფეხები, გუდურად შეკრა და ნელა წალასლასდა ამოსის სახლისაკენ.

ფარული გესლიანი ღიმილით დახედა ამოსმა ტაკვას მოტანილ ძღვენს და წაიბუზღუნა:

— რას იზამ, მშივრებისათვის ძვლებიც მადლია! დედაკაცო, აბანო გა-ახურე, მონადირე დიდი ნადავლით დაგვიბრუნდა.

მეტი აღარაფერი უთქვამს. ტაკვამ დარცხვენით ჩაჰკიდა თავი.

აბანოს შემდეგ სუფთა, თმადავარცხნილი ტაკვა მაგიდას უჯდა. გვერდს მომსხდარი ძმისწულები პირში შესცქეროდნენ უშიშარ ნადირთმჭლეტს. კლავდიას გვიან გაუჩნდა ბალღები და ამიტომ ძმისწულები პატარები იყვნენ. ტაკვა თავზე უსვამდა ხელს ბიჭუნებს და უამბობდა ტყისას და იზიბაშისას. უფროსს მსხვილი თვალები ჰქონდა, ალერსიანი. მის დედიკოსაც ასეთი თვა-ლები ჰქონდა ოდესღაც. ტაკვამ ბიჭუნა მკერდში ჩაიკრა და ყურში ჩაუჩურ-ჩულა:

— გაიზარდე! ტაიგაში წაგიყვან, ცისფერ ქვებს გაჩვენებ, ბერმუხე-ლებს მოვკრეფთ...

კლავდია ზურგით ბოძს მიეყრდნო, რაღაცა გაახსენდა და დანაღვლიან-და. ამოსმა ბრაზიანად დაჰყვირა ბალღებს, მაგიდიდან მოაფრთხო, მერე ხელი აუქნია და გარეთ გაყარა.

— გული რომ არ გაგვიწყალონო, — დასძინა.

მასპინძელიც გაიღვრიჭა აბანოში, თხელი ტყავივით შარიშურა სატინის ახალთახალ ხალათში გამოწყობილი ტაკვას პირისპირ ჩამოუჯდა, ძვალმსხვი-ლი, მაჯებამდე შეჭორფლილი ხელები მძიმედ დააწყო მაგიდაზე.

აუჩქარებლად, საქმიანად სვამდნენ სიძველისაგან გამქავრებულ არაყს. ტაკვა მალე შეთვრა. ამოსი მალიმალ უვსებდა სასმისს.

— მაშ, ქორბუდა თუ დააწვინე, ფური რაღაზე გაუშვი? — ისე, სხვათა შორის ჰკითხა ამოსმა.

— აკი გითხარი, ნუკრი ჰყავს-მეთქი — გაუშვი გაიზარდოს, ჩვენ ტყეს შეემატოს, — სველი ულვაში მოისუტა ტაკვამ.

— ნუკრსაც მიაყოლებდი. ვერა ხედავ, რანაირი შიმშილობაა.

ტაკვამ თვალები აახამხამა და ამოსმა ახლაღა შეამჩნია, ქუთუთოებზე წამწამები აღარა ჰქონდა. „კოლოების ნაკბენ-ნატკივილობაზე გასცვივდა ალბათ“, — იაზრა ამოსმა.

— გამოდის, რომ თქვენს განთქმულ იზიბაშში ტილებიღა არიან მხოლოდ...

— გაღარიბდა იზიბაში. ჭაჭანება აღარაფრისაა, შეგზარავს კაცს. გაიღვიძებ დილით — ჩიტის ხმაც კი არსაიდან ისმის...

ამოსმა არყის ფესვისაგან გაკეთებული კათხა მიუცურა ტაკვას. ტაკვამ ერთ ყლუპად გადაჰკრა, დაიღრიჯა და თვალებით დასაყოლებელი მოძებნა. ამოსმა საჩქაროდ მიაწოდა კომბოსტოს წნილიანი ჯამი. ტაკვამ ხელი ამოაფათურა შიგ და ერთი ბეწო ამოწიწკნა.

— ნანადირევს რატომ არა ჭამ? შენი მოტანილია.

ტაკვას ხველება აუვარდა, მერე კომბოსტო დაღეჭა და მოღუშულმა ამოილულლუღა:

— არ შემიძლია, ქორბუდა გულსუწადინოდ მოვკალი. პირს ვერ დავაკარებ.

— ეგ როგორ გავიგოთ?

ტაკვა ჩაფიქრდა, თავი ჩაქინდრა, მოიბუზა:

— ხოცვაზე მწარე არაფერია.

— გააჩნია რისი, ვისი.

— სულ ერთია. ძაბუნს მხოლოდ ძაბუნი ჰკლავს.

— ჰაჰ, ღმერთმანი, გულს მირევ! თითქოს მთელი სიცოცხლე შვრიის მახოხის მეტი არაფერი გეჭამოს, — მიახალა ამოსმა.

— დასუსტებული ნადირი მაინც არ მომიკლავს, მაკე' დედლისათვის ხელი არ მიხლია, საბუდრები არ მომიშლია...

— ნუ როშავ რაღაცას, — ხელი აუქნია ამოსმა, — ეგეთები ჩემს დედაკაცს უამბე, მას შეუძლია გითანაგრძნოს, მე კი მაგ საკენკს...

— არ მიხოცია-მეთქი! — წაუქიმანჯურა ტაკვამ, — ჩემთვის არც ამას მოვკლავდი. მე ის ცეცხლიდან გამოვიყვანე, სამარილესთან მივდენე. დაბეჟილი იყო, გატუსული. მაინც გამორჩებოდა. მე კი... ის იქვე, სამარილესთან იწვა, ხუთიოდ საჟენზე მიმიშვა. არ გამირბოდა. მე კი...

ტაკვამ კბილები გააკრაჭუნა. ამოსმა ვითომ თანაგრძნობით დააქნია თავი, თათხვა დაუწყო:

— ღმერთო, შენ მიშველე! ვერაფერი გამიგია! იმან კაცს სული გააფრთხობინა, ამას სულელური სათნოება ჩაუჭედა თავში. ისიც სულელი იყო, შენც სულელი ხარ! დოყლაპია და სულელი! — კვლავ წამოპილპილდა ამოსი და ქოხი ღრიალით აიკლო: — შენ, შენ კი შეგიბრალებენ? შენ იმათ ხორცი ჩამოურიგე, ლამის გული ამოიჭამე. აბა ერთი შენ მოხვდი ხანძარში, მიგდენიან ეგენი სამარილესთან? ნუ გეშინია, უფრო ღრმად, შუაგულ ცეცხლში შეგაგდებენ, ერთხელ კიდევაც დაგიპირეს. ბოთე ხარ, გაუგებარი. უყვართ

კერძაკებს, ხალხი ცეცხლში რომ იწვის. ადრე თვითონ იწვებოდნენ, ახლა სულით დაძაბუნდნენ, ახლა მხოლოდ სხვებს ჰყრიან ცეცხლში. შენ კიდევ ხორცს უზიდავ! მიდი, ჰო, მოუტანე, მიაყარე, ფრთებიანო ანგელოზო! როცა ცეცხლს შეგინთებენ, ნაღვერდალს მაგ ფრთებით შემოგიხვეტენ ქვეშ, წმინდანებთან განისვენეო, გეტყვიან, წმინდანებთან განისვენეო!...

ამ სიტყვებით ამოსმა მთლად გასრისა, მთლად მოსპო ტაკვა. კლავდია პირში ეცა ამოსს:

— კარგი ჰო, რა მოგივიდა? რას ერჩი ამ კაცს? ისედაც გული უწუხს. შენ არავინ გეკითხება მაგის სულზე ზრუნვას, სჯობია დალიოთ და საქმეზე ილაპარაკოთ, თორემ ისე ხართ ერთმანეთთან, როგორც ცეცხლი და წყალი. წელიწადში ერთხელ შეიყრებით და მაშინვე დუღდებით ხოლმე. სირცხვილია, მაინც ერთნი ხართ, ერთ ოჯახში გაზრდილნი, ნათესავები.

ამოსი გაჩუმდა, ჩაახველა, მაგიდის ქვემოდან ხელადა აიღო, დაასხა და სასმისი თითით მიუცურა ტაკვას:

— თითოც დავლიოთ? იქნება ცოტა გულს მოგვეფონოს. ღმერთმა ეს **სასწაული ამისათვის** მოიგონა. დალიე!

ტაკვამ ისევ ერთ ყლუპად გამოცალა სასმისი. ამოსმა დინჯად წამოიწყო:

— მაშ შენ ამბობ, ფური მაინც დარჩაო?

— პატარა ნუკრით აბა სად წავა?

— წავა!

ტაკვამ შეპასუხება დააპირა, მაგრამ ხელი ჩაიქნია, ვითომ აღარ ღირს ამაზე ლაპარაკი, და სიმღერის წამოწყება სცადა. შეთვრა მონადირე. ხმა უკანკალებდა და ცოტა კიდეც ეხრინწებოდა:

სა-ტუსაღო, რანაირი სახელია!
ნახეთ ერთი, ყვე-ელას როგორ აშინებს და ერცხვინება,
მე კი სხვა ვარ, იმ სხვებივით არ გეგონოთ,
იმთავითვე შევეჩვიე და დათმობაც მეძვირება.

— ცხონებულ მამას უყვარდა... — თავი აუცანცარდა ტაკვას და ცრემლები ჩამოაბნია, — ფაეფან კონდრატოვიჩს... ე-ეჰ, კაცი იყო! კაცი! კლავა, ჰა, კლავა, მამა ხომ გახსოვს? ფაეფან კონდრატოვიჩი?

— როგორ არა, როგორ არა, მახსოვს, — აჩქარებით უპასუხა კლავდიამ, რათა მთვრალი ტაკვასათვის არ ეწყენინებინა, — ფეხსაცმელს ყოველთვის მამაჩემი უკერებდა. ერთად უყვარდათ სმა. თავისებური კაცი იყო, მაგრამ კეთილი. ერთხელ ბაჭიაც მომიყვანა... ცოცხალივით მახსოვს... კომბოსტო მაინცა ჭამე, რაკი ირმის ხორცზე გული არ მიგდის...

— მამაშენიც, წელან ვუცქეროდი, კაი ბეჩავია...

— აეჰ, — სიმწარით გადააქნია თავი კლავდიამ და ზურგშექცეულმა წინსაფრის ბოლოთი მოიწმინდა ცრემლები.

— ცუდად არის ჩემი სიმამრის საქმე, ცუდად. შეიძლება ითქვას, ჩვენითღა უდგას სული. ფეხსაცმელს ახლა აღარავინ აკერებს. ფეხსაცმელისათვის ვილასა სცხელა? — ამოსმა უცებ რაღაცა იაზრა და კლავდიას უბრძანა:

— ჩაირბინე, დაუძახე, ჩვენთან გადმოვიდეს. — მასპინძელმა ცხვირი **აასრუტუნა:** — მამაჩვენის ხსენებისა იყოს, ღმერთმა იმქვეყნად ნათელი დაადგას...

— მოდი, გაკოცო! — მაგიდაზე გადაიხარა გულაჩუყებული მონადირე.

კლავდია შეშფოთებით მიაჩერდა ქმარს, ცოტა ხანს ადგილზე იდგა და მერე ტროხას დასაძახებლად წავიდა.

შემდეგ თითოც კიდევ შესვეს და ამოსმა ისევ ჯიუტად ჩამოაგდო ლაპარაკი ნადირობასა და ნადირზე. ტაკვა კი სიმღერის წამოწყებას ცდილობდა, თან მაინც თავისას გაიძახოდა:

— ჭირია გაჩენილი ტაიგაში, ჭი-რი! მთელ დედამიწაზე ჭირია მოდებული, ქვეყანა იღუპება. დედა მარჩენალი განარისხეს...

— ჭირი, აბა! რას დაგვჩხავის, მე ამისი დედა ვატირე! — გაბრაზდა ამოსი, — ქორბუდა გააგორა, ფურიც კიდევ არის, ეს კი გაიძახის — ჭირია, ჭირია! მოვკლავდი მასაც და ხორცს ტყუილად არ დავარიგებდი, ფული გექნებოდა. გაანებივრე ლოსის ხორცით კერჟაკები და ეყოფათ: გაუშვი, ქისას მოხსნან პირი, თორემ სხვისა მაზიარებელი მოკვდა უზიარებელია...

ტაკვამ წყენით შეხედა მასპინძელს. ამოსმაც ისე ჯიქურ გაუსწორა თვალი, თითქოს თოფის ნიშანზე აეყვანოს...

— ხომ ვიცი, სტყუი, აბრახებ, ფურირემი დადისო! თან იძახი, ჩიტის ჭაჭანებაც არსად არისო... იზიბაშში აღარაფერიაო...

— ეჰ, ამოს, ამოს! ტაიგაში განა მხოლოდ იზიბაშია? განა მის გარდა აღარსად არის ოქრო ადგილი? კურუშკა, სერებრიანკა, სადათვე ხევი... ე-ე, შენ ტაიგისა რა გაგეგება, შენთვის უცხოა ტაიგა...

— თორემ შენ კი ძალიან გაგეგება, აი! აბრახუნებ მარტო! სადათვე ხევი მთლად გადაიხრუკა. ან იმ შენს კურუშკაში რაღა დარჩა?

— თითქმის აღარაფერი. მარტო კაპოეტიღაა მდინარეში, — დაუდასტურა ტაკვამ.

— თქვენი სერებრიანკაც აღარა ბრწყინავს, დაგიცარიელდათ ბეღელი, კაცები ამბობენ — თაგვებიც კი აღარ არიანო.

— რაო, რა თქვეს კაცებმა? კაცები იქ რომ ყოფილიყვნენ, ფურის ბუნდლასაც არ დატოვებდნენ! კაცებმა თქვესო! იმის ვაჟკაცობა ვინ მისცა მაგ შენს კაცებს, სერებრიანკაზე ჩავიდნენ!

— შენ გგონია, ვაჟკაცობა აღარავისა აქვს? — გამომწვევად ჩაიცინა ამოსმა.

ტაკვა ეჭვის თვალით მიაშტერდა მასპინძელს, საფეთქლები მუშტებით მოისრისა.

— აბა, აბა, ნუ სცოფდები! აიღე, გადაჭარი და კომბოსტო მაინც მიაყოლე. მოგეკიდება, იცოდე, წაიქცევი... — მიაყარა ამოსმა.

მაგრამ ტაკვა უკვე მოთავებული იყო. როცა კლავდია დაბრუნდა, იგი იატაკზე ეგდო, თავი მუშტებზე დაედო და სუსტი ხმით უწვრილებდა:

სატუ-საღო, სატუ-საღო. რანა-ა-ირი სახელია...

კლავდიამ საძინებელ ოთახში შეათრია, ფეხსაგებზე მიაწვინა და თავქვეშ თხელი ბალიში ამოუდო. ტროხა მოვიდა, დალია, ცხვირი სრესით ლამის მოიგლიჯა და ცოტა ხნის შემდეგ ისიც ტაკვას ეწვა გვერდით, ტიროდა, ეფერებოდა, მწყალობელსა და ათას ტკბილ სიტყვას ეჩურჩულებოდა.

ამოსი თითქმის ფხიზელი წამოდგა სუფრიდან და ცოლს მოკლედ უთხრა:

— საგზალი გამიმზადე, მარილი, კარდალა, ორცხობილა.

კედლიდან მამისეული მონჯღრეული თოფი ჩამოხსნა, ლულებში ჩაუბერა, ჩახმახები მოსინჯა.

— საით ემზადები? — შეშფოთდა კლავდია, — არ გაბედო! ტაკვას დაელოდე, შეუთანხმე, ქურდულად არ გინდა! ხომ არ გავიწყდება ტაიგის კანონი?!

— ეხლა შიმშილია ყველაფრის კანონი! — მოუჭრა ამოსმა და ხელის კვრით ჩამოიცილა.

* *

ამოსი ჩქარობდა, ისე მაგრა აწვებოდა ჭოკს გათავთხელებული ონიას ფსკერზე, რომ ვერხვის ვიწრო ნავი ჩქერებში კიდეებამდე წყალში ჩადიოდა. ამოსს კიდევ შემორჩენოდა ძალა. ისა და მისი ოჯახი ვირუბში ყველაზე ნაკლებ შიმშილობდნენ, მამისაგან დანერგილმა ძველმა ჩვეულებამ უშველა. ძონადირეთა ოჯახები ყოველთვის იმარაგებდნენ ორცხობილას: გახმებოდა პური თუ ცომი ჩავარდებოდა, სუფრაზე დარჩებოდა თუ საგზლისა მოჰყვებოდა ნატეხები — ყველაფერი ორცხობილაზე მიდიოდა. ფიცარნაგზე სავსე ტომრები ეწყო, რადგან ფაეფანის სიკვდილის შემდეგ მათ მაინცდამაინც არავინ ეტანებოდა. ხანდახან ისე, სახალისოდ ბორშჩში თუ ჩაიყრიდნენ ბალღები. როცა ტაკვა გამოჩნდებოდა, იმას ატანდა ხოლმე კლავდია გუდით, ან მათხოვარს გაიკითხავდა. კომბოსტო წინა წლისა ჰქონდათ შემორჩენილი, ახალი კარტოფილიც ის-ის იყო შემოდიოდა, უკვე ჩიტის კვერცხის ოდენები იყო, ამოსმა რომ მოსინჯა. ჭარხლის ფოჩებს, თალგამურასა და კომბოსტოს ფურცლებს უკვე ბორშჩში კაფავდა კლავდია.

არა, ამოსი შიმშილით არ მოკვდება, არც ბავშვებს უჭირთ არაფერი. შეიძლება სოფელმაც თანდათან მოიბრუნოს სული. კიდევ ერთი-ორი თვე უჭირთ ვირუბელებს და მერე ბოსტნეულით გაიტანენ თავს. მართალია, ბოსტნებშიც იმდენი არაფერია, რამდენიც ამობალახდა, მაგრამ მაინც მწვანილია, საჭმელია. ამ ორი თვის მანძილზე კიდევ ბევრი გაჭიმავს ფეხებს, ეჰ, ბევრი...

„ჩანს, მატყიერი განვარისხეთ!“ — გაიფიქრა ამოსმა და თავისი თავისა გაუკვირდა, კვლავ რატომღაც ღმერთი გაახსენდა. გულის სიღრმეში ხომ იცოდა, რომ ეს ადამიანთა საფრთხობელაა მხოლოდ, უხილავი აღვირი, თავის ჭკუასა და საზრიანობას უფრო ენდობა ამოსი. ბავშვობიდანვე მტკიცედ ირწმუნა, რომ ღმერთი ღმერთია, მაგრამ თავადაც არ უნდა იყო ბოთე. მართალია, დედის წაქეზებით ამოსი ძველმორწმუნეთა წესებს ასრულებდა, მაგრამ სინამდვილეში მის გულს ისინი არასოდეს ეკარებოდა. აგერ მისი მეზობლები ხომ ელიან ღვთის წყალობას და ბუზებივით იჟუჟებიან, ის კი არ დაელოდება, ხორცს გააჩენს და იგივე მეზობლები ღიჯინით მოადგებიან კარს, არც იკითხავენ, ღვთიანად მოიქცა ამოსი თუ უღვთოდ, სხვის სამარილეზე რომ ინადირა ქურდულად.

რაც შეეხება ტაკვას, იგი სათვალავში ჩასაგდებიც კი არ არის. მისი ომირთი ტაიგაა, მისთვის ყველაფერზე მაღლა — ტაიგის კანონია. მაგრამ მარტო ის რას შესძლებს ამ კანონის დაცვას. ყველა კანონს, ცუდსა თუ კარგს, ქვეყანა აწესებს და ქვეყანა იცავს.

ამოსი მოზომილად ინაცვლებდა ჭოკს. ხელისგულები ეწვოდა, წელი სტეხდა, ყელი უშრებოდა. დროდადრო დაძარღვული ხელით ამოხაპავდა

წყალს, ყლუპს მოსვამდა, ხალათის კალთით პირს მოიწმენდდა და კვლავ წინ მიაქანებდა ნავს.

დაკლებული ონია უთავგზოდ ბორგავდა ჩქერებში, შხუოდა ჭორომებში, გრუხუნებდა ჩანჩქერებში. მის დამრეც ნაპირებზე უძრავად იდგა ყავისფრად შეხრუკული არყნარი. ფიჭვებიც კი შეყვითლებულიყო. უმოწყალო, ციმბირისათვის უჩვეულო მზე ბუგავდა ყველაფერს, მწირი, ხირხატი ნიადაგიდან უკანასკნელ წვენს იწოვდა. ვიწრო ნაპირებზე აქა-იქ იდგა შარშანდელი კირჩხები. ბალახი მეჩხერი იყო და ჯოყრიანი. ვირუბელებს ამ წელს აღარ გაუთიბიათ. გაწყდება საქონელი, სოფელიც მთლად გაუბედურდება.

ამოსმა სიხარული იგრძნო, როცა გაახსენდა, თუ როგორ ცოტცოტაობით მოხენცლა ბალახი ეზო-ყურეში და საბძელი თითქმის გამოტენა. ჭანჭრობ ადგილზე ბალახი აფუებული ცომივით იწევდა. ნეტა ვინ დაუშალა მეზობლებს, წყარო გადაეკეტათ მისთვის?

საღამო ხანს ნიავმა ხრაკის სუნი ჩამოიტანა მთებიდან. ამოსმა თავი ასწია. მაღალ, სიცხისაგან გათანგულ ცას შავ არშიასავით გაჰკვროდა კვამლის ზოლი. უმოწყალოდ ცხარე მზე ჩასვლის წინაც კი შეუბრალებლად აჭერდა.

წინ რაღაცა გამოჩნდა შავად. ალბათ რამდენიმე დღის წინ ხანძარი მოადგა მდინარეს, იბორბოწიავა მის ნაპირთან, იშიშხინა, აუყვა-დაუყვა ნაპირს, წყლის პირს მიადგა, წაქცეული ხისა თუ ქარისაგან ატაცებული ტოტის მეშვეობით გადაეწთო მეორე მხარეს და ტაიგის სიღრმეში გაუტია. მხოლოდ გვამებს დამსგავსებულ წამოქცეულ ხეებსა და მაღალ კუნძებსღა ასდიოდა ლურჯი კვამლის წვრილი ზოლები, თითქო ახლად ჩამქრალი სანთლებიაო. წყალზე მოცურავდა ფოთოლი და ნამწვავი. სუნთქვა ჭირდა. მდინარის ნაპირებს იყო მოდებული შეტუსული ფრინველი. ამოსმა ამოათრია წყლიდან დედალი კოპალა-ყრუანჩელა და მაშინვე მოისროლა: უკვე აყროლებულიყო. მერე დაფიქრდა, ისევ მისწვდა, ნაკვერჩხალზე დააგდო და როცა ჯიჯგნიდა, გული არ ამერიოსო, ცდილობდა სხვა რამეზე ეფიქრა. მაგრამ უცებ დაიჭყანა, ხელის გულზე გადმოყარა ნაძმუძნი მძორი და ქვაზე დაახალა.

— თავს მოატყუებ, მუცელს — ვერა, — წაიბუზღუნა და ორცხობილა ჩალბო წყალში.

ამ შესვენების შემდეგ მთელი ღამე ჭოკზე ეკიდა, წყალს მიაღოვევდა, არაქათი გამოეცალა, მაგრამ დილამდე მაინც გასცდა ნახანძრალს და გაიხარა.

ცეცხლს, მხოლოდ ცეცხლს შეეძლო ამოსისათვის წინააღმდეგობის გაწევა, მისი შეჩერება. მაგრამ ცეცხლს შეერთებული ძალებით აღეგავა სიცოცხლე მთის ქედებიდან და ახლა დაბლობებს დასტყდომოდა თავს, ტრიალ მინდვრებზე გამოეყარა მომთაბარე-მესაქონლეები.

აი, სერებრიანკაც — მორაკრაკე ნაკადული. მთებსა, ტყეებსა და ბუჩქნარებში ჩაკარგული უცებ ამოყვინთავს გაუვალი ტევრიდან და, ლოდისაგან შუაზე გაყოფილი, ორ გამჭვირვალე ფრთად იჭრება ონიაში.

ამოსმა ნავი ბუჩქებში შეათრია და ტოტებით შენიღბა, ნაბრძოლ-ნაჯაფმა ჩაი ადუღა, ორცხობილას ნატეხები ჩახარშა შიგ, შეხვრიპა და თვალის მოსატყუებლად მიწვა. ცოტა ეძინა, ისიც მოუსვენრად. ოფლიანს გაეღვიძა და, პირქვე ჩაწაფებულმა, დიდხანს სვა და სვა სერებრიანკას ყინულივით ცივი წყალი.

მზე აცხუნებდა. ამოსმა შეშფოთებით მოყნოსა ჰაერი. ხრაკის სუნი ოდ-

ნავლა სცემდა. თავისი გრძელი ხელით სცადა ზურგის მოფხანა, მაგრამ აქაავებულ ადგილს ვერ მისწვდა, ხეს მიეყრდნო და იმას მიექექა. მერე ტომარა ჩააბარგა, ხელცულა წელში გაიჩარა, ხელმოჩრდილებით შეხედა მზეს და, ყოველი შემთხვევისათვის, ორი თითი გადაიქნ-გადმოიქნია მკერდთან.

— ხელიმც მომემართება. — და შეერია ორთქლის აბანოსავით ჩახუთულ ბუწკნარს, აბანოს ცოცხების სუნი რომ უდიოდა.

მდინარეს აქა-იქ ერტყმოდა გადაქუხებული ხანძრის შავი ქამარი. წვრილიანები გამობუგულიყო, ტანაყრილი მურყნები და შოთხვები ძაძამოსხმული მგლოვიარეებივით იდგნენ. თუმცაღა სიცოცხლის ნიშანი მაინც აჩნდა: წყლის პირას დარჩენილ ხის ძირებს ფოთლები გამოჩირთვოდა. არც შრიალი, არც ჩიტების ფრთხიალი, უბრალო წრიპინიც კი არსაიდან ისმოდა.

ჩამკვდარიყო ყველაფერი.

ისმოდა მხოლოდ სერებრიანკას უდარდელი ჩუხჩუხი და მარტოობით გაბეზრებული, სიცხისაგან მისავათებული კოლოების წუილი. სამაგიეროდ ქინქლა იყო ბევრი. ტყვიასავით ასკდებოდნენ ამოსის გაოფლილ კისერს.

— უჰ, დაიქცა თქვენი გამჩენი, თქვენ აღარაფერმა გაგწყვიტათ! — კბილებს აკრაჭუნებდა ამოსი, კისერზე ხელს იტყაპუნებდა და მუჭა-მუჭა ჰყრიდა ქინქლას წყალში.

კაცის ხმა შორს გადიოდა შემზარავი სიჩუმით მოცულ ტყეში, ამიტომ ცდილობდა რაც შეიძლება ცოტა და ჩუმად ელაპარაკა.

იტყოდა კაცი, შემოდგომაო, ისეთი შრიალით ჩამოდიოდა ფოთოლი. მდინარეში მდგარ მოცხარსაც კი ჩამოსჭკნობოდა წყლისმოყვარული ფოთლები, ნაყოფიც უდროოდ ჩაშავებოდა. ამოსი ჰკრეფდა წვრილ ნაყოფს, ენით ჭყლეტდა და, სულ სხვა რაღაცაზე დაფიქრებული, იწყევლებოდა:

— ამისთანა უბედურება იქნება! ტყის ნაყოფიც კი ჩაჩამიჩებულა! ასეთი ჭირის დღე არ მახსოვს...

გველი იყო ბევრი. ამოსი თავდაპირველად კრთებოდა, მერე კი არყის ხორკლიანი ჯოხი გამოჭრა და, გიყვარდეს, უხათქუნებდა ქვეწარმავლებს, თითქო ისინი ყოფილიყვნენ იმ უბედურების მიზეზი, რაც მის მხარეს თავს დაატყდა.

სამხრობა გადასული იყო, როცა ამოსმა მოულოდნელად ცირცელს წატეხილი ტოტი შეამჩნია. უნდა გასცილებოდა, რომ რაღაც იაზრა, შემობრუნდა და გულდაგულ დააკვირდა ხის ტოტს. მისი წვერო მდინარის სათავისაკენ იყო მიქცეული. კიდევ ორასიოდე საჟენი რომ გაიარა, კვლავ ცირცლის მოტეხილ ტოტს მოჰკრა თვალი.

— ა-ა, ტაკვა ორთითავ, შენი ნამოქმედარია! — ხმამაღლა, თითქოს ნაცნობს გადაეყარაო, ისე შესძახა სიჩუმითა და მარტოობით დატანჯულმა ამოსმა.

ცირცელი სუსტი ხეა, სიარულში ყველაზე ადვილად ტოტშესატეხი. ფაეფანიც ყოველთვის ცირცელს ტეხავდა გზის სანიშნოდ. ამოსს ეს კარგად ახსოვდა მათი საუბრებიდან — ამ საუბრებიდან ბევრი რამ გულისფიცარზე ეწერა. მერე რა რომ კაცის კვალი არსად ემჩნეოდა და ცირცელსაც თითქოს ქარისაგან თუ ნადირისაგან ჰქონდა ტოტი შეტეხილი, ამოსს მაინც ეჭვი არ ეპარებოდა: სამარილეს სულ მალე მიაღწევდა.

სამარილემდე მისვლა კი არც ისე იოლი აღმოჩნდა. შესართავთან თამაშ-

თამაშა და ბავშვივით ცელქია სერებრიანკა, თითქო გიტყუებს, ღაღანა ხმით გეძახის თავისი რიყიანი ნაპირებისა თუ მიმდებარე ველ-ტყიანებისა და ახოებისაკენ. მაგრამ ტაიგის სილრმეში მთებისაგან შევიწროებული -ნაკადული ლურჯი ძარღვივით ოდნავლა ფეთქავს, მთლად ჩახერგილია მწვანე სლიპინა ხავსით დაფარული კოხებითა და სიპებით. ვიწრო, კლდიანი ნაპირები ზოგან ისე წამოხურულიყო მდინარეზე, რომ ამოსს ხოხვით უხდებოდა გასვლა და ახლა უკვე გულწრფელად იწერდა პირჯვარს იმის შიშით, კლდემ არ გამსრისოსო სარეგვავში მომწყვდეული ვირთაგვასავით, ანდა გველმა არ დამგესლოსო ნაპრალიდან.

ტაკვას სანიშნოები ამოსს მეტად აღარ შეხვედრია. ჩანს, მონადირემ იცოდა ამ სახიფათო ადგილის გვერდის ასაქცევი. ხევის გაყოლებით მხოლოდ უნაყოფო კუნელი იდგა, მახათივით ეკლებით რომ უკაწრავდა სახეს, ქუჩქუჩი იორდასალამი და ტანაყრილი, მლოცავივით მშვიდი გვიმრები. ამოსს კარგად რომ სცოდნოდა ტაიგის ავან-ჩავანი, ამ ადგილას გველის შიში არ ექნებოდა. იქ, სადაც იორდასალამი იზრდება, გველი არ იცის.

„მაინც რა გულუბრყვილოა ხალხი! — ბრაზობდა ეკლებისაგან სახედასისხლიანებული ამოსი. — ნახეჩისაგან ხატს გამოუთლიან, შეაჩეჩებენ და ისიც ნამდვილ ღმერთად მიიღებს; სპილენძის ფირფიტაზე თვალებიან გოგრას გამოსახავენ და ეუბნებიან: „დედა — ღვთისმშობელიაო“ — სჯერა. დაინახავს გარეგნულად მხიარულ მდინარეს — სერებრიანკას დაუძახებს. აბა, სადაური სერებრიანკა ესაა, ჯანდაბას ამისი თავი! მაქცია და მატყუარა! აი რა სახელი უფრო შეეფერება!“

ბოლოს მდინარე ორად გაიყო და ამოსი დაფიქრებული შეჩერდა ხევგასაყართან. საით წასულიყო? ხეობა ტალღებივით იშლებოდა ორსავ მხარეს. ხევებს შუა დამრეცი ფერდობი ხანძარს გადარჩენოდა. ამოსი ქვაზე ჩამოჯდა, კარდალით წყალი გადაისხა თავზე, მერე ცხენივით ყუყუნ-ყუყუნით დალია, კარდალა ჩადო და ჩაფიქრდა. ფეხთ გაიხადა, ოფლიანი წვივსახვევები კარგად დაიხვია და წამოდგა.

ჰაერი თითქოს საკვამურში გადისო, ისე იწურებოდა ხეობაში. ტყეც სწორედ სასამარილე იყო, იზიბაშისას ჰგავდა! „აქ, აქ უნდა იყოს სამარილე!“ თავში უტრიალებდა ამოსს. თითზე დაინერწყვა, ნიავს შეუშვირა, და ზუსტად ისე გამოდგა, როგორც ფიქრობდა — ფერდობიდან უბერავდა.

უცებ სოჭის გლუვ, თითქოს ხელით გაპრიალებულ ტანზე ამოსმა ფისით ამოვსებული ნაკაწრი შენიშნა. სახელოთი ჩამოწმინდა, მაგრამ ფისი ჩამოიგლისა და მთლად დაფარა ნაკაწრი. ფრთხილად ამოასუფთავა ცულის ნილრით და ჩააცქერდა: „ოჰო, შემთხვევით გაკაწრული არ უნდა იყოს! — თავი გადაქნია კაცმა,—ორში ერთია: ან დათვს ულესია ბრჭყალები, ან ტაკვას დაუსვამს ნიშანი“.

ათიოდე ნაბიჯი გაიარა ამოსმა — კვლავ ნაკაწრია, მიწიდან დაახლოებით ისეთსავე სიმაღლეზე. ტაკვას სიმაღლე გაიანგარიშა — ზუსტად: ნიშანია! ამოსმა ფეხს აუჩქარა, მაგრამ რაც შეიძლება ფრთხილად კი აბიჯებდა, გრძნობდა, სულ ახლოს უნდა ყოფილიყო სამარილე.

და მართლაც მალე მიაგნო. სერებრიანკა გაიტოტა სადღაც ჩალეწილ, ჩაბურულ ტყეში. ხევის გასაყართან, ფერდობის გასწვრივ ცის პირი გამოჩნდა. იქ უნდა ყოფილიყო მზის საბრძანისი. იქვე ილანდებოდა წვეროჩამოტეხილი

ხე. მდინარის გასაყარიდან ცოტა მოშორებით, ისე რომ მდინარის ჩუხჩუხს არ ჩაეხშო ტყის ხმები, იყო მიწა დამარილებული. ნადირის თუ ნადირთა — კარგად ვერ გაარჩია ამოსმა — ორი-სამი დღის წინანდელი კვალიც ემჩნეოდა. ჩლიქებით ნათხარი და ენით ნალოკი ორმო ჯერ დიდი არ იყო.

ამოსი ახლოს არ მივიდა ორმოსთან, თვალებით საფარი მოიძია, მაგრამ მსგავსიც კი ვერსად რა შეამჩნია. მაშინ მაღლა შეათვალიერა ხეები იმ იმედით, ხეზე ხომ არაა მოწყობილი საფარი, მაგრამ ვერც მაღლა დაინახა ვერაფერი. კინაღამ ხმამაღლა შეიგინა, დროზე დაადგა ენას კბილი. თოფი ვეებერთელა ხმელ ვერხვზე მიაყუდა — ასეთებისაგან ციმბირში გეჯა-ნავებს აკეთებენ ხოლმე. ცდილობდა მოეანდევებინა, სად შეიძლებოდა ჰქონოდა საფარი ტაკვას. შუა მინდორში ხომ არ ჩაიყუნტებდა ის ტყის ქაჯი.

სამარილის სიახლოვეს ბევრ სიარულს ერიდებოდა ამოსი. ტყუილად დგომის დროც არ იყო. წყნარი ნაბიჯით ერთხელ გახედა ველს და კიდევ ერთხელ მოათვალიერა. მოპირდაპირე მხარეს, ხეებს შუა გახსნილი ადგილიდან ნიავი უბერავდა. თვალი მოტეხილ ხეს მიაშტერა და თავის ვარაუდში დარწმუნდა: ხის წვერო იმიტომ იყო მოჭრილი, რომ დაისის შუქს არ ჩამოჰფარებოდა.

„ყველა ნიშნის მიხედვით საფარი ამ ადგილას უნდა იყოს, სადაც მე ვდგავარ. მაგრამ რომ არ არის!“ — თანდათან უფრო დუღდებოდა ამოსი.

მან უკვე გადაწყვიტა ამ ბებერ, ხელშემოუწვდენ ვერხვთან ხის ქერქითა და ხავსით მიეფანიერებინა სახელდახელო საფარი. შემთხვევით თუ რაიმე გამოვიდოდა, თორემ ისე არაფრის იმედი აღარა ჰქონდა: მარალი და განსაკუთრებით ხბოიანი ფურმარალი ისეთი ფრთხილია, სამარილესთან სულ მცირე ცვლილება და იქაურობას აღარ გაეკარება.

მამა ფაეფანი ჰყვებოდა, ერთხელ საფარის ჭუჭრუტანის წინ ამოზრდილი ჭანგა ამოვგლიჯე და ნადირი სამარილეზე აღარ მოსულაო. თუ, მაგალითად, სამარილეზე ჭყიმა ამოიზარდა და გიშლის, მაინც ნუ ამოგლეჯ, მარალი შეამჩნევსო. წყლის გზაზე და საეჭვო ადგილებში თითოეული ბალახის ღერიც კი იცის მარალმა და ახსოვს. მცენარეს ძირთან უნდა ჩაუჭრა დანით, ნადირი თუ გვერდს გაჰკრავს და წააქცევს, ეს უკვე სხვა საქმეაო, ნადირი ამასაც დაიხსომებსო.

და მაინც ამოსი ასე ფიქრობდა: რაც იყოს, იყოს. ამსიშორეზე ტყუილად ხომ არ წამოეხეტა მართლა და მართლა. ხის ქერქებს დაუწყო ძებნა. ვერხვს ორმოსაგან მოფარებული მხრიდან ფართე, თითქოს ჭიებისაგან გახრული ქერქი ჰქონდა ამძვრალი. კაცმა ლონივრად მოზიდა, მაგრამ ქერქი მსუბუქად, უჩქამოდ ამოსძვრა. ამოსმა თავი ვერ შეიკავა, ხმამაღლა, აღფრთოვანებით შეიგინა:

— აი, შე გათახსირებულო! ტვინი ხარ რაღა ცარიელი!

ქერქი ვერხვის ღრუში შესაძრომ ხვრელს ფარავდა. ამოსმა თავისი მწვეტი თავი შეყო შიგ. აი, სად ყოფილა საფარი! წინა მხარეს პატარა ჭუჭრუტანა ჩანდა. ეტყობა, ჭუჭურუტანა სულ პატარა იყო, ტაკვამ კი დანის წვერით გააფართოვა და ნათალი იქვე დატოვა. იტყოდა კაცი, ლაფანჭამიას ან კოდალას უმუშავნიაო. ფულუროში ხავსი იყო დაგებული, ხავსის ქვეშ კუნძი იყო. სათოფური ოდნავ მაღლა იყო, ალბათ ტაკვა მუხლებით დგებოდა კუნძზე, რათა კარგად დაენახა, თუ რა ხდებოდა სამარილესთან. სოროსავით საფარში

ოთხზე დამდგარი უნდა შებობღებულიყავი. ამოსი ძლივძლივობით შეეტია. გაჩუჩუნებაც აღარ შეიძლებოდა. ის უფრო ძვალმსხვილი იყო, ვიდრე სამარილის პატრონი.

ამოსმა დიდი გაჭირვებით ჩამოაფარა ქერქი ფუღუროს შესაძრომს. კუნძიც გარეთ გამოაგორა, უიმისოდაც ვიწროდ იყო. ფუღურო თითქოს მხრებში უჭერდა ამოსს, მაგრამ გადაწყვიტა მოეთმინა და თანდათან მომჯდარიყო ამ სულისშემხუთავ სივიწროვეში. თოფი სათოფურში გაყო და თვალი მოავლო ველს, ტყეს, ცას. ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ამოსმა გარეთ გამოძრომა ვეღარ გაბედა. სჯობდა ერთი-ორი საათი მეტხანს მჯდარიყო ფუღუროში, ვიდრე ნადირი დაეფრთხო.

ბედს რომ გაემართლებინა, ამოსმა ყოველი შემთხვევისათვის წარმოთქვა „დასაწყისი“— ლოცვათა ლოცვა და მერე მიაყოლა, რა ლოცვებიც იცოდა. არა დააკლდება, თუ ზედმეტად გადაიწერს პირჯვარს, თუ ზედმეტ ლოცვას იტყვის, ვინ იცის, უშველოს კიდეც.

„ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვინდევ უსჯულოებანი ჩვენი, წმიდაო, მოიხილე და განკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის“...

ტაიგაში ნადირობისას მარტოხელა ურწმუნოსაც კი რა არ მოუვა თავში, რას არ იფიქრებს, ამიტომაც ცრუმორწმუნე ხდება, სჯერა არა მარტო ლოცვებისა, ცუდი და კარგი ნიშნებისაც. ამოსი კი ბავშვობიდანვე იყო მიჩვეული ყოველგვარ შელოცვებს და შეეცადა ლოცვებს გარდა ისინიც გაეხსენებინა;

— როგორც ხალხ-ჯამაათი მიელტვის ჯვარპატიოსანს, როგორადაც მზე ესწრაფვის დედამიწას უკანდაუხევლადა, უკანმოუხედავადა, უყოყმანოდა, ისემც მოხეტიალე ნადირი მოდის-მორბის ჩემი... ამ სამარილისაკენ, — გამოასწორა ამოსმა,—უკანდაუხევლადა, უკანმოუხედავადა, უყოყმანოდა. ამინ!

ამასობაში მზე შორეული ფერდობების მიღმა ჩაეშვა, მაგრამ სიცხის ბური კიდევ დიდხანს ლივლივებდა თვალსაწიერზე. ცა იბრაწებოდა, ილანძებოდა და ნაპირები უშავდებოდა, თითქო ხენჯით იფარებაო. ვერხვის უკანა მხრიდან, სერებრიანკას ხეობიდან მოძვრებოდა ჭლექივით სულისშემხუთავი ღამე. თითქოს მთელი ცა დაფარა ლეგა ღრუბლებმა, მაგრამ მოტეხილი ხის მიღმა, შორს, ძალიან შორს ჯერ კიდევ არ გაგრილებულიყო გავარვარებული ლავაში. მისგან მოეონავდა სამარილისაკენ მეწამული ნაკადი და წუთიდან წუთამდე მოზვრის სისხლივით კუთდებოდა. „ეს რა უბედურება ყოფილა ტაიგაში მარტოდ ყოფნა, — მოიბღუნძა ამოსი. ახლაღა იგრძნო დაღლა, ხელფეხი უბეჟუოდა. — ცოტას ჩავთვლემ, ღამე უფრო ფხიზლად ვიქნები,“ — ჩაილაპარაკა თავისთვის და თავი მკერდზე ჩამოუვარდა. სულ ეს იყო, რისი უფლებაც შეიძლებოდა თავისი თავისთვის მიეცა ხეში ჩაჭედილს.

ხალათქვეშ ჭიანჭველები აუფუთფუთდნენ. ამოსი შეიშმუშნა, მაგრამ თვალი არ გაუხელია. ვერხვის ღრუში ღვინის სუნი იდგა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა ამოსი, გონება გაუბინდა, ლპებოდა ხის გული და ფუტურო მსუბუქი შრიალით ემცქვრეოდა თავზე.

ამ ძლივს გასაგონ შრიალში ჩაეძინა ამოსს.

ძილში ტაკვა ნახა. იგი ისევ და ისევ ცდილობდა სიმღერის წამოწყებას: „სატუსაღო, სატუსაღო, რანაირი სახელია!“... მაგრამ არაფერი გამოუდიოდა

მონადირეს, ამაოდ აფჩენდა უკბილო პირს. ამოსი ელოდა, დაძაბული ელოდა სიმღერას, მაგრამ სიმღერის ნაცვლად ღაჭუნი გაისმა და გრძელი, ეშვებივით ამოკაუჭებული თეთრი კბილები დაინახა ამოსმა. მერე ეს კბილები ამოძრავდნენ, პირიდან თეთრი გველი გამოძვრა და ამოსს აეჯაგრა. გველს სიასამურის თავი ჰქონდა. საიდანღაც მამა გაჩნდა, გველს კუდში სტაცა ხელი და იმითი დაუწყო გაშოლტვა ყინტორა ბიჭს. ამოსი მიხვდა: ეს მას სცემდნენ, დაყვირება უნდოდა და ვერა ყვიროდა, პირი შეეკრა, რაღაც ბლანტეთი ამოევსო.

ძილში შეხტა ამოსი, თვალები გააჭყიტა და დიდხანს გონს ვერ მოეგო. მხოლოდ მაშინღა მოვიდა აზრზე, როცა სიზმრისაგან დაზაფრულმა გულმა ფრიალი შეწყვიტა და ჩვეულებრივ ამუშავდა.

„ღმერთო, შემინდე!“ — წყნარად წაიჩურჩულა ამოსმა და ყური მიუგდო. ისევ ისე ხმელი ფიფქებივით ეყრებოდა კისერში ფუტუროს ნაფშვენი. ცხვირში ისე ძალუმად შეუღიტინა, რომ ამოსმა ცხვირზე იტაცა ხელი და ძლივს შეიკავა თავი ცემინებისაგან. ერჩივნა უწინამც სული დაელია, ვიდრე რაიმე ხმა გამოეცა: მან ხომ არ იცოდა, რამდენ ხანს ეძინა. „იქნება ნადირი უკვე სამარილეზეც არის?“ — შიშნეულად გაიფიქრა მან და გრძელი კისერი წამოყვლარწა. ხმელი ფიჩხივით აუტკაცუნდა ხერხემალი, სახსრები. „ოღონდაც ხელი არ ამიკანკალდეს და თვალზე ბინდი არ გადამეფაროს სისუსტისაგან, სხვა ყველაფერს ავიტან“, — მტკიცედ გადაწყვიტა ამოსმა.

როგორც მაშინ, იმ იზიბაშის ღამეს, ცაზე ახლაც ნალევი მთვარე ამოცურდა, მაგრამ შიგადაშიგ რაღაცა ჭავლი გადადიოდა ზედ. ამოსი უცებ ვერც მიხვდა, რომ ეს შორეული ხანძრის კვამლი იყო. ჰაერი მოყნოსა და ცხვირში კვამლის მწარე სუნი ეცა. „ეს კარგია, ნადირს ყნოსვას დაუკარგავს. თუმცა ფური იქნებ უკვე გაძღა მარილით და წავიდა კიდეც? — და უცებ გაუელვა, — ანდა იქნებ აღარც დადის აქა?“

ამოსს გულს უწიწკნიდა ეჭვები, რაც აეკვიატება ხოლმე იმ მონადირეს, ვისაც გამოცდილი თვალი არა აქვს, თორემ წეღანვე შეამჩნევდა კვალზე, დადიოდა თუ არა ნადირი სამარილეზე.

წინ რაღაცა გაილანდა. ამოსი სათოფურს მიაწყდა, ცხვირი ფუღუროს კედელს მიარტყა, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. აკანკალებული თითებით ჩახმახს ჩააფრინდა. თუმცაღა რამდენი არ დაატანა თვალს ძალა, მაინც ვერაფერი შეამჩნია. ის იყო დამშვიდება დაიწყო, ალბათ მომელანდაო, რომ მის წინ რაღაცა შეხტა ბურთივით...

ამოსი გაშეშდა.

ამ დროს ბურუსი წუთით გადაეწმინდა მთვარეს და მან ორმოსთან კურდღელი დაინახა. ყურებდაცქვეტილი და წინათათებაწეული სმენად იყო ქცეული. იდგა, იდგა ასე ერთხანს და მერე თავდაყირა ჩაეშვა ორმოში, მოლოკა მარილიანი მიწა და კვლავ მაღლა ამოხტა. „ჭირი შენ! — ჩაცინებით ჩამოიდუჟა მკერდზე ამოსმა, — ესეც რომ თავის პაწაწა სულს უფრთხილდება, გაფუჭებული! ეტყობა, ხანძარმა გადმოაგდო აქეთ“. მაგრამ კურდღელი რატომღაც მალიმალ ჭრებოდა და ჩნდებოდა. კარგა გვიან მიხვდა ამოსი: კურდღლები ორნი იყვნენ და რიგრიგობით დარაჯობდნენ ერთმანეთს.

„არტელურად ჭამენ. ეს კარგია. ტაკვას უთქვამს: როცა სამარილეზე კურდღელია, მარალი თამამად მოდის, ნაკლებად ფრთხილობსო“.

დიდხანს მიშტერებოდა ადამიანს თვალი ყურცქვიტებს. ისინი კი ისევ

იყვნენ მიძალებულნი სალოკს, რომ სულაც ვერ გრძნობდნენ ადამიანის მზერას, რომელსაც ყოველგვარი მხეცი თავზარდაცემული გაურბის. ამოსი ისე გაერთო მათი ცქერით, რომ ვერც კი შეამჩნია, როდის გამოხტა ბუჩქებიდან კიდევ ერთი პატარა ნადირი და წყნარად მიირბინა ორმოსთან. მასაც გრძელი ყურები ჰქონდა, გველივით მოქნილი კისერი და ობობასავით წვრილი ფეხები. ვიწრო ცხვირ-პირზე შუშის ნამსხვრევებივით მოუჩანდა მთვარისაგან გაბრჭყვინებული თვალები. „ეს ხომ ნუკრია!“ — მოულოდნელად აღმოხდა ამოსს და თვალები დახუჭა, გაახსენდა, ნადირი ადამიანის მზერას მყისვე გრძნობსო. „თანაც მე თარსი თვალი მაქვს“.

გულმა მაინც ვერ მოუთმინა ამოსს, წამწამები ოდნავ გახსნა და ფურს დაუწყო ძებნა. ის ცოტა მოშორებით იდგა, თავაწეული და დაცეცებული. მერე რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა წინ, ტუჩებით ოდნავ გაიფაჩუნა, ეტყობოდა, შვილს ნება დართო ეგემნა მარილიანი მიწა — ნადირთა პირის ჩასაკოკლოზინებელი.

მაგრამ პატარა ნებართვას არც კი დალოდებია. ის უკვე ჩაჩოქილიყო და პირს აწლაპუნებდა. გრძელ ყურებს მურყნის ფოთლებივით ატოკებდა. დედა ორმოს მიუახლოვდა, თავი მრისხანედ დააქნია და კურდღლები განზე გაყარა. მაგრამ მარილი იზიდავდა, ვაჰ, რა ძალიან იზიდავდა ყურცქვიტებს, შიშსაც ავიწყებდათ და ძლიერისადმი პატივისცემასაც. ისინი თავხედურად მიძვრებოდნენ სამარილისაკენ. მაშინ ფურმარალი დაექროლა მათ, ფეხები შემართა და მზად იყო ჩლიქებით დაეფატრა ყველა, ვინც გაბედავდა მისი პატარას დაჩაგვრას. კურდღლები მარდად დაუსხლტნენ, ბუჩქებში შეცვივდნენ და იქ გაიტრუნენ.

„ღმერთო, შენ შემეწიე!“ — ამოსმა კვლავ უხმოდ ააცმაცუნა ტუჩები, ლოცვათა ლოცვა გაიმეორა და თან გულდაგულ დაუმიზნა მთვარის შუქით განათებულ ფურს. კურდღლებმა მაინც იხელთეს დრო და ბუჩქს გადმოვლებით ჩაეშვნენ ორმოში. ნუკრმა დაიფრუტუნა და განზე ისკუპა. დედაც მისკენ გადახტა და წამით ჩამოსცილდა სამიზნეს.

იმ წუთს მოაფიქრდა ამოსს: „შვილს არ მიატოვებს, ეს სულელი კი შეიძლება გაშპეს. ორივე უნდა მივაწვინო. მორჩა!“

სამიზნე არ ჩანდა. მხოლოდ სუსტი ნაპერწკალი გადაადგილდა და ნუკრის წვრილი ტანის ქვეშ გაიყინა.

გაშეშებულმა თითებმა გამოჰკრა სასხლეტს.

ალმა ჩააქრო ნაპერწკალი.

ღამე გაირღვა.

მთებსა და ქედებს შეაწყდა სულის შემხუთავი სიჩუმის შემძვრელი ქუხილი და თუკი სადმე რაიმე სულიერი იყო ტყეში დარჩენილი, ყველა სიბნელეს მიაწყდა ბუჩქების ლაწანმტვრევითა და ხეებზე ჯგლართაჯგლურთით.

ნუკრს მოეკვეთა კოლოსავით წვრილი ფეხები და დრუნჩი ჩარგო იმ ძალზე გემრიელ მიწაში, რომლის ლოკვითაც ვერ გაძღები, რაც გინდა ბევრი ლოკო. ნუკრმა კიდევ ერთხელ სცადა მშობლიური ტყისკენ გაცოცება, პაწაწა ჩლიქებით მოფხოჭა მიწა, კიდევ ერთხელ ამოიბღავლა სუსტი ხმით და დადუმდა.

— აჰა, ერთი უკვე მზად არის, — შვებით ამოისუნთქა ამოსმა, გამხმარი ტუჩები მოილოკა და წაიდუდუნა: — ტყესამც ნურა დააკლდება, ტყესამც

ნურა მააკლდება, ეგრეც მე ნუ დამაკლდება, ეგრეც მე ნუ მამაკლდება, ამინ!

თავზარდაცემული ფურმარალი ისევ მირბოდა, ტოტებს ლაწალუწი გაუდიოდა, მაგრამ აი, ნაბიჯს უკლო, ტოტების ლაწუნი და ჩხაკუნი შეწყდა, შეჩერდა, გაირინდა, დაძაბულმა მიაყურა ღამეს. ოდნავ გააფაჩუნა ტუჩები, შვილს მოუხმო.

პასუხი არავინ გასცა.

მან კიდევ დაიძახა, უფრო ხმამაღლა, შეშფოთებით.

ელოდა ერთ წუთს, ორს, მოუთმენლად ინაცვლებდა ფეხს. და უცებ ისეთმა ველურმა ბღავილმა შესძრა ტყე, რომ ადამიანსაც კი გააჟრჟოლა და პირჯვარი გადააწერინა.

შრიალი მოახლოვდა.

დედა ჯერ კიდევ არ კარგავდა შვილის პოვნის იმედს, სამარილეს უტრიალებდა და ტუჩების ფაჩუნით ეძახდა ნუკრს. ყოველი მხრიდან მოისმოდა ხან წყნარი, მსუბუქი, ხანაც დაძაბული და გლიჯინა ნაბიჯების ხმა. იტყოდა კაცი, სამარილის ირგვლივ ნადირთა ჯოგი დაშლიგინობსო.

შიშისა და მრისხანებისაგან ნესტოები უცახცახებდა ფურმარალს, ყველა კუნთი დაჭიმული ჰქონდა. ჩერდებოდა, იცქირებოდა, ყურს უგდებდა — იქნებ საიდანმე გამომხტარიყო მისი ფეხმარდი შვილი, კუნტრუშით შემოგებებოდა. ასავსავებდა ენას, შემზადებულს შვილის გადასალოკად ყურის წვერებიდან ყვითელ ჩლიქებამდე.

სიჩუმე იდგა.

წელან დაიქუხა, ახლა კი სიჩუმე იყო.

წყნარად ამოისუნთქა ტყემ, თითქოს სულისშემხუთავი ძილისაგან გამოიღვიძაო, დააბნია სუნი, მხოლოდ ფურმარალისათვის ამოსაცნობი, მათ შორის სისხლის შემზარავი სუნი. ფურმა კვლავ გულის გამგმირავად შეჰყვირა და სამარილეს შორიახლოს ჩაუქროლა.

— ე-ე, შენი თავის გახეთქვამ!— ბრაზიანად წაიბუტბუტა რიჟრაჟს ჩაშტერებულმა კაცმა.

მთვარე ღრუბელს ამოეფარა.

ცა ღრუბელმა თუ კვამლმა დააბნელა.

„ნეტა თუ გაავდრდება?“ — ამოსი შეეცადა ფიქრი სხვა რამეზე გადაეტანა, მაგრამ სმენა მაინც უკიდურესად ჰქონდა დაძაბული.

ჯდომისაგან შეღონდა.

ოდნავ განძრევა მაინც რომ შესძლებოდა.

სახსრები, კისერი, ყველაფერი გაუშეშდა უმოძრაობისაგან, ფურმარალი კი არ მოდიოდა, რეტიანივით აქეთ-იქით აწყდებოდა. „ვაითუ მიატოვოს. აი, მაშინ კი გაგემარჯვება, ჩოფურა მტარვალო!“ — თავის თავს ლანძღავდა ამოსი.

აგრილდა.

ფუღუროს ხვრელში ნოტიომ შემოუბერა.

„გაიავდრებს, ნამდვილად გაიავდრებს, — უხაროდა ამოსს, — კარგი იყო, ცოტა ადრე გაეავდრა. აბა, აბა, რაღას ცეკვავ, წყეულო? მოდი, დროზე მოდი-მეთქი!“

ლოდინი მობეზრდა.

ახლაც ისე, როგორც ბალღობაში პირველი ნადირობის დროს, მოეძალა სურვილი ტყვიის მიჭედებისა ისე, რომ ეშმაკსაც კი შიშით სული გასძრომოდა. მაგრამ ამოსი ის ლაწირაკი აღარ იყო, შუაღამემდე რომ არ ჰყოფნიდა მოთმინება. უკანასკნელი ძალდატანებით აიძულებდა თავს უმოძრაოდ მჯდარიყო — გაუძლებს, აუცილებლად გაუძლებს. აი, მაშინ კი გამოღადრის ყელს ამ დოლა პირუტყვს, გამოღადრის.

წვერმოტეხილი გოლიათი ხის მიღმა — კედარი უნდა ყოფილიყო — ცის პირი შევარდისფერდა, ღრუბლები დააჩნდა.

ამოსი ღიმილით მიაჩერდა მათ.

დიდი ხანია ცაზე ღრუბლის ნასახი აღარ ენახა. ისინი საგულდაგულოდ დაჩეჩილი მატყლის ფთილებივით ამოდიოდნენ მთებს იქიდან და ვარსკვლავებს აქრობდნენ, შევარდისფერებულ განთიადთან შეხებისას ნაპირებზე ცეცხლი ედებოდათ და უკვამლოდ დნებოდნენ.

და აი, როცა ნახევარი ცა უკვე განათებული იყო, როცა ტყიდან აჩქარებით დაძრული სიბნელე ერთი-ერთმანეთის მიყოლებით ათავისუფლებდა ხეებს, ბუჩქებს, კუნძებს, წაქცეულ ხეებს, დედა მარალი ამაყად თავაწეული გამოვიდა ტყიდან და ყოველგვარი მალვა-პარვის გარეშე წამოვიდა ველზე გართხმული შვილისაკენ.

ამოსმა არ აცალა ახლოს მისვლა, კბილდაკრეჭილმა დაახალა ტყვია მომჩვარულ-მოთახთახე მკერდში და როცა ნადირი ტყისკენ გახტა, მეორეც მიაყოლა — ეს უკვე გაბოროტებისაგან.

ტყვიასთან ერთად სიბრაზეც გაფრინდა.

მონადირე სიხარულმა ააკანკალა, ააცახცახა.

— მოვიდა, მოვიდა საყვარელი! — ბუტბუტებდა და სიამოვნებით ისმენდა ამდენი დაძაბულობისაგან ჩახრინწულ თავის ხმას. — ადამიანის მოტყუება გინდოდა? არა, ადამიანს ვერ...

ამოსი ძლივძლივობით გამოძვრა ფუღუროდან კვნესა-კვნესით. ფეხებში უთვალავი ნემსი ჩხვლეტდა, თითქოს უძიროები ნემსებით ამოუტენიათო. ფეხები გაიქნია, თავი მიაბრუნ-მოაბრუნა, ხელები აიქნ-დაიქნია, სისხლი აამოძრავა, — ძლივს დაძრა.

— ჰმ, ეს რა მიქნა! ვინ მოიგონა ასეთი ნადირობა?! ფუი! მხოლოდ შიმშილი თუ მოგათმენინებს ამისთანა რამეს.

ველზე გამოვიდა, მთელი მკერდით ჩაისუნთქა წიწვის სურნელით გაჟღენთილი ჰაერი, ფეხი წაჰკრა თეთრმუცელა ნუკრს, ქუდი თავმომწონედ გადმოიწია შუბლზე და კმაყოფილი ღიმილით მოიქექა კეფა:

— ახლა, ჭირიმე, გამოგშიგნა-ავთ. ჯერ ვნახოთ, ის სადღაა, და მერე ჩამოგატყავებთ...

რანაირი სასიკვდილო ჭრილობაც არ უნდა მიაყენო მარალს, რაღაცა უცნაური ძალა და შესაძლოა ძალა კი არა, ბოლო ამოსუნთქვა, ბოლო გაბრძოლებაზე აასროლინებს თავის მუდამ დაჭიმულ სხეულს და ერთ ნახტომს კიდევ გააკეთებინებს. ხანდახან ორას-სამას საჟენზეც ჰყოფნის ძალა, მაგრამ ნათოფარ ადგილზე კი არასოდეს დაეცემა.

ამოსმა მონახა მარალის კვალი, რომელსაც სისხლი შტოშის კვლებივით მიჰყვებოდა, და სიამოვნებისაგან ხელები მოიფშვნიტა:

— შორს ვერ წამიხვალ! გიპოვი!

თამბაქო გააბოლა და ხველა აუვარდა:

— ესეც... ნ-ნ... კხა!.. შენი ნადირობა! ამისი დედაც! ეხა-კხა! სული ამომძვრა... კხა-კხა... გავიგუდე...

როგორც იქნა ამოახველა, სული მოითქვა, სხაპასხუპით გადმოაფურთხა ლოცვათა ლოცვის პირველი სიტყვები და პაწაწკინტელა მარალის გატყავებას შეუდგა. პატარაობიდანვე საქონლის დაკვლასა და დამუშავებას მიჩვეულმა, მარიფათიანად და მარჯვედ ჩამოუსერა მუცელი. ცხვირის ნესტოები ხარბად აუთრთოლდა.

— ვაჰ, რა ხორცია, რა ხორცი! რა სუნი აქვს! მსუქანიც ყოფილა ეს ჭინკა! მსუ-ქანი! მზრუნველი დედიკო ჰყოლია! გადაბუგულ ტყეში საჭმლის შოვნა მოუხერხებია, შვილი გაუსუქებია, თვითონ კი ალბათ გამხდარია. ყოველთვის ასეა: თუ დედა მოსუქებულია, შვილი მჭლეა, ხოლო თუ შვილია მსუქნად — დედა ძვლებს არახუნებს. აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ფაეფანის ძევ, ფულიც გექნება და სამწვადეც!... ბედმა გაგიმართლა! შენ კი, ტაკვა, ნუკრს უმწყემსე... ხი-ხი, შე აჯამო შენა! შენი სიმარჯვით სხვა ოქროებში ჩაჯდებოდა! ღმერთს ჭკუა მოუცია, მოხმარების შნო კი არა!

იცოდა ამოსმა, რა გაიძვერული, ბინძური საქმე ჩაიდინა და ახლა სალანძღავი სიტყვებით ცდილობდა ამოექოლა გულში აღძრული სინდისის ქენჯნა, ცდილობდა თავი გულად კაცად წარმოედგინა, თავი დაერწმუნებინა იმაში, რომ სწორედ ის არის მართალი და არა ვიღაცა სხვა. მიუფურთხებია ყველასთვისა და ყველაფრისათვის! ფეხებზეც არა ჰკიდია!

მან ნუკრის ფაშვ-ნაწლავები პირდაპირ სამარილეზე მოისროლა, დააჭრა ფეხები, თავი, ისინიც იქვე დაყარა. დააბინძურა სამარილე, ის ხომ აქ მეტად აღარ მოვიდოდა, დათვი მოვა, შესჭამს. სულაც არ ენაღვლება ამოსს, თუკი იქ, სადაც დათვი მოისუნსულებს, მარალი წლისა თუ ორი წლის მანძილზე აღარ გაიჭაჭანებს. ამოსს ახლა სხვა აღარაფრის ჯავრი ჰქონდა, გარდა იმისა, როგორმე ნავამდე მიიტანოს ხორცი, მერე კი შეუმჩნევლად, იქნებ ღამე როგორმე შევიდეს სოფელში.

იქ კი!...

იქ — „ამოს ბატონო, შემეწიე! ამოს ბატონო, მიხსენი! ამოს ბატონო, ფასზე არ ვილაპარაკებთ!“

და ამოს ბატონი იხსნის მათ გასაჭირისგან, ზედმეტსაც არ გამოართმევს, მყვლეფავი კი არ არის. დადგება დრო, ახლა თანასოფლელები გაუმართავენ ხელს, ხვნაში შეეშველებიან, წისქვილზე დააფქვევინებენ.

ამოსს ჩაფიქრებული აქვს თავისი წისქვილი გამართოს. აი, მაშინ გიყვარდეს, აივსება პურით! ტაკვა კი დაე ნუკრს ელოლიავოს! ამქვეყნადაც უნიფხოდ ჩამოლია სიცოცხლე და იმქვეყნადაც უნიფხოდ გამოეცხადება უმწიკვლო მხევალთ...

კარდალა ამოდუღდა.

ყველაზე ნაზი ხორცი ჩაყარა ამოსმა — მკერდი ქორფა კანკატელათი. მოუთმენლად სჩრიდა შიგ ჩხირს, სიმსუნაგისაგან ნერწყვსა ყლაპავდა. ცდუნებას ვეღარ გაუძლო, ხელი ჩაიქნია და თავის თავს ჩააგონა:

— რაკი ცხელია — უმიც აღარ იქნება! — და ხალათის ბოლოთი აჩქარებით დასწვდა ქვაბის ყურს.

იქვე, ცეცხლის პირას, ხმამაღალი ჭყლამუნითა და ღეჭვით იტენიდა ბლო-

მად მარილმოყრილი ხორცის ნაჭრებს, პურს არ ატანდა. ხორცი რომ სწრაფად შეგრილებულიყო, გვალვისაგან ჩამხმარ ბალახზე ამოყარა. სიცხით დამსკდარ ტუჩებზე და ჭუჭყისაგან ჩაშავებულ, ასევე დამსკდარ თითებზე ქონი ჩამოსდიოდა, დუდღუნით ილოკავდა:

— დიდებულია! იფ, რა დიდებულია! ხორცი კია მოუხარშავი, მაგრამ არა ჟჭირს რა, მუცელში მოიხარშება... ცხონებაა, ღმერთმანი!

ტაკვა გაახსენდა და გესლიანად ჩაიხითხითა: „დიდი მადლობა ნანადირევისათვის“. ბოლო ჩიჩქამდე შესანსლა ხორცი, მერე წვენი მოყლუპა ქვაბიდან, ხმამაღლა დაასლოკინა, პირჯვარი გადაიწერა და ჩანავლული ცეცხლის პირას გაიშოტა.

მაშინვე რული მოერია, მაგრამ გაქონილ სახეზე ბუზი ედებოდა.

— უჰ, თქვენი! — შეუკურთხა ამოსმა, ბუზები ბოიგერია და უკმაყოფილოდ წამოიზლაზნა ცოტაოდენი წანებივრების შემდეგ. სახსრების ტკაცუნით ჩაყარა ხორცის ნაჭრები ტომარაში, სიმაძღრის მოთენთილობა დასძლია და ფურმარალის საძებრად გასწია.

ორას-სამასი საჟენი გაიარა ამოსმა — ფურმარალი არსად იყო. უკმაყოფილოდ შეასრუტუნა ცხვირი და კვალს მიჰყვა, გათელილი ბალახი, ამოგლეჯილი ხავსი და წითელი წვეთები მთის ფერდობს მიუყვებოდა.

— მთაზე ვერ ახვალ! უკვე სულს ღაფავ! — გაუხარდა ამოსს, როცა ბალახფიჭვას ხეშეშ, ზამთრის ყინვებისაგან დაშაშრულ ტანზე მარალის ბეწვი შენიშნა. ამ ადგილას, ჩანს, შექანდა ფურმარალი და ხეს მიეხეთქა.

მიუხედავად ამისა, ერთი გორა გადავლო ამოსმა, მეორე, კვალი კი სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა ტაიგაში. სისხლის დენამაც უკლო, იშვიათადღა მოჩანდა წვეთები ფოთლებზე, ბალახზე და უბრალო ყვითელ ყვავილზე, რომელსაც მრისხანე სახელი „ნადირთმჭლეტი“ ჰქვია. აგერ ტყის წყარო. მის სიახლოვეს ფურმარალი წოლილა, დაუსვენია.

— წყალი დაულევია, წყალი, ამ გათახსირებულს! — ცოფი მოერია ამოსს. გაგონილი ჰქონდა ძველი მონადირეებისაგან, თუ რა ძალას მატებს წყალი დაჭრილ ნადირს, რომელსაც სხეულში საკირის ცეცხლი უნთია.

კიდევ ერთი უნაგირა გადავლო ამოსმა, ყური მიუგდო — ჩამიჩუმიც კი არაფრისა ისმოდა. ტაიგა თითქოს გარინდულიყო.

ამოსი დაიღალა, ქანცი გამოელია.

გაჭირვებით მოაგროვა შეშა, ცეცხლი დაანთო, ხორცი შემოდგა ქვაბით, მაგრამ მოხარშვას ველარ დაელოდა — ჩაეძინა.

დიდხანს ეძინა.

ჟზე უკვე გადახრილი იყო, როცა გაეღვიძა. ხარბად დააცხრა გადახარშულ ხორცს. წყალი ჩაშრობოდა და მიმწვარი ხორცი პირში ხრამუნობდა.

იმ დღეს ვერ დაეწია ამოსი ფურმარალს.

უიმისოდაც აფორიაქებული გული თითქო კუნელის ეკალმა გაუკაწრაო.

— ნეტავ რა ეშმაკს მიჰყავხარ? სულ ერთია, მაინც ვერსად წამიხვალ! — თითქოს შინ თავის ბალღებს ებუზღუნებაო, ისეთი ხმით ბუტბუტებდა ამოსი. მაგრამ ფანდი არ გამოუვიდა, შიში მაინც შეეპარა გულში, კლანჭებით ჩააფრინდა, თუმცა ამოსს ჯერ არ უნდოდა ამისი დაჯერება.

ღამე არ სძინებია. კუჭი აეშალა და რამდენჯერმე მოუხდა ბუჩქებში შე-

ძუნძულება. „მშიერ კუჭზე ნახევრად უმ ხორცს მიაძეხი, შე უტვინო, შენა!“ — დაგვიანებით ლანძღავდა თავის თავს ამოსი.

დილა საავდრო გათენდა.

ამინდი დასტურ იცვლებოდა. ცა მთლად ღრუბლებით იყო დაფარული. წვიმა ეღირებოდა, მაგრამ თითქო ჯერ კიდევ ვერ ბედავდა ტყის ხანძარზე ჩამოღვრას, სიცხისაგან გათანგულ მიწის პკურებას.

ამოსი აჩქარდა.

იცოდა კაცმა: წვიმა მოვა — ნადირს ველარ იპოვის, ფურმარალის კვალს გადარეცხავს. ამოსი კი ტაკვა არ არის, მისთანა ყნოსვა არა აქვს, რომ ტაიგაში ყველაფერს მიაგნოს, რაც კი სჭირდება. ტაიგა მისთვის ისევეა, როგორც ამოსისათვის საკუთარი სახლი, სადაც ყველაფერი ზეპირად იცის, აბანოს კედელში ჩაჭედებული ჟანგიანი ლურსმანიც კი, ზედ აღვირს რომ ჰკიდებს.

უცებ გამოჩნდა ამოზურგული, გადამწვარი ქედი. მიწა, აყალყული თუ წაქცეული ხეები ხავსით იყო დაფარული, ჟანგიან ლოდებსაც კი ჭაჭყატა მწვანე ხავსი მოდებოდა. ტყე სანახევროდ გამხმარიყო. ხავსზე უხვად ეფინა წითელი მოცვი და მრგვალდინგა შავი მოცვიც ოდნავ, ოდნავ განაცრებულიყო. ტყე ჩუმად იდგა, ხავსი შთანთქავდა ყოველგვარ ჩქამს, ახშობდა ნაბიჯების ხმას.

ფურმარალს ქედზე საწოლი გამოექექა.

ამოსმა შვებით ამოისუნთქა.

ახლა კი მორჩა, ახლა კი მალე წაეწევა ფურს! ჰოი, რა დიდი სიამოვნებით მიაჭედებს კიდევ ერთ ტყვიას! ამოსი ნაბიჯის შეუნელებლივ დაიხარა, მოფხოჭნა წითელი მოცვი და პირში ჩაიყარა უმწიფარი ნაყოფი. „რაღაც მთელი მუცელი მეწვის, იქნება ნაყოფი მომიხდეს?“

ქედს გადაღმა, მუქმწვანე ტყეში ნაკადული იკლაკნებოდა, იხლართებოდა, მთვრალივით აქეთ-იქით აწყდებოდა.

ამოსმა მიმოიხედა.

მდინარე ნაცნობი ეჩვენა.

მუხლის თავზე დაირტყა ხელი:

— ეს ხომ სერებრიანკაა! აი, წყეული ფური! იბოდიალა, იბოდიალა და ისევ სამარილესთან მოვიდა. აზრად კი ალბათ არც მოუვა, რომ მისი ძუძუთა კვალდაკვალ მოჰყვება ჩანთაში...

ფურმარალი ჩაღმა დაუყვა მდინარეს.

წყალს ხშირ-ხშირად სვამდა, ამიტომ მდინარეს აღარ სცილდებოდა.

ამოსს რამდენჯერმე მოეჩვენა, თითქოს წვრილიანებში მარალი მიძვრებოდა, თითქოს ესმოდა მისი ხროტინი და ქშუნვა. თოფს მოიმარჯვებდა, გაქანდებოდა, იქ კი მხოლოდ ახალთახალი კვალი იყო.

ბოლოს, მდინარის თეთრად მოხრეშილ ნაპირზე წაადგა თავს ფურმარალს.

წყლის სმაში, მუხლებზე ჩაჩოქილს დაელია სული. თვალები ღიად დარჩენოდა, თავი წყალში ჩავარდნოდა და მისგან შეგუბებული ნაკადული მღრიანავი ლეკვივით უღერღავდა გადმოგდებულ თეთრ ენას.

— უ-უ, დამპალო! — ამოსმა წიხლი ჰკრა ფურმარალს კუდალა, თეთრ კურტუმზე.

ფურმარალი ცოტაზე შეცურდა მდინარეში. მის თავთან მოდებული ფოთოლთა მანწვი, სვიის გირჩები, ტოტები და გამხმარი ნაყოფი უცებ დაძრა წყალმა.

ამოსმა ბრაზიანად ამოათრია ფური ნაპირზე. და თუმცა საამისო ძალა ალარა ჰქონდა, გადაწყვიტა დღესვე გასულიყო ონიაზე.

სანამ ფურმარალის გატყავებას შეუდგებოდა, ამოსი ცოტა ხანს მიწვა. ფურს ბეწვსა და კოლოებისაგან გამოჭმულ ნესტოებში წვრილი ჭიანჭველა დახვეოდა, ზედ დაცოცავდნენ ობობები და რაღაც მწერები. ისინი ხარბად აფათურებდნენ ბეწვში ცხვირ-ხორთუმებს, მერე კი უკმაყოფილო ბზუილით სტოვებდნენ მას და ამოსს ეტანებოდნენ.

ფურს მუცელი უფრო ღიაფერისა ჰქონდა, ნაზბეწვიანი.

პატარა ცური ჩასჭკნობოდა, ძუძუები გალურჯებოდა.

სახე შეეჭმუხნა ამოსს, თვალი აარიდა და ნაძალადევი გულგრილობით დაამთქნარა. გულის რევა მაინც იგრძნო. ტუჩები ციებიანივით უცახცახებდა, მუცელი გვრემდა, უჭყუტუნებდა, თითქოს შიგ მშიერი კატები ნადავლს ბრდღვნიანო.

ამოსმა ოხვრითა და ვიშვიშით მოიფათურა ხელი მუცელზე. „ეს რა ჯანდაბა და დოზანა დამემართა?“ — ფიქრობდა ბუჩქებისაკენ გაჩქარებული.

— მიაძეხი ხომ, მიაძეხი მსუქან გემრიელ ხორცს! — თითი მიიკაკუნა ძვლიან, საფეთქლებთან ჩავარდნილ შუბლზე.— უკბილო ბეხრეკო, სიბერემდე მისულხარ — ჭკუა არ მოგსვლია! ხუმრობა საქმეა — ტაიგაში ავად გახდომა!..

ამოსმა გაჭირვებით აქნა ფური.

რის ვაი-ვაგლახით მოაწყო სამალავი ხეზე და ხორცი ზედ შედო. ტომარაში ცოტაოდენი ნუკრის ხორცი ჩატოვა და ერთი რბილი ნაჭერიც ფურმარალისა ჩაამატა. „პირველ გზობაზე მსუბუქად წასვლა სჯობია, — ასე მსჯელობდა ამოსი, — ხოლო როცა ონიასაკენ მოკლე გზას ვიპოვი, მოვცოცხლდები, სატკივარი გამივლის, და დანარჩენსაც ღვთის მადლით ერთბაშად წამოვიკიდებ“.

რა თქმა უნდა, შეიძლება კაცები მოიყვანოს, განა ცოტანია ახლა ისეთები, ვინც ყველაფერზე წავა, მაგრამ მეტისმეტად გაბაზრდება საქმე, ხორციც უნდა გაუყოს. მაშინ წისქვილსაც დაემშვიდობე კარგა ხნით. „არა, ისევ მე თვითონ როგორმე მოვუვლი. ხორცსაც თვითონ გადავიტან და თვითონვე დავარიგებ, შეიძლება სულაც უფასოდ — ხალხი შემდეგში ალალად და პატივისცემით გადამიხდის გულუხვობისათვის. წისქვილის გამართვაშიც კეთილი გულით მომეხმარება“. ეს იქნება ერთადერთი წისქვილი მთელ ონიაზე. ზამთრობით ახლომახლო სოფლებიდან ქარავნებად დაიძრება ხორბლით დატვირთული მარხილები მისი წისქვილისაკენ. მინდი ბლომად იქნება, ხოლო თუ დოლაბს ჭკვიანურად დააყენებს და პატარა, სულ მცირე ხვრელსაც სადმე შეაპარებს ფქვილის სადინრად, მთლად პურით აივსება. აი მაშინ ქნას ღმერთმა წლევანდელივით წელი — ბევრ სოფელს ჩაიგდებს ხელში ფაეფანის ძე.

წყალში დასველებულ ორცხობილას გულდაგულ ღრღნიდა კაკლის ნაჭუჭივით ჩაყავისფრებული კბილებით, ტკბილი ოცნებით კი გული ელეოდა. ამ სასიამოვნო ფიქრებს მხოლოდ მუცლის ტკივილი უწამლავდა.

„მგონი, რაღაცა ბალახი თუ ბალახის ძირები უნდა შველოდეს მუცლის ტკივილს! — ცდილობდა და ვერ იხსენებდა ამოსი, — ტაკვა კი იპოვიდა. მასთან ერთად უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ იგი ისევ უფასოდ დაარიგებდა ხორცს, მთელ ამ სიკეთეს დაანიავებდა. თუმცა ნადირობაზედაც ვერ დავითანხმებდი, ნუკრი შეეცოდებოდა. უ-უ, ეგ ტილიანი, ეგა!“

ავმა, შავბნელმა ფიქრებმა ნელ-ნელა წამონისლა ტკბილი ოცნება, შიშმა აიტანა, აბოდებული მიქანაობდა, ზურგს მოკიდებული ტვირთი კი თანდათან მძიმდებოდა.

მდინარის მოსახვევში შეჩერდა, წარბები შეჰყარა, მძიმედ ჩაფიქრდა, ზორცის ნაჭერი ამოიღო და შოთხვის ფესვებთან მორევში ჩაუშვა. შოთხვს სანიშნო ჩამოათალა ცულით.

მაგრამ ბარგი მაინც არ ემსუბუქება.

ამოსი მუცელზე ხელებშემოხვეული მილასლასებდა.

წინ მტირალი კლდე გამოჩნდა, ნაშალი, ნარცეცხლათი, ჟოლოთი, წყალ-ნაწყენათი, მთის ლურჯი გვირილებით თუ სხვა სიკეთით შებურდულ-შეფარული. ამ ატეხილი შამბნარის მიღმა მშრალი ნამზღვლევი იყო. მისგან ლურჯი შუქი იღვრებოდა, ქვები თითქოს ლურჯი იყო და ეს ლურჯი ქვები აქა-იქ ბალახებშიც კიაფობდა. „სატკივარმა მთლად მომიღო ბოლო — თვალი ლურჯად მებინდება“, — შეძრწუნდა ამოსი და ერთხელ კიდევ შეავლო თვალი ლურჯ ხეობას, წარბები შეჭმუხნა, გვერდის ავლა მომიწევსო.

მდინარემ ჩაირაკრაკა მიუდგომელ ორწოხებში, რომლისათვისაც ხანძარსაც კი გვერდი აევლო, შეძვრა ღრანტე ეშმაკის ხევში, ერთი-ორჯერ დგაფუნიც მოისმა და დადუმდა, სადღაც ჩაიკარგა. ამოსს ჩამოლუშულმა წარბებმა მთლად ჩამოუფარა აპრიალებული თვალები, გული მოეწურა, ხელები ულონოდ ჩამოეყარა, თავზარი დაეცა:

— ეს ხომ სერებრიანკა არ არის!

შეხტა ამოსი, აბურდულ შამბნარში შევარდა, აიხლართა, დაეცა, ხევში ჩაგორდა, ხელები დაიკაწრა. მჭკვარასა და ჟოლოს ტოტები თავპირში სცემდა, მაგრამ ის მაინც ალმა მოიბრძოდა ძნელად ამოსასვლელ ნამზღვლევზე, გველები ალარც ახსენდებოდა, ლურჯ ქვებს ებღაუჭებოდა, ჩახაჩუხით აგორებდა.

აი, თხემიც.

საიდან მოუვიდა ძალა — ასე უცებ რომ ამოვარდა ხევიდან ამოსი. მოსხლტა, თავქვე დაეშვა, კინაღამ განაბულ მაჩვს შევარდა ზედ, შეკრთა, წყევლა დაადევნა.

კლდეთა წვერები მუქარით აწეული თითებივით შემართულიყვნენ ცისკენ, თითოეული მათგანიდან წყარო გადმოსჩქეფდა, მაგრამ ნაკადული არსად ჩანდა.

ჭურულა!

დიდი ღვთის რისხვაა მისთანა მდინარე, მდინარე კი არა — ტყის ჯადოქარია, მაქცია! მორბის თავისთვის ტაიგაში, კაცს შეიტყუებს და უცებ — ელვასავით გაიკლაკნება, გაქრება! გამოჭერილი მხეცივით აწყდებოდა ამოსი კლდეებს, ეძებდა, სად გადმოხეთქავდა კვლავაც ჭურულა. ბარგის სიმძიმე მთლად გადაავიწყდა, ვეღარ გრძნობდა. გულის შემაღონებელმა მუცლის ტკივილმაც კი გაუარა. ცული სადღაცა დაკარგა, დაბამბული ხიფთანი ჩამოეხია, მაგრამ თავისი გრძელი ფეხებით მაინც წინ მიიკანჭებოდა.

ნაკადული არ ჩანდა.

აქოშინებული ამოსი ფოფხვით ავიდა დაგვერდლებულ სერზე. გაიხედ-გამოიხედა. ირგვლივ ყრუ, მრეში ტაიგა და მის თავზე ეშვებივით აწვდილი

კლდეები გასუსულიყო ავის მომასწავებლად. სიჩუმე ყურებში ზარივით რეკდა. ამოსმა დაასლოკინა, ყელში რაღაც მოაწვა, სუნთქვა შეეკრა.

— შემომიტყუა! შემომიტყუა! მაცილი იყო, მაცილი, ფური კი არა! — ხელები თავში იტაცა ამოსმა. ზურგზე გუდა შეუქანდა, თითქოს ნუკრი გაცოცხლდაო შიგ. ამოსს თანდათან ხმა ჩაუწყდა. უსიტყვო, სასოწარკვეთილმა და განწირულმა ამობღავილმა გაკვეთა ტაიგის მდუმარება: — ა-ა-ა!

ღრუბლებმა დაბლა დაიწია.

ტყე დაიბინდა და ყრუდ აგუგუნდა. გაუბედავად, თითქოს მომარჯვებას ცდილობსო, ისე შეარხია წვიმის პირველმა წვეთებმა ხმელი, შარიშურა ბალახი. წვიმა ახლოვდებოდა, ძლივს გასაგონი ნაბიჯით მოემართებოდა ტაიგის სიღრმიდან.

— დიდება შენ, ღმერთო! — შეღაღადა გულამომჯდარმა ამოსმა და, ტირილით გაბრუებულმა, თვალები ცისაკენ აღაპყრო.

წვრილი წვეთები უღიტინებდა თვალებზე, ლოყებზე, შუბლზე. ღრუბლის ქულები აგრუხუნდა, ჩაშავდა, მთელი ძალ-ღონით ეპირებოდა ხანძარზე ჩამოღვრას, გათანგული ტყის ჩატბორვას, გაცოცხლებას იმისას, რაც ჯერ კიდევ მკვდარი არ იყო.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! შენ ხომ კეთილი ხარ! — თავისდაუნებურად აღმოხდა ამოსს, — აი, წვიმაც მოგვივლინე, თანაც ავდრის გარეშე, ასეთი გვალვების შემდეგ კი როგორი ავდარი იცის ხოლმე. მოდი და მეც მიშველე, შენთვის ხომ არაფერია, გამიყვანე აქედან!... ან ტკივილი მაინც ჩამიყუჩე...

ამოსი გრძნობდა, რომ ღმერთისათვის არაფრის თხოვნის უფლება არა ჰქონდა და ენა ჩაუვარდა, გულიგულში თავბედს იწყევლიდა.

ფართე, მხრებგაშლილი ტაიგა მძლავრად და დიდებულად ბუბუნებდა. სწორდებოდა თითოეული ტოტი, თითოეული ფოთოლი, თითოეული ბალახი, თითოეული ყვავილი, სულის ჩამდგმელ წვიმას უშვერდნენ თავის ჩამომხმარ სხეულს. ამოძრავებულიყო ყველაფერი, ირგვლივ ჩურჩული ისმოდა.

ტაიგა ჭრილობებს ილოკავდა და სულაც არ ადარდებდა მის ფეხებთან განრთხმული კაცი.

თვალდახუჭული იწვა ამოსი, ყურს უგდებდა სიცოცხლის ამ გამოღვიძებას და მიხვდა: არავინ — არც ზენაარი და არც ეს აღორძინებული ტაიგა მისი შემწე არ იყო.

წამოდგა, ტუჩზე კბენით ჩაიხშო კვნესა. თავბრუ ესხმოდა.

ყელი და პირი გაშრობოდა, გამწარებოდა. ჯიუტად წაიხარა წინ, თითქო ვიღაცას სარქენლად ეღერებაო, და აწოწილი ლანდივით გაუყვა ტყეს. ცოტაზე გაიარა, მუცელს მიუგდო ყური: გვრემს, გლეჯს. სულის ხუთვა დაეწყო, ხურვება ტალღებად უვლიდა შიგნეულში. ამოსმა გუდას პირი მოხსნა, ცოტა ხანს ხელში ეჭირა ვარდისფერი ხორცის ნაჭერი და, სიმწრით სახემობრეცილმა, გვერდზე მოისროლა. ცოტას გასცდა, ისევ შემობრუნდა, უნდოდა ხორცისათვის ტოტები წაეფარებინა, ხელი მოისვა — სადღაა ცული. მაშინ კი უიმედოდ ამოიგმინა და ისევ წალასლასდა.

ამოსს ფეხები ეხლართებოდა, მაგრამ თავს წამოწოლის ნებას არ აძლევდა. „უნდა ვიარო, არ უნდა დავჯდე“, — ეს ერთი აზრი უკაკუნებდა თავ-

ში. უგერგილოდ გადაფოფხდა მორზე, დაეცა და უილაჯოდ გაიფიქრა: „მორჩა, მეტად ვეღარ წამოვდგები“...

თვალებით წყალს დაუწყო ძებნა, მაგრამ ახლოს არსად არ ჩანდა.

მიწა ხარბად ისუტავდა სინესტეს.

ამოსმა ცვრიანი ხავსი მოსუტა, სოჭის დაბლითა ტოტები შეარხია, სახეზე წვიმის წვეთები ჩამოიყარა და წამოქცეული ხის ქვეშ ოდნავ თავწაყოფილი მიყუჩდა. რამდენჯერმე გამოეღვიძა, სცადა წამოდგომა, მაგრამ მკლავები ვერ ასწია, მიწაზე ეღვენთებოდა.

კარგა ხანს იყო ყუჩად.

გონს სიცივემ მოიყვანა. მთლად დასველებულიყო. ამოიგმინა, წამოჯდა, თვალთაგან ბუზები აუფრინდა, პირი ნამთვრალევივით უშრებოდა, თავი უბჟუოდა, თვალწინ რაღაცა ლანდები უტრიალებდა. აი, თითქოს ვიღაცა დალანდა, თითქოს ფურმარალი გახტა განზე, თითქოს წყარო გადმოჩუხჩუხდა, ზედ გადმოეღვარა. არა, ასცდა, სადღაც უძირო სიცარიელეში ჩაიღვარა.

— წყალი! წყალი! — პირი დააღო ამოსმა, თითქოს უნდოდა მისწვდომოდა იმ ჩქარ, გამაყრუებელ ნაკადს, რომელიც აკვანივით აქანავებდა და ცეცხლივით მწველი ტალღებით სადღაც მიაქანებდა.

ამოსი წამით გრძნობაზე მოვიდა, წვიმისაგან სველი ტუჩები მოილოკა. ხმაური არა წყდებოდა, სადღაც სულ ახლოს ღვარცოფი მიექანებოდა. ის ეძახდა, ის მოითხოვდა, რომ ამოსი ამდგარიყო, მასთან მისულიყო, გადაშვებულიყო მის ცივ ტალღებში, გაეცურა, წყალი გაეღღვია...

ფრჩხილებით ფხოჭნიდა ამოსი ახლომდგომ ხეს.

წამოდგა.

ნაბიჯი წადგა.

მუხლები ეკეცებოდა, გამხმარ ტუჩებს აცმაცუნებდა, ლოცვას ბუტბუტებდა და მთვრალივით მიბარბაცობდა ხიდან ხემდე. შემოეჭდობოდა ხეს, გახურებული, გაუპარსავი ლოყით მიეკროდა მის ცივ ტანს და დიდხანს ისვენებდა ასე.

წვიმამ იკლო და ძილში წასულივით წვეთ-წვეთოლა აშრიალებდა ჩაფიქრებულ, მოთენთილ ტაიგას. ბინდბუნდი შეუმჩნევლად შეერია ავდარს.

მოსაღამოვდა. და ამ ყოველი მხრიდან დაძრულმა სიბნელემ მოიმწყვდია, დათრგუნა ამოსი. მან ცისკენ აღაპყრო ხელები:

— გიწამებ! სამუდამოდ გიწამებ, ოღონდ მიხსენი!...

ყრუდ და გულგრილად ხმაურობდა ტაიგა.

მისი ხმაური სიბნელესთან ერთად მიიწევდა კაცისკენ. რაღაცა გაახსენდა ამოსს და ახლა ცას კი არა, ამ ავბედითად მოდარაჯებულ ტაიგას მიმართა მოთქმით:

— მამილო, ჩემო მამიკო! მაპატიე მე შეჩვენებულს! მაპატიე-ე-ე! ფაეფან ბატონო, ძვირფასო, შენი შვილიშვილების ხათრით მაინც! ტაკვა, ძამიკო, მიშველე! შენთვის უცხო არ არის ბოროტების წილ სიკეთე! ვინანიებ, ვინანიებ! ვინანიე-ე-ებ! — თავს ურტყამდა ამოსი დაკორძებულ ფესვებს, ჰკოცნიდა. ტაიგა კი ისევ მშვიდად და მძლავრად ბუბუნებდა; მთლად ჩაბნელდა, შეიკრა და ეს ყრუ კედელი სულ უფრო მჭიდროდ ერტყმოდა კაცს.

შიშისა და წყურვილისაგან დევნილი ამოსი ანგარიშმიუცემლად გაცოცდა სადღაც სიბნელეში და მოულოდნელად წყაროს ჩუხჩუხი ჩაესმა. მან შეშ-

ლილვით ამოიღმუვლა ამ მაცოცხლებელი ხმის გაგონებაზე და წინ მიაწყდა.

დიდხანს ისველებდა თავს ცივი წყლით, ლოკავდა ტუჩებზე ჩამომდინარე ცრემლებისაგან გამლაშებულ ნაკადებს და ბედნიერებისაგან ტიროდა.

— ღმერთო! მიშველა, მიშველა-ა! მოწყალევ! მამილომ მაპატია!

ამოსმა თოფი და კარდალა დიდი ხანია დაკარგა. შინნაქსოვი ჯვალოს ხიფთანი მთლად ჩამოეკონკა. დაგლეჯილი, სისველისაგან გაფლაშული უძირთ-ებიანი ფეხები შემოიკეცა, მიებღუნძა მაცოცხლებელ წყაროს და იწოვდა გულით, თავით, მთელი სხეულით და ისე ტკბებოდა მისი ხმით, როგორადაც არა-ფრით არ დამტკბარა თავის სიცოცხლეში.

წვიმა შრიალებდა.

ხან სიწყნარე იყო, ხან ქარი წამოუბერავდა.

მზე გამობრწყინდებოდა და მთებს მიღმა მიგორავდა.

ვარსკვლავები ჩვრეტავდნენ ღამეს. ამოცურდა გვერდმოლეული მთვარე. ამოსი რაღაცის გახსენებას ცდილობდა და ვერ იხსენებდა. გონებაში ყველა-ფერი ერეოდა, უფერულდებოდა, იშლებოდა.

სადღაც ხეთა კენწეროების მიღმა მოდიოდა განთიადი და უკანვე ბრუნ-დებოდა, ის კი იწვა და იწვა უკვე ყველაფრის მიმართ გულგრილი, წყაროს რაკრაკის მიმართაც კი, იწვა მორჩილად, ბედს შერიგებული, ხან გაეღვიძე-ბოდა, ხან ბურანში იძირებოდა.

ამოსმა გაჭირვებით გაახილა თვალები და ახედა ძმურად ხელიხელგადახ-ვეულ ტაიგას. და მოეჩვენა, რომ ეს ტაიგა არ უშვებდა მის სუსტ ხმას ზე-ცამდე, მაცხოვრამდე... ტაიგა ახრჩობდა ამოსს, ზედ აწყობდა ეკლიან ცივ თათებს, და ამ თათების ფენა სულ უფრო სქელი და მძიმე ხდებოდა, ლო-დივით აწვებოდა მკერდზე და მიწაში ჩატანას უპირებდა.

ტყე კი ისევ ხმაურობდა, მარად ცოცხალი, უძლეველი, დაუდუმარი, მღელ-ვარე, როგორც უკიდეგანო ზღვა-ოკეანე.

* *

იმ დღეს, როცა ვირუბში, როგორც იქნა, შხაპუნა წვიმა მოვიდა და ყვე-ლაფერს— ბუნებას, სოფელს, ადამიანებს სულს მოეფონა, კლავდიამ, არც შეუხედავს, ისე გადულაპარაკა ტაკვას:

— უნდა წახვიდე და მოძებნო.

ტაკვამ ბრაზიანად მოუჭრა:

— მე არ გამიგზავნია ტაიგაში! — ტყაპუჭს წამოავლო ხელი და საბძელ-ში გავიდა.

ვითომ სხვა რამისთვისო, კლავდიაც იქ შებორიალდა, საბუდრიდან კვერ-ცხები ამოიღო, ხარიხაზე ცოცხები შეასწორა და თავმომძინარებულ ტაკვას ისევ გადაულაპარაკა:

— ჩვენ ხომ შვილები გვყავს, ტაკვა!

მონადირემ ფიცხად წამოიწია, ლოყიდან ფოთოლი მოიშორა და ამოტ-კენა:

— მე არ დამიძალებია მისთვის ტაიგაში წასულიყო სამამაძაღლოდ!

კლავდიას ბაგეები აუთრთოლდა, ნიკაპი მოეჭმუხნა და დამჭკნარ ბოლოკს

დაემსგავსა, კლავდია უცებ დაუშნოვდა და აშკარად დაეტყო, რომ ის მაინც დედაკაცი იყო, ჩვეულებრივი დედაკაცი.

— მაშ რატომ ლაყბობდი სერებრიანკაზე! რატომ?

— დამათრო და ისე წამომაცდინა საიდუმლო, თითქოს ანკესით ამოშაცალა. იუდა! — ტაკვა წამოდგა, ტანსაცმელი ჩამოიბერტყა და მკვახედ განაგრძო: — ასეთი რამისათვის, იცი, რა სასჯელია?

კი, კლავდიამ იცის, რა სასჯელიცაა — ჩაქოლვა, სიკვდილი! მონადირეებს დაუწერელი ციმბირული კანონი იცავს ქურდებისაგან. ეს კანონი მკაცრია და ულმობელი, როგორც თვით მონადირეთა ცხოვრება. ის ცხოვრებისა და ნადირობის უფლებას აძლევს მხოლოდ იმას, ვინც იცნობს ტაიგას, შეუძლია, იშრომოს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, სდიოს ნადირს მანამ, სანამ თვალები არ ჩაესისხლება და გული არ შესწყვეტს ფეთქვას. არ არსებობს იმაზე დიდი დანაშაული, ვინემ მონადირის გაქურდვა, მისთვის ნადავლის აწაპნა.

მონადირეს გუდით მიაქვს ძვირფასი მარილი ცხრა მთას იქით, ორ-სამ წელს იჩვევს ნადირს, რათა მერე მოინადიროს. ვინმე უსინდისოსაგან კი ასე მოჩვეული ნადირის მოკვლა მონადირის გაძარცვაა, ლუკმის პირიდან გამოცლა. „ქურდს ტაიგა არ გაახარებს, ტაიგა ქურდს მოჰკლავს!“

კლავდიამ ეს იცოდა. იგი ჩამოვიდა საბძლიდან და, კარის წირთხლს მიყრდნობილი, დიდხანს ტიროდა, გული მოიოხა, ვედროების საზიდი სამხრე ააჩხაკუნა, ფეხებში გაბლანდულ ერთ შვილს სილა გააწნა და მთელ ეზოზე ააღრიალა.

ტაკვას ესმოდა მისი ქოთქოთი, ვილაცას აგინებდა, საძირავი ქვაო, იძახდა, ხარბი და უძღებიო, ყველაფერს ეპოტინება, ყველაფერს თავისკენ ითრევს, აღარ დაკმაყოფილდაო.

„ქმარს ლანძღავს“, — მიხვდა ტაკვა.

მერე იმასაც გადმოსწვდა:

„მთელი სიცოცხლე ტაიგაში გდია, ტაიგას ანაცვალა თავი, კუნძებს ჰკოცნიდა და თვითონაც კუნძად იქცა — არც გული აქვს და არც სული. მოვიდა და აურ-დაურია“...

ტაკვამ ჩაახველა, ჯიბეების ქექვა დაიწყო, ჩიბუხს ეძებდა. კლავდიამ ქოთქოთის შეუწყვეტლად ამოათრია ტილოს ტომარა, გამოკერა. ჩაიცვა კაცის შარვალი, ძველი უძიროები, თავსაფარი წაიკრა, წელში ცული გაირჭო და ფარდულის კარი შემოაღო.

— გესმის! — დაუყვირა ხმამაღლა, — შენ აქ იდიასახლისე, თოფი მე მომეცი!

ტაკვამ თავი ასწია. კარის ნათელ ოთხკუთხედში იდგა კლავდია, ჯანიანი, მაგარი, უდრეკი. სახეც ისეთი აღარა ჰქონდა, ერთი საათის წინ რომ ნახა მონადირემ. უკვე მომწიფებული, დასრულებული სილამაზის ბეჭედი ემჩნეოდა ამ ჯაფისა და საზრუნავისაგან გაუხეშებულ ქალს.

— კარგი, ნუ სულელობ! — ჩაიბურტყუნა კიბეზე ჩამომავალმა ტაკვამ. მან იცოდა, რომ ეს გარიულა სადაც გინდა წავიდოდა, თუნდაც მოძულებული, მაგრამ მაინც ცოცხალი ადამიანის გადასარჩენად. — თვითონაც დაიღუპები და ბავშვებსაც დაიობლებ, — ბუტბუტებდა ტაკვა და თან ცდილობდა აკიდებული ტომარა წაერთმია.

კლავდია განზე გადგა.

— თოფი მომეცი! — და დაუმატა: — არ მეგონა, შენ თუ ასეთი გულრძო იქნებოდი!

ტაკვა მიხვდა გადაკრულ ნათქვამს, აილეწა.

— ნუ სულელობ-მეთქი, გეუბნები, — უკვე შეშინდა იგი, — შენ ტაიგა საქონლის გასადენი ხომ არ გგონია? ჯერ ის სულელი შეეჩხირა იქ, ეხლა შენც მიძვრები?

— ეგ შენი ჭკუის საქმე არ არის! — სიტყვა მოუჭრა კლავდიამ. — ტაიგის წესი რომ დაარღვია, ამისათვის — დასაჯეთ, მაგრამ ადამიანის ტყეში მიტოვებას არავითარი კანონი არ გაპატიებს. ის ხომ შიმშილმა აიძულა იქ წასულიყო, შიმშილმა! გესმის! თუმცა შენ რას გაიგებ! მაძლევ თოფს თუ არა?

— რას ატყდი: თოფი, თოფი! თოფი რა შენი საქმეა? ცოცხი ხომ არ გგონია?! — ბრაზიანად სცრიდა ტაკვა, — ისე კი არც მე ვარ უგულო, თუმცა კუნძებზე ვლოცულობდი. რა ჩემი ბრალია, თუკი მან დასწრება მომიწადინა, სხვისა უბედურებაზე ხელის მოთბობა. ჰოდა, იყურყუტოს ახლა ტყეში.

ტაკვამ მოიჭიმა შემხმარი უძიროების თასმები, ვაზნები შეამოწმა, გუდას წამოავლო ხელი და ეზოდან გასვლა დააპირა. კლავდია ჭიშკართან დაეწია, გუდა გამოგლიჯა.

— სად მიდიხარ უორცხობილოდ?

— ტაიგაში საჭმელი არ შემომაკლდება.

კლავდიამ ყურიც არ უგდო, თავისი ტომრიდან ტაკვას ტომარაში გადაჰყარა ორცხობილა, მარილი, მოლბა:

— აბა, ღმერთმა ხელი მოგიმართოს! — კიდევ რაღაცის დამატება უნდოდა, მაგრამ შებრუნდა. — წადი, ჰო! დედაკაცის რატრატი და დედაკაცის ცრემლი რა ყურსაგდებია...

ტაკვამ ალერსიანი მზერა გააპარა მისკენ, დამშვიდობების ნიშნად თავი დააქნია და მდინარისაკენ დაუყვა.

* *

სერებრიანკას სამარილემდე იგი მარტო მისთვის ცნობილი გზით მივიდა, ისე რომ ონიადან იქამდე ორი საათიც არ დასჭირებია. სულ კლავდია ედგა თვალწინ. „ხედავ, როგორ გაცეცხლდა! ან რა სიტყვები მომახალა! სამართლიანი ქალია. ასეთი სამართლიანი ჯერ არც არავინ შემხვედრია განსვენებული მამაჩემის მეტი“...

დიდხანს იდგა ტაკვა დაბინძურებულ სამარილესთან ჯოხზე დაყრდნობილი, დაღვრემილი და ბოლოს გულჩათუთქულმა ამოიოხრა:

— მტერი ხარ, მტერი! ცხონებული მამა ტყუილად კი არ გეუბნებოდა, ცოლიც ტყუილად გიცავს. თუმცა ქალია, რა მოეთხოვება...

ტაკვამ მოკრიფა ყარყუმებისაგან დაძიძგნილი ნაწლავების ნარჩენები, მოშორებით გაიტანა და ჩამარხა. ნაცეცხლურიც აფხიკა, ნახშირის ნამცეციც არ დაუტოვებია, მუჭში მოსხიპა ღრიანჭველას თესლი და ნაცეცხლურზე მოაბნია.

ღამე სამარილედან შორს გაათია ტაკვამ.

წვიმას გადაერეცხა ფურმარალისა და კაცის კვალი. მონადირემ მხოლოდ მისი თვალისთვის შესამჩნევი ნიშნებით აღმოაჩინა ამოსის პირველი ღამის სათევი. დილით ჩაი აადუღა, ორცხობილა ჩაალბო შიგ, მარილი ბლომად ჩააყარა და ისე ამოხვრიპა.

ტაიგას იმ ზაფხულისათვის პირველი ნისლი ეხვია. ყველაფერი — ტყეცა და მიწაც — საკმარისად დარწყულებულიყო. ტაიგა ღრმად და თავისუფლად სუნთქავდა. კოცონის კვამლი მიწაზე ეფინებოდა, მუგუზლები სუსტად ტკაცუნობდა და შიშინებდა. ნაწვიმარ სოჭებს სილურჯე გადაჰკრავდა, ნაძვნარებზე, წვეტცხვირა გირჩებზე მსხვილი წვეთები კამკამებდა. კედრის სურნელოვანი და რბილი წიწვებიდან ნამი საფანტივით ცვიოდა ჭალარა ხავსში. ლარიქსებს რბილი, მწვანე ფუნჯები გაეფარჩხათ და გარინდულიყვნენ, თითქოს გატოკებისა ეშინიათო. ხავსზე უკვამლოდ იწვოდა წითელი მოცვის მტევნები და მიწა ნამისაგან აბრწყინებული ნაირფერი ღვინა სოკოებით იყო მოფენილი. მყუდროება სუფევდა ტაიგაში, მყუდროება და ნეტარება!

ტაკვამ ჩაის ნარჩენით ცეცხლი ჩააქრო, ხვნეშით გაუყარა ხელები გუდის სამხრეებში და ნამისაგან სველი უძიროების ჭყაპუნით განაგრძო გზა. ხანდახან ჩერდებოდა, დაკუზული ჩასცქეროდა მიწას, თითქოს ვიღაცის წერილსა კითხულობსო, და თან ძველი ჩვეულების თანახმად თავის თავს ესაუბრებოდა:

— ეჰ, შენც მონადირე ხარ, შე ქარაქუცავ! შენ აქ წოლილხარ, ფურმარალი — შენგან ას საჟენზე. ის თვალს არ გაცილებდა, შენ კი ვერა ხედავდი, რადგან სიხარბისაგან დაგბრმავებოდა თვალები. დათვი მაინც ყოფილიყო დაჭრილი, შე ძაღლის შვილო, ჩაგისაფრდებოდა სადმე წაქცეულ ხესთან და ის გიჩვენებდა, როგორ უნდა ლაშდაფჩენით ნადირის დევნა...

იმ ადგილას, სადაც ამოსმა უმწიფარი მოცვი მოფხოჭნა, ტაკვა წუთით შეჩერდა და დანანებით დააქნია თავი:

— უმწიფარის ჭამა როგორ შეიძლება, სჯობდა წამოგედულებინა. უფრო კარგი იქნებოდა იორდასალამის ძირები მოგეთხარა — იმაზე უებარი არაფერია კუჭის აშლილობისას... ეჰ, თქვე საცოდავებო! ნეტა სად იზრდებით?

აქვე, მოცვიანიდან, გნოლქათამას ბარტყები წამოუფრინდა ტაკვას და, რომ აღარ დაეფრთხო, უხმოდ განაგრძო ფიქრი; „აი, ფრინველმაც კვლავ მომრავლება დაიწყო ტაიგაში. სიცოცხლეს ვერ ჩაჰკლავ, ვერა, ძმაო, ვერც ტყვიით მოსპობ, ვერც ცეცხლით ამოწვავ. — მონადირემ თოფი წამოუქადლა და ერთი გნოლქათამას ბარტყი ჩამოაგდო. — წვნიანითაც დედა ტაიგა გვამარაგებს“.

სადღაც ახლოს დედა გნოლქათამამ დაიკრიახა, გაფანტულ წიწილებს აგროვებდა. ტაკვამ გასძახა:

— მორჩა, მორჩა, მეტს ხელს აღარ ვახლებ. მე მეტი არ მინდა!...

ჯერ კიდევ ადრე იყო, ქედის გადავლაც მოესწრებოდა, მაგრამ, ჩანს, დაიღალა მონადირე. ღამის გასათევი შეშა მოაგროვა, სოჭის ტოტები დაიგო ქვეშ, წვივსახვევები ცეცხლთან შეაშრო, კვლავ ჩაიცვა ფეხზე და, ცეცხლის პირას მიწოლილი, დიდხანს აპლაკუნებდა ყალიონს.

ფიქრობდა. ძილ-ბურანში, როგორც მსხვილ ხოლიხში, ისე იხლართებოდნენ, ერთი-ერთმანეთზე მოძვრებოდნენ მოჩვენებანი: აი, ფაეფანი უხმობს, თავისთან ეძახის. ბოლო დროს რატომღაც ხშირად ეჩვენება იგი ტაკვას, ალბათ მალე შეხვდებიან ერთმანეთს.

ფეხზე დააცხუნა, ბანდულზე ლამის ცეცხლი წაჰკიდებოდა. თვალგაუხილავად გაჩოჩდა უკან. კლავდია ამოცურდა ძილ-ღვიძილში, ახალგაზრდა, თეთრკაბიანი, ხელში ბერმუხელათი, თავჩაღუნული. ასეთად, მხოლოდ ასეთად ხედავდა ხოლმე სიზმარში. იმ წუთამდე, ყინულის დაძვრამდე, ხომ სულ მისი ოცნება იყო, მისი საფიქრალი, მისი საბედო... ალბათ მათაც ეყოლებოდათ ბავშვები — ორი ბიჭი. არა, გოგო და ბიჭი, არა, ბლომად გოგოები და ბიჭები, რა სჯობია ბევრ შვილს.

ტაიგა...

დილით ტაკვა ძლივს გაიშალა წელში. ცას შეხედა — გათენებულიყო. „რამდენ ხანს გდებულხარ, ბებერო მცონარავ. უნდა ვიჩქარო — მაგრამ ჩაიც ხომ უნდა დავლიო? — რატომღაც ბრაზობდა იგი. — ჩაის დაულევლად რაში ვივარგებ? მთლად დავსუსტდები“...

მოცვის ჩაი აიდუღა, დალია. სადღაც შორიდან კი ბრაზიანი თვალები მოსჩერებოდნენ:

„გულღვარძლიანი ყოფილხარ!“ ტაკვამ ჩაი გადაღვარა, კარდალა ბრაზიანად ჩაახეთქა გუდაში და მთას შეუდგა.

ქედს მიღმა სამალავს წააწყდა, დასუნა — ხორცს უკვე სუნი დასცემოდა. მარალის ხორცი მდინარესთან მოზიდა, ლორწო ჩამორეცხა, მერე ცივი წყარო მოძებნა და შიგ ჩააწყო. თან ერთი ნაჭერიც არ წაიღო, მხოლოდ ეშმაკურად ჩაიცინა, მარცხენა ხელის ორთითათი ცხვირი მოიქექა და მდინარეს დაუყვა.

ნიშანდადებულ შოთხვთან წყლიდან ამოიღო გაქათქათებული ხორცის ნაჭერი და წაიბუტბუტა:

— რაო, ამოს, გემძიმა ნაქურდალი, ჰა?

და კვლავ ჩამოესმა ბრაზიანი ხმა, იქვე ხეებთან, სულ ახლოს: „შიმშილმა აიძულა, შიმშილმა! თუმცა შენ რა“...

ტაკვამ ბრაზიანად გადააფურთხა, ხორცს ჩამოჭრა და კარდალა შემოდგა ცეცხლზე. ცდილობდა გულის დარდი მოეშორებინა, სხვა რამეზე ეფიქრა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

ამასობაში ხორციც მოიხარშა. „ვისი ხორცია? როგორ გგონია, ტაიგა მხოლოდ შენთვის არის შექმნილი?“

— ფუ, სატანა! — კიდევ ერთხელ გადააფურთხა ტაკვამ და უგემურად დაუწყო ჭამა. მერე ბალახის ღერით დიდხანს იჩიჩქნიდა კბილებს შორის ჩარჩენილ ხორცის ნაძიძგნს და თან ტაიგის შუაგულში აზიდულ კლდეებს გასცქეროდა.

იქ არის ჭურული.

იქ არის ცისფერი ქვა — მიწის სიმდიდრე.

ამოსი ამ კლდეებს ვერ გასცდებოდა.

წევს ალბათ მონადირე, მშველელს ელის და პირჯვარს იწერს ლურჯი ნათებისაგან დამფრთხალი.

ტაიგამ მიუვალ კუთხეში გადამალა ცისფერი ქვა — მიწის მშვენება. მხოლოდ ორმა კაცმა იცოდა ეს ადგილი — ფაეფანმა და ტაკვამ.

სიკვდილამდე ცოტა ადრე მოიყვანა აქ მამამ, უჩვენა ცისფერი ქვები, სიპები, მიწაში ჩამდინარი ნაკადულის კალაპოტში მიმობნეული, ნაკადულისა, რომელიც ყველა სხვა მდინარის მსგავსად უხსოვარი დროიდან მოედინებოდა მიწაზე, თხრიდა მთებს, კლდეებს.

— ციური ქვაა, ქალაქელები მას მარმარილოს ეძახიან, — უთხრა ფაეფანმა და ოხვრით დაუმატა: — მთელი მთა ცისფერია. ტაიგამ ხავსით, ხევებით, ტყითა და შამბნარით დაფარა იგი ადამიანთა თვალისაგან.

ტაკვამ ხელში აიღო სიპრიპელა — ქვა კი არა, გაზაფხულის ცის ნატეხია, ლაჟვარდისფერი, ციცქნა ვარსკვლავებით მოჭედილი. ალერსით გადაუსვა ხელი — ყინულივით პრიალა იყო, ცივი.

ნეტა რა ჰქმნის ასეთ სასწაულს!

ფაეფანმა უამბო, სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს როგორ დარაჯობდნენ ერთხელ გუბერნატორის სასახლეს. ვიღაც მეამბოხეებმა მეფეს ყუმბარა ესროლეს. გუბერნატორსაც შეეშინდა და ჯარი დააყენა თავის სასახლესთან. იქ, გუბერნატორის სასახლეში ნახა ფაეფანმა ქვის სვეტები და იმ ქვას მარმარილოს ეძახდნენ. მხოლოდ ის ქვა ყავისფერი იყო, თეთრზოლებიანი. ის ქვა სად მოვა ამ ციურთან!

შემდგომში იმ „ჯანყისთავებსაც“ შეხვდა კატორღაში და ბევრი რამ გაიგო მათგან. უშიშარი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ჯანით თოხლონი. ვერ გაუძლეს კატორღას, ბევრი მოტეხა, შეიწირა მან.

— ანდერძად ამას გიტოვებ, — უთხრა ფაეფანმა, — როგორც კი საამისო დრო დადგება, მიდი ხალხთან და უჩვენე ეს ცისფერი ქვა. დე, სიხარულში მოიხმაროონ. მანამდე კი ტაიგაში დარჩი. ჯერ სუსტი ძვალი გაქვს — მოგტეხავენ. აქ მეფე ხარ — იქ მონა იქნები.

„ოცდაათმა წელმა განვლო მას შემდეგ, დევს ციური ქვა, ელის თავის დროს. დადგება კი მისი დრო! დევს ქვა და მეც მისი დარაჯი ვარ. მთლად გავტყიურდი, ამ ცხოვრებისა აღარაფერი გამეგება. აგერ ამოსმა ტაიგის კანონი დაარღვია, კლავდია კი მე მადანაშაულებს. ვინ არის მართალი? ვინ? ადამიანები ხომ ყველა მხეცზე უარესი მხეცები არიან“.

გულში ჩასწყდა ტაკვას, თვალები მთვრალივით მოუცრემლიანდა. გარს შემოხვეული ტაიგა კი ჩურჩულებდა, თითქოს მონადირეს ამშვიდებსო. „გულს ნუ გაიტეხ, ტაკვა, ტყეში შედი უფრო ღრმად, შორს, გულს მოგეფონება...“

და მიდიოდა მონადირე, ნელა მიდიოდა, ნელი ნაბიჯით მიდიოდა, წელში წახრილი, თავჩაქინდრული. გული უკვნესდა.

აი, ჭურულამდე ავიდა ტაკვა და უცებ შეწრიალდა, შეიცხადა.

— ვაა! მონადირეს მთლად აბნევია გზა!

ნაბიჯს აუჩქარა ტაკვამ, ბუჩქებს ებლაუჭებოდა, გვერდობში ფეხი უცურდა და თითქოს თავის გასამართლებლად ბუტბუტებდა:

— მარცხნივ, მარცხნივ უნდა ახვიდე. ეს ხომ პატარა სერებრიანკაა. აგე, შიშველი მთა რომ მოჩანს, იქ ერთვის პატარა სერებრიანკა დიდ სერებრიანკას. ამ მთასთან ამოჰყვინთავს — და მერე იცოცხლე! ეჰეე, ცუდად არის შენი საქმე, ამოს, ცუდად! ტაიგა — საგანძურია, რომელსაც სუფთა გულით უნდა მიუხვიდე...

ჭურულადან შორს ვეღარ ევლო ამოსს — სულ რამდენიმე კილომეტრზე წრეზე ებოდიალა.

ტაკვამ იგი წყაროსთან იპოვა. ამოსი გულღმა იწვა ფართოდ გახელილი, გაყინული თვალებით. ტაკვას გული ეკუმშებოდა და ეწიწკნებოდა, როცა თავს ედგა თავის ძუძუმტეს. მძიმე ფიქრები შემოეჯარა მონადირეს, გული ედაგე-

ბოდა. დაიღუპა კაცი, დაიღუპა ტყუილუბრალოდ, უსახელოდ. ნუთუ ამისათვის დაიბადა?

ამოსის ერთ თვალში ლიბრივით მოჩანდა ღრუბლის ანარეკლი, ხოლო მეორეში, როგორც სარკეში, უძრავად იდგა გადმოყირავებული ნაძვი. მიცვალებულს ტუჩები მწვანე ჰქონდა, მუჭში ბალახი ეჭირა. ჩანდა, ამოსი სიკვდილის წინ ძალლივით ბალახს მისძალებოდა, კიდევ სიცოცხლეს ებღაუჭებოდა.

ტაკვამ დაუხუჭა ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა თვალი, გაძვალტყავებული ხელები ჩალურჯებულ მკერდზე დაუკრიფა.

ტაკვა პურის საჭმელად ჩამოჯდა, შიგადაშიგ წყაროსთან გაშოტილი მიცვალებულისაკენ იცქირებოდა. ჭამის შემდეგ ცოტა ხანს დაისვენა და სამგზავროდ მოემზადა. ორი არყის შიმელა მოჭრა, ღვედით ერთურთზე გადააბა, მათ ტოტებზე მიცვალებული დააწვინა. ამოსი გამხდარი იყო, მაგრამ მძიმე. ტაკვამ სათარზე მიაბა მიცვალებული. ამოსის ცული, თოფი, გუდა და თავისი ბარგიბარხანა ტაიგაში დატოვა, შეება სათარში და დინჯი ნაბიჯით დაიძრა ონიასაკენ.

სათარის ფაჩხაფუჩხს, ტყის შრიალს აყოლებდა ფიქრებს ტაკვა, უხმოდ მსჯელობდა სიკვდილსა და სიცოცხლეზე და, რა თქმა უნდა, ტაიგაზე. მოხეტიალე ტაიგელი ამ უხმო ფიქრებში უკვე მერამდენედ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ დიდმა შემოქმედმა და ტაიგამ ყველაფერი გაითვალისწინა, ყველაფერი კარგად მოაწყო. ერთ ცხოველს კბილები და კლანჭები მისცა საკვების მოსაპოვებლად, სხვას — სწრაფი ფეხები და ფაქიზი სმენა, ოთხიოდ ხვრელი, რათა მათი საშუალებით გადაირჩინოს თავი, ფრინველს — ფრთები. ადამიანს კი მხოლოდ ჭკუა მისცა და ისიც ყველას არა. ფრთები, კლანჭები, მარდი ფეხები თუ სხვა მისთანანი ადამიანს რომ ჰქონოდა, აქამდე ყველაფერს მოსპობდა და თვითონაც მოისპობოდა შიმშილით. ადამიანი უფრთებოდ, უკლანჭებოდაც ყოველგვარ ცოცხალ არსებას სპობს. ჯარისკაცი ჰყვებოდა, ომში უამრავი ხალხი გაიჟლიტაო. ხოლო კატორღაშიო, მამამ იცოდა თქმა, საზიდრებს ადამიანის ძვლებზე დააბრიგინებდნენო.

ასეთ ფიქრებს აყოლებდა ტაკვა საზიდრის შრიალს, რომელზეც უფრთებო კაცი ესვენა. მის მიმართ იგი არც სიბრალულს განიცდიდა და არც თანაგრძნობას. ტაკვას ღრმა რწმენით, რაც ტაიგაში ხდებოდა, ყველაფერი კანონიერი და გვერდუქცევი იყო. ხოლო ადამიანთა საზოგადოებაში კი ბევრი რამ მოსაწესრიგებელია, კი, კი, ასეა...

ამოსის დაკრძალვაზე თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. დინჯად, მძიმედ ლოცულობდნენ კერჟაკები, განსვენებულს ლოცვანს უკითხავდნენ სქელი, თაგვებისაგან შემოღრღნილი წიგნებიდან. არც გაიცხვა, არც საყვედური არ დასცდენია არავის. ყველაფერი ხდებოდა, როგორც წესი და რიგი იყო. ამოსისაგან მოპოვებული ხორცი სოფელში მოიტანა ტაკვამ და ჩამოარიგა. ძღვენი აიღეს, მოხარშეს, შეაზავეს წვიმების შემდეგ ამოყვირებული მწვანილით და, ჭამად დამსხდარნი, ამას გაიძახოდნენ: „ღმერთო, ამოსის სული განათლე, შეუნდეო ცოდვები დიდიცა და მცირეც“...

„ეტყობა, ტაიგის კანონს ყველა არა სცნობს, — ფიქრობდა ტაკვა, — ეტყობა, არც არსებობს ამქვეყნად ისეთი კანონი, რომელიც ადამიანს უბედურებისა და ხიფათისაგან დაიფარავს. ხოლო რაკი ასეთი კანონი არ არსებობს, მაშინ არც ბედნიერება არსებულა“.

თოკებით, ჩუმი სლუკუნის თანხლებით ჩაუშვეს საფლავში ამოსის გადა-

ფერდებული კუბო. ნათესავებმა თითო მუჭა მიწა მიაყარეს. ტაკვამ იფიქრა, იფიქრა და მერე იმანაც მობღუჯა მიწა ხეიბარი ხელით.

— არ გაბედო! — ვიღაცამ ცეცხლი ჩაასუნთქა ყურში ტაკვას.

— უყურეთ ამას, ესეც ნათესაობას იჩემებს! — გაისმა უფრო ხმამაღლა.

— მოინელა კაცი ძაღლიშვილმა!

— ეს რომ არა, ამოსი არ წავიდოდა იმ დაწყევლილ ტაიგაში...

— ხალხნო, ამან მოუღო ბოლო! ღმერთმანი, იმდენი ხანი რომ არ ეყიალა ტაიგაში, ცოცხლისათვის შეიძლება მიესწრო.

— განგებ არა ჩქარობდა...

ტაკვამ პირველად შემკრთალმა მოიხედა, მერე კი მოდუნდა, თავი ჩაჰკიდა. რა უნდა ექნა? ნადირთან რაღაცას გააწყობდა, ესენი კი ადამიანები იყვნენ, ხალხი! იცოდა, გული უგრძნობდა, რომ ამ შიმშილისაგან გაუბედურებულ, ცრუმორწმუნე შიშით გაბოროტებულ ბრბოს, რომელმაც კეტებით ჩაკლა საცოდავი მოხუცი ყირგიზი, სულის მოთქმა სწყუროდა, გულს მოფონება. ხომ ვიღაცა იყო მიზეზი იმ უბედურებისა, რაც მათ თავს დაატყდა! ღმერთს ხომ ვერ დასდებდნენ ბრალს!

ნაავდრალ ტყესავით მოქუშული ბრბო უფრო და უფრო მჭიდროდ ერტყმოდა მონადირეს. შიშისაგან წათამამებული ლაჩარი კერჟაკები საფლავისაკენ უჯიკავებდნენ მონადირეს. დედაკაცები განსაკუთრებული გულმოდგინებით იწერდნენ პირჯვარს. ადამიანებს თვალები გაფართოებოდათ სიბრაზისაგან, ტუჩები დაბრეცოდათ, გაფითრებოდათ, ჩამომდნარი გამოყეყეჩებული სახეები დამანჭოდათ. სახე სახესაც აღარ უგავდათ, თითქო ქვისაგან გამოთლილი ნიღბებიაო. ამ ნიღბების ნაოჭებში ჩანდა ათასწლოვანი ტკივილი, შიშთან და ღვარძლთან შერეული.

— კატორღელის ნაშიერო! — ბრაზი უფრო და უფრო ერეოდა ხალხს.

— მასავით ბოღმითაა დატენილი, ჩვენი მოსპობა უნდა!

— უბედურება დაატეხა სოფელს!

— გველი ჩავიძვრინეთ უბეში! მაშინვე უნდა გაგვეტანებინა ტივისთვის!

— რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი? ჩაუძახეთ მაგასაც!...

ტაკვას კიდევ უფრო მჭიდროდ შემოერტყნენ გარს და ჯიუტად უჯიკავებდნენ სამარისაკენ. ფეხი რომ დაუცურდეს, ჩავარდეს — იმწამსვე მიწას მიაყრიან, მერე კი სახლებში გამოიკეტებიან, სასაფლაოს შორიდან მოუვლიან, მკვდრის მოლანდებისაგან დაზაფრულთ საკუთარ სახლშიც დაეკარგებათ მოსვენება, ლოცვა-ვედრებაში გაატარებენ მთელ დროს.

შეძრწუნებულმა კლავდიამ თავი ასწია, აზრის მოკრებას ცდილობდა, ფერდაკარგული ტუჩებს აცმაცუნებდა, მაგრამ მისი არავის ესმოდა. მაშინ მთელი სასაფლაო შესძრა კლავდიას კივილმა:

— ხალხნო, გონს მოდით!

— ა-ა, საყვარელს ესარჩლები!

— საქონელიც გაგვიწყდა, ბავშვები დაგვეხოცა.

— ქმრის მოღალატევ, წყეულო ხიზანო!...

— ხმა ჩაიწყვიტეთ! — გაისმა ტაკვას წვრილი, ძალდატანებისაგან გაბზარული ხმა.

ამ შეყვირებამ, ხმა ჩაიწყვიტეთო, მხოლოდ პოლიციის უფროსისაგან რომ გაეგონათ, ხალხი შეაჩოჩქროვა.

ტაკვა უცებ წელში გასწორდა, ბაგეები ისე მოკუმა, ლამის ჩაულურჯდა, და ბრბოსაკენ წაიწია.

— რა მაქვს მუჭში, რა? — უტრიალებდა იგი ცხვირწინ გლეხებს და ისინიც უკან-უკან იხევდნენ, თითქო ხელში ასაფეთქებლად გამზადებული დენთი სჭეროდეს. — მე თქვენ გეკითხებით, რა არის-მეთქი? — ხმას აუწია ტაკვამ და ბავშვობაში რომ იცოდა, ისეთი ენის ბორძიკით თვითონვე უპასუხა: — მ-მიწა! თქვენ საიდან გაჩნდით? მ-მიწიდან! ტაიგა საიდან გაჩნდა? მ-მიწიდან! მაშ რატომღა ცხოვრობთ მის წიაღში ბაცაცებივით და ისე გეშინიათ მისი, როგორც მომრიგებელი მოსამართლისა!

მონადირემ სული მოითქვა, მწარე ღიმილმა გადაურბინა ნაოჭასხმულ ბაგეებზე.

— ჩაკვლა გინდათ ჩემი, ჩამარხვა? მიდით!.. მე დარდი არაფრისა მაქვს, მე მოკვდავი ვარ. ის კი, — მხარს ზემოდან ანიშნა ტაკვამ ტაიგაზე, — ის არა! — მერე თავი შავი სამარისაკენ გადააქნია. — ეს თქვენ ყველას გჯობდათ, თქვენზე მეტად ძვალმაგარი იყო, მაგრამ ტაიგამ ესეც მოსრისა! ე-ეჰ, აბა რა უნდა გითხრათ!

მუჭში ჩაბღუჯული მიწა უკანმოუხედავად ისროლა საფლავისაკენ. მიწა საფანტივით მიეშალა კუბოს სახურავს.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

თვალებდახრილი ხალხი ელოდა, კიდევ რას იტყვისო, მაგრამ ტაკვას მეტი აღარაფერი უთქვამს, არც მათი სიმძიმილის გაქარვება უცდია, არც მათი გაყოლიება, თუმცა ისინი არც გაჰყვებოდნენ. მათთვის იგი უცხო იყო, ყველასათვის უცხო, მისთვისაც უცხონი იყვნენ ისინი.

ტაიგაში! ტაიგაში უნდა წავიდეს!

მონადირემ შარვალი ჩამოიბერტყა, ხელები ზედ შეიწმინდა და წავიდა. ხალხმა უხმოდ უტია გზა. მათ იცოდნენ: იგი სამუდამოდ მიდიოდა მათგან, მაგრამ ეს მათ სულაც არ ენაღვლებოდათ. მხოლოდ შურდათ მისი, რადგან ამ კაცის წინაშე არა მხოლოდ ისინი, სიკვდილიც კი უძლური იყო.

მას შემდეგ ტაკვა სოფელში აღარ გამოჩენილა.

როცა მდინარე გაიყინა, კლავდიამ შეაბა ცხენი და იზიბაშში წავიდა მონადირის მოსანახულებლად. ლაჭანში იწვა ტაკვა; თეთრი პერანგი ეცვა, სასთუმალთან მოფენილი ხავსისა და სოჭის ტოტების სურნელი ანელებდა ხრწნადაწყებული გვამის სუნს. სანთლის ნაცვლად ხელში ბერმუხელა ეჭირა, ისეთივე, როგორსაც კლავდია ინახავდა ხატის უკან. მაგიდაზე ციურ შუქს აფრქვევდა ლურჯი ქვა, ზამთრის მზის სხივები ალმაცერად ეცემოდა, ქვაში ნაპერწკლები კვესავდა, ლაციცობდა.

ყინვისაგანაც მოუთოკავი იზიბაში დაქანებულზე მიკუნტრუშობდა. ტყე მონუსხულივით იდგა. ზემოდან თვალისმომჭრელად აბრდღვიალებული ცივი მზე ანათებდა.

თოვლი ბრწყინავდა კედრის ტოტებსა და ამ კედრის ძირას, ბორცვთან მდგარ ხის შავფერ ჯვარზე. დაობლდა ფაეფანის საფლავი, დაობლდა მონადირული ქოხი. მაგრამ ქოხში დარჩა შეშის ნაკოდლები, ჩვარში გამოკრული მარილი, ერთი კოლოფი ასანთი და თავხეზე შემოდებული გამხმარი, სურნელო-

ვანი ბერმუხელები. მიდი, კეთილო კაცო, შეაფარე თავი ყოველთვის კარღია ქოხს. იქ იყნოსავ ყვავილთა გასაოცარ სურნელს და გაიგონებ, როგორ მობლავის მთებში, როგორ უხმობს ვიღაცას დაობლებული იზიბამი!...

* *

ხალხმა არ დართო ნება მონადირე სასაფლაოზე დაემარხათ. კლავდიამ საძროხეებს იქით, იმავე ნაძვნარში დამარხა, სადაც ყირგიზი და მისი შვილიშვილი იყვნენ დასაფლავებულნი. გაზაფხულზე კლავდიამ მიიტანა და ამ ეულ გორაკზე სამად გატოტვილი კედარი დარგო. არ უნდოდა ტაკვას უკანასკნელი განსასვენებელი გადაექელა პირუტყვს მოხუცი ყირგიზისა და მისი შვილიშვილის საფლავების მსგავსად.

კედრის ნერგი ფესვმაგარი და ძლიერი აღმოჩნდა, არ დაეჩაგვრინა ბრტყელეკალას, თათაბოს, ტანი აიყარა, ტოტებით გაზიდა ხვართქლას მკავანა და ბავშვის თვალებივით უბიწო ქათქათა ყვავილები ქრისტესისხლასი.

იმ წელს, როცა კლავდიამ თავისი შვილები ქალაქში სამუშაოდ გაისტუმრა, ხოლო თვითონ ვალმოხდილივით მშვიდად მიიცვალა, ტაკვას საფლავთან მდგარ კედარს პირველად დასცვივდა თესლიანი გირჩები. მას მერე მარტო აღარ იყო იგი, გირჩებით ახმიანებენ მიწის მკერდს მარადმწვანე კედრები, ასე ბრძნულად რომ სდუმან ხოლმე საღამოობით.

□

ვასილი შუკშინი

მრწამს!

მოთხრობა

რუსულიდან თარგმნა გია ჯუმბურიძემ

•

ზანსაკუთრებით კვირა დღეს შემოაწვებოდა ხოლმე უჩვეულო ნაღველი — რაღაც შინაგანი, მწარე... მაქსიმი მთელი სხეულით შეიგრძნობდა ამ საძაგლობას — თითქოს უსუფთაო, ჯანგატეხილი დედაკაცი ხელებს უფათურებდა ტანზე და ურცხვად ეალერსებოდა, საკოცნელად ეტანებოდა.

— ა, ისევ დამიწყო!..

— ღმერთო... ჭიფხია: აქაოდა ხალხს არ ჩამოვრჩეო, დამისევდიანდა, — მასხრად იგდებდა ცოლი; მან არც იცოდა, რა იყო სევდა. — რა გაქვს სანაღვლო?

მაქსიმ იარიკოვი შავ, ბოროტად მოელვარე თვალებს მიაპყრობდა ცოლს, კბილებს აღრჭიალებდა...

— მიდი, შეიგინე — წამოიყეფე ცოტა და გაგივლის!.. კი გეხერხება ეგ საქმე.

ზოგჯერ დაძლევდა თავს, არ იგინებოდა: იქნება შევაგნებინოო ჩემი სატკივარი.

— მაინც ვერ გაიგებ და...

— ვითომ რატომაო? ამიხსენი და გავიგებ.

— აი, შენ ყველაფერი გაქვს — ხელები, ფეხები... და სხვა ორგანოები. რა ზომისა გაქვს — ეგ უკვე სხვა ამბავია, მაგრამ ყველაფერი კი, ასე ვთქვათ, თავის ადგილზეა: ფეხი აგტკივდა — გრძნობ, მოგშივდა — საჭმელს მიხედავ. აგრეა?

— მერე...

მაქსიმი წამოხტებოდა ხოლმე (ორმოცს მიღწეული კაცი იყო, ფიცხი და

ბრაზიანი — თავს იკლავდა მუშაობით, მაგრამ გემოზე დაღლას მაინც ვერ ახერხებდა), ოთახში დააბოტებდა და თვალები ავად უბრწყინავდა.

— მაგრამ ადამიანს კიდევ სული აქვს, სული! აგერ, აქ, — მტკივა! — გულში მჯიღს იცემდა მაქსიმი, — კი არ ვიგონებ, ელემენტარულად ვგრძნობ — მტკივა!

— მეტი არაფერი არ გტკივა?

— მომისმინე! — ლამის კიოდა მაქსიმი, — რაკი გაგება გინდა, მომისმინე! თუ თვითონ ხისთავა დაიბადე, ის მაინც სცადე და შეიგნე, რომ ზოგს სულიც აქვს! მე ხომ სამმანეთიანს არა გთხოვ არყის საყიდლად, მე ხომ... შტერო! — სულ აიწყვეტდა უცბად, რადგან ნათლად ხედავდა: ვერასოდეს აუხსნიდა სატკივარს ლიუდას, ვერასოდეს გაუგებდა ცოლი, ვე-რა-სო-დეს! თუნდაც დანით გამოეფატრა გულ-ღვიძლი, ამოეღო და ხელისგულზე მოთიმთიმე სული ეჩვენებინა, იტყოდა — შიგანიაო. კაცმა თქვას, თვითონაც არ სწამდა, სული მართლა ხორცის რაღაც ნაჭერი ყოფილიყო. მაშ, რაღა აზრი ჰქონდა ცარიელი სიტყვების რახარუხს, რაღას იბოღმებოდა ტყუილ-უბრალოდ? — არა, მკითხე ერთი, ყველაზე უფრო ვინ მაცოფებს, გეტყვი: ვისაც სული არ გააჩნია. ან აქვს და — ბილწი!

— ნეტა არ ქიჩმაჩობდე რაღაცას...

— მომწყდი თავიდან!

— მოიცა, აკი სული მაქვსო, რაღაზე ანჩხლობ?

— შენი ჭკუით, რა — სული ნამცხვარია თუ? აი, ამ ჩემს სულსაც რომ არ ესმის, რისთვის დავატარებ, იმიტომაც მტკივა. მე კი ბრაზი მომდის... ვნერვიულობ.

— აბა ინერვიულე და იყავი! ხალხი მიაწევს კვირა დღეს და ისვენებს კულტურულად... კინოში დაიარება. ეს კი — ნერვიულობს თურმე. ჭიფხია...

გაჩერდებოდა მაქსიმი ფანჯარასთან, კარგახნობით იდგა და იყურებოდა ქუჩაში.

ზამთარია. ყინავს. ცივ, კრიალა ცას ნაცრისფერი ბოლით ჭვარტლავს სოფელი — თბება ხალხი. ჩაივლის დედაკაცი, კადონზე ჩამოკიდებული სათლები გაუდევს მხრებზე და ორმაგ ფანჯრებშიაც კი ატანს მშრალი, მკვრივი თოვლის ჭრაჭუნი. ძაღლი ერთს კი წამოიყეფებს სულელურად და ჩაჩუმდება — სუსხავს. ყველა თავ-თავის სახლში შემალულა — ღუმელს ეფიცხება. საუბრობენ, სადილის თადარიგს იჭერენ, ახლობლებს ჭორავენ... თუ აქვთ — სვამენ კიდეც, მაგრამ არც იქაა დიდი მოლხენა.

მაქსიმი. თუ დანაღვლიანდა, კი არ ფილოსოფოსობს, არც გუნებაში თხოვს ვინმეს რამეს — მხოლოდ ყრუ ტკივილს გრძნობს და ბოღმას. ამ ბოღმასაც არავის ანთხევს თავზე: არაფრის ხალისი არა აქვს — მორჩა და გათავდა! არც ლოგინზე უძრავად გაშხლართვა სურს, არც არაყის სმა — არ უნდა ისევ ქვეყნის სამასხარაოდ გახდეს; თორემ ხშირად მომხდარა: გადაკრავდა, დათვრებოდა და იწყებდა ცოდვების მონანიებას... ისეთ რამეს დაიბრალებდა, ის და მისი მონანიების შემსწრენი მეორე დღეს თვალს ველარ უსწორებდნენ ერთმანეთს. ერთხელ ისე გამოტყვრა, მილიციაში პლაკატებით მორთულ კედელს ურახუნებდა თავს, ბღაოდა — თურმე მასა და მავანს ასანთის კოლოფისოდენა არნახული სიმძლავრის ძრავა გამოეგონებინათ და ნახაზები კი ამერიკელებისათვის გადაეცათ. მაქსიმს შეეგნო, რომ ეს ღალატია, რომ ის —

არც მეტი, არც ნაკლები — „ვლასოვია მეცნიერებაში“, იხვეწებოდა — მაგადანში ბადრაგს გამაყოლეთო, თანაც უცილობლად ფეხშიშველა აპირებდა სვლას.

— არა, ნახაზებს მაინც რაღაზე აძლევდი? — დამცინავად ეკითხებოდა, ბოლომდე „იძიებდა“ საქმეს ზემდეგი, — და საერთოდ, ვის მიეცი, თუ გახსოვს?

ამდენი უკვე აღარ ახსოვდა; იცოდა მხოლოდ, რომ ეს „ვლასოვზე უარესი“ ამბავი იყო და მწარედ მოთქვამდა...

ერთ ასეთ ყიამათ კვირა დღეს მაქსიმი ფანჯარასთან იდგა და გზას გასცქეროდა. ისევ მოკრიალებული იყო ცა და ყინავდა, ისევ ბოლავდნენ საკვამურები.

„მერედა რაო? — ბრაზიანად გაიფიქრა მაქსიმმა, — რა შეიცვალა ვითომ — საუკუნეა ერთსა და იმავეს ვხედავ და ასევე იქნება ალბათ მუდამ. აგერა, ბიჭი რომ მოდის — ვანკა მალოფეევის შვილი... მე კი თვითონ ვანკაც მახსოვს, ასევე რომ დატანტალებდა, და მეც ეგეთივე ვიყავი. მერე ამათ თვითონ ეყოლებათ ეგეთებივე. იმათ კიდევ — თავიანთი და წავა ასე... რისთვის?“

სულ მოეძმარა გული. მერე გაახსენდა, ილია ლაპშინს ცოლის ნათესავი რომ ჩამოუვიდა სტუმრად: ნამდვილი, ნატურალური წვერებიანი მღვდელი. ნანადირევ მაჩვებს უზიდავდა ილია, მღვდელს ფილტვებში სჭირდა რაღაც და მაჩვის ქონით მკურნალობდა. ფული ჩეჩქივით ჰქონდა: ის და ილია სულ სპირტის სმაში იყვნენ — მხოლოდ სპირტს გეახლებოდათ ხუცესი.

მაქსიმი ლაპშინებისას გაემართა.

მღვდელი და ილიუხა მაგიდას უსხდნენ, მასლაათობდნენ. ილიუხა უკვე კარგა მაგრად გამობრუჟულიყო, თავს ქინდრავდა და ბურდღუნებდა — შემდეგ კვირას თორმეტ მაჩვს ერთად მოგიტანო.

— მაგდენი არ მინდა, სამი მეყოფა, ოღონდ კარგი, მსუქანი.

— მე თორმეტს მოგიტან, შენ კი თვითონ აირჩიე — როგორები... მთავარია გამოჯანსაღდე. მე კი თორმეტსაც მოგიტან...

მღვდელს თავი შეაწყინა ილიუხას ბურტყუნმა, მიტომაც გაეხარდა მაქსიმის მოსვლა.

— რაო, — ჩაეკითხა.

— სული მიწუხს, — თქვა მაქსიმმა, — იმის გაგება მინდოდა: მორწმუნეებს თუ ტანჯავთ სული?

— სპირტი არ გინდა?

— ისე არ იფიქრო, თითქოსდა სწორედ მაგისთვის მოვსულიყავი. საქმე საქმეზე თუ მიდგა, დავლევ კიდეც, მაგრამ მაგისთვის არ მოვსულვარ. ერთი ეს მითხარი, შენ თუ გტკივა ხოლმე სული?

მღვდელმა ჭიქებში ჩამოასხა სპირტი და წყლიანი გრაფინი მაქსიმს მიუჩოჩა.

— შენს გემოზე გააზავე.

მღვდელი სამოცს მიღწეული მოსული კაცი გახლდათ, ბეჭებგანიერი და ძვალმსხვილი. ვერც დაიჯერებდით, თუ ფილტვები ჰქონდა სუსტი. დაწმენდილი, ჭკვიანური თვალებიდან დაყინებით და, ცოტა არ იყოს, თავხედურადაც კი იმზირებოდა. იტყოდით, ამან რა საცეცხლური უნდა იქნიოს — საცა წესია,

ალიმენტებს უნდა გაურბოდესო. მემარხულე ღვთის კაცისაც რომ არაფერი ეცხო — აბა, რა ასეთი დრუნჩას საქმე იყო კაცთა ცოდვა-ბრალის — ამ ცოცხალი, მთრთოლვარე გორგალის გამოხსნა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშ, სულიო?

— კი.

— კეთილი. — მღვდელმა სასმელი გადაკრა და გახამებული სუფრის კიდით შეიმშრალა ტუჩები, — შორით მოვყვეთ, შვილო ჩემო, ყურადღებით მისმინე და ნუკი შემაწყვეტინებ. — მიეყრდნო სკამის საზურგეს, ერთობ ნაამებმა წვერებზე ჩამოისვა ხელი და ალაპარაკდა — ეტყობა, სულს ანაცვალებდა დინჯ სჯა-ბაასს.

— რაჟამს გაჩნდა ადამის მოდგმა, იშვა ბოროტიც. იშვა ბოროტი და გაჩნდა კიდეც მისი წინააღდგომის სურვილი — გაჩნდა სიკეთე. ასე რომ, სიკეთე გაჩნდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც იშვა ბოროტი. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ არის ბოროტება — არის სიკეთე, არ არის ბოროტება — არ იქნება სიკეთეც. გამიგე?

— მაშ, მაშ...

— ნუ მაშურებ, ჯერ არ გამირეკავს... განა რა არის ქრისტე? ესაა ხორცშესხმული სიკეთე, დედამიწაზე ბოროტის მოსასპობად მოწოდებული. ორი ათასი წელია იდეის სახით სახლობს იგი მოკვდავთა შორის — ებრძვის ბოროტს. ორი ათასი წელია ქრისტეს სახელით ითრგუნება ბოროტება დედამიწაზე, სასრული კი არ ჩანს... ნუ მაბოლებ, თუ შეიძლებოდეს. ან არადა, აგერ, საკომლესთან მიდი და იქ აფუილე.

მაქსიმმა ჩექმის ძირს მიაქრო ნამწვი და კვლავ დიდის ყურადღებით მიაჩერდა მღვდელს.

— ფილტვები როგორა გაქვს? — ზრდილობისათვის იკითხა.

— მტკივა, — მოკლედ და უხალისოდ ამცნო მღვდელმა.

— მერე, გშველის მაჩვის ქონი...

— მშველის. ახლა განვაგრძოთ, შვილო ჩემო ნათრევო...

— რაო? — თვალები ჭყიტა მაქსიმმა.

— ხომ გთხოვე, არ შემაწყვეტინო-მეთქი!

— მე ფილტვებზე გკითხე...

— შენ მკითხე: რატომ ტანჯავს კაცს სული. მე ვცდილობ მარტივად და მისახვედრად აგიხსნა სამყაროს ანაბანა, რათა სულმა შენმა სიმშვიდე ჰპოვოს. მაშ, მისმინე და ჩასწვდი: ბოროტის დათრგუნვის სურვილისაგან წარმოიშვა ქრისტეს იდეა. მაგრამ თუ კეთილმა სძლია ბოროტს და გაიმარჯვა ქრისტემ, მაშინ რაღა საჭიროა სახელი მისი და იდეა? აღარაფრად. ესე იგი, ესაა არა რაღაც სამარადისო, წარუვალი რამ, არამედ დროებითი საშუალება, ვითარცა პროლეტარიატის დიქტატურა... მე კი მსურს ვიწამო მარადისობა, მარადი ძალა და მარადი სუფევა — რომელი მოვალს!

— კომუნიზმი თუ?

— რა — კომუნიზმი...

— კომუნიზმი გწამს?

— ეგ ჩემთვის დაუშვებელია — ისევ მაწყვეტინებ!

— მორჩა, აწი ხმას არ გავიღებ. ოღონდ ისა... ცოტა გასაგებად ილაპარაკე და ნუ ჩქარობ.

— ნათლად გეუბნები: მინდა ვირწმუნო მარადი სიკეთე, მარადი სამართალი, მარადი ზეგარდმო ძალა, რამაც ყველაფერი ეს წამოიწყო დედამიწაზე. მინდა შევიცნო ეს ძალა და ვირწმუნო, რომ იგი გაიმარჯვებს. თუ არადა — რიღასთვისაა ეს ყოველივე?... ჰა? და სადაა ასეთი ძალა? — მღვდელი კითხვის თვალით მიაჩერდა მაქსიმს, — არსებობს კია?

მაქსიმმა მხრები აიჩეჩა.

— არ ვიცი.

— არც მე ვიცი.

— ა, სეირი თუ გინდა, ესაა...

— არი და რა ვქნა!.. არსად მეგულება-მეთქი ასეთი რამ. იქნებ მე — ადამიანს არც ძალმიძს მისი ხილვა, მისი შეცნობა. მაშინ მე აღარც არაფერი მესმის დედამიწაზე ჩემი არსებობისა — აი, ამას ვგრძნობ და შენც, შენი მტკივანი სულით, სწორი მისამართი შეგირჩევია: მეც ვწუხვარ და ვიტანჯები. ოღონდაც შენ მზამზარეული პასუხისათვის მოსულხარ, მე კი ჩემით ვცდილობ ბოლომდე ჩავეძიო. არადა, ეს ოკეანეა, ჭიქებით მას ვერ ამოვაშრობთ... და როცა ვყლაპავთ ამ საზიზღრობას, — მღვდელმა გადაკრა სპირტი, კვლავაც სუფრის კიდით შეიმშრალა ტუჩები, — ამით გვსურს ამოვხაპოთ ოკეანე, იმედი გვაქვს ვიხილოთ ფსკერი. მაგრამ — ჭიქებით, ჭიქებით, შვილო ჩემო! წრე შეიკრა — ჩვენ განწირულნი ვართ.

— მაპატიე და... ერთი რაღაც უნდა გკითხო, შეიძლება?

— აბა ჰე.

— შენ რაღაც, ისა... უცნაური მღვდელი ხარ. განა შენისთანებიც არიან?

— მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური არ მეუცხოება — თქვა ერთმა სახელმოხვეჭილმა უღმერთომ და სწორიცა თქვა.

— ესე იგი, თუ სწორად გაგიგე, ღმერთი არ არსებობს?

— აგერ გითხარი, არა-მეთქი. ახლა კი გეტყვი — დიახაც არსებობს! აბა ერთი, შვილო ჩემო, ჩამომისხი სპირტი, ოცდახუთი პროცენტი წყლით განმიზავე და აქეთ მომეცი. შენთვისაც, შენთვისაც დაისხი, შვილო ჩემო, უმანკო სულო, და ვიხილოთ ფსკერი! — მღვდელმა დალია, — ახლა კი გეტყვი: ღმერთი არსებობს, და სახელი მისი სიცოცხლეა. აი, ამ ღმერთსა ვცემ თაყვანს. ეს ღვთაება მკაცრია და ძალმოსილი; იგი თანაბრად გვთავაზობს კეთილსა და ბოროტს — ეგაა სწორედ სამოთხე. რაზე დავიჯინეთ ვითომ, საბოლოოდ კეთილმა უნდა სძლიოსო ბოროტს? რისთვის?! მე, მაგალითად, თავისთავად მაინტერესებს ის ამბავი, რომ შენ ჭეშმარიტების შესაცნობად კი არ მოსულხარ ჩემთან — სპირტი მოგინდა. და მიზიხარ აქ, თვალებს ბლიტავ, თითქოსდა ძაან გაინტერესებდეს ჩემი ნაუბარი...

მაქსიმი სკამზე აწრიალდა.

— არანაკლებ მწადია იმის გაგებაც, რომ შენ მაინც ჭეშმარიტებას ეძიებ და არა სპირტს; და ბოლოს და ბოლოს ყველაზე მეტად ის მინდა გავარკვიო, რომელი საზრისია სწორი: სულიერმა ტანჯვამ მოგიყვანა აქ, თუ სპირტის წყურვილმა? ხომ ხედავ, მე თვითონ ვცდილობ ჩავხვდე რაღაცას, განათუ უბრალოდ შეგიცოდო პაწია ობოლი... ამიტომაც, ჩემი ღვთაებისდა კვალად, გიცხადებ: ჭია შეგიჩნდა სულში? კარგია, ძალიანაც კარგი! შენ ხომ ძარღვი მაინც შეგიტოკდა, შენი გამჩენიც!.. თორემ სულმშვიდს აბა გვერდს ვინ შეგაცვლევინებდა ღუმელზე. უნდა ცოცხლობდე, შვილო ჩემო — ტიროდე,

დავლურს უვლიდე! და ნუ შიშობ, იმქვეყნად გავარვარებულ ტაფებს მალოკინებენო, რადგან აქ, ამ ძიწაზე მიისთვლი ერთიანად სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის ყველა სიკეთეს! — ხმამაღლა ამბობდა მღვდელი, სახე წამონთებოდა, ოფლად გაღვრილიყო, — მოსულხარ რწმენის საძიებლად? კარგი გიქნია: მორწმუნეთ მართლაც არ სტანჯავთ სული. რა ირწმუნო? ცხოვრება ირწმუნე! არ ვიცი, რა ბოლო ექნება ყველაფერ ამას; საით მიექანება ყველაფერი, არც ის ვიცი, მაგრამ აი, ასეთი რბოლა კი ძალიანაც მომწონს: მივდევ სხვებს და ზოგიერთი, თუ გამიმართლა, იქნებ უკანაც მოვიტოვო... ბოროტიო? მერედა რა! ამ მშვენიერ შეჯიბრში ყველაფერი მოდის — თუ ვინმე მიხიმანკებს და კვანტს გამომდებს, ავდგები და ვთხლიშავ სიფათში. არავითარი „მიაპყარ მაოჯვენა“ — ზედ სიფათში ვწეპავ, მორჩა და გათავდა!

— თუ იმას უფრო მძიმე მუშტი აქვს?

— ასეთი ყოფილა ბედი ჩვენი — მას უნდა ვსდიოთ კუდში.

— სადამდე ვდიოთ?

— ჯანდაბამდე და დოზანამდე. სულ ერთი არაა შენთვის, სადამდე? მაინც ყველა ერთ გზას ვადგივართ — კეთილიცა და ბოროტიც.

— რაღაც ვერ ვატყობ, საითმე მივეშურებოდე.

— ჩანს, მუხლებში მოისუსტებ — ასე ერთ ადგილზე დგომა და წუწუნი დაგბედებია.

მაქსიმმა კრიჭა შეიკრა... ბოროტი, ანთებული მზერით დააშტერდა ხუცესს.

— რაღა მე მერგო ასეთი ბედი?

— სუსტი ხარ, სუსტი... მოხარშულ წიწილასავით. თვალებს ნუ მიბრიალებ.

— ანაფორიანო!.. ახლა ერთი რომ გტყვლიპო კისერში, რაღას იზამ?

მღვდელმა, თითქოს არც არასდროს სტკივებიაო ფილტვები, მთელი ხმით გადაიხარხარა.

— ამას შეხედე, — და უზარმაზარი მუშტი დაუტრიალა ცხვირწინ, — მოხდება ბუნებრივი შერჩევა და მორჩა...

— მე კიდე თოფს მოვიტან.

— ჰოდა, კიდეც დაგხვრეტენ. ეს შენც იცი და არავითარ თოფს არ მოიტან, რამეთუ სუსტი ხარ!

— კარგი, მაშ შენ თვითონ რაღაზე გტანჯავს სული?

— მე ავად ვარ, ჩემო კარგო. მე გზის მხოლოდ ნახევარი გავირბინე და უკვე მოვიკოჭლებ. თვითმფრინავით თუ გიფრენია? — ჰკითხა ეცებ.

— კი, ბევრჯერ.

— აი, მე კი აქეთობას პირველად ვიჯექი. საოცარი რამეა! ვამბობდი, ეს მფრინავი კიდობანი რომ აყირავდეს და ცხვირით ჩაერჭოს მიწაში, ჩანს, ასეთი ბედი მქონია — არც შევშინდები და არც არაფერს დავინანებ-მეთქი. მთელი გზა მშვენივრად ვიყავი. როცა ამიტაცა და წამიღო, ხელითაც კი მოვეფერე: შევაქე ჩემი ჭკუით... თვითმფრინავი მწამს. საერთოდ, ამქვეყნად არც ისე ცოტაა სამართალი. რომ ნანობენ — ესენინმა ცოტა იცხოვრაო, მე თუ მკითხავ, სავსებით საკმარისი — ზუსტად ერთი დამღერება იცხოვრა. უფრო გრძელი რომ ყოფილიყო ეს სიმღერა, ალარც იქნებოდა ასე მწველი და სევდიანი. რის მაქნისია გრძელი სიმღერა!

— თქვენთან, ეკლესიებში კი... რომ გააბამენ...

— ის სიმღერა არაა — ის მოთქმაა, კვნესა. ესენინი... არა, სწორედ ერთი სიმღერისაა მისი სიცოცხლე. გიყვარს ესენინი?

— კი.

— ვიმღეროთ?

— მე არ ვიცი...

— ცოტაზე ამყევი, ოღონდ ხელს კი ნუ შემიშლი.

და გაძრცვილი ნეკერჩხლისა დაიგუგუნა მღვდელმა... თან როგორღაც ისე ჭკვიანურად, ისე ნაღვლიანად აბუბუნდა, გული შეგეკუმშებოდა მის გამგონეს. რომ ჩაათავა „ეჰ, ძველებურად ფესვმაგარი ველარ ვარ ახლაო“, უეცრად მაგიდის პირს დასცხო მუშტი და ტირილი აუვარდა.

— კარგო, საყვარელო!.. გლეხკაცი რომ გიყვარდა!.. გებრალებოდა! საყვარელო!.. მე კი შენ მიყვარხარ. სამართლიანია? სამართლიანია. გვიანია? გვიანია...

მაქსიმი გრძნობდა, რომ ნელ-ნელა თვითონაც მოერია მღვდლის სიყვარული.

— მამაო! მისმინე, მამაო!

— მომეცალე! მუხლებში წყალი გიდგას!..

— შე... შენისთანებს პირველსავე კილომეტრზე ღდინს გავაცლი! მუხლებშიო... ჭლექო!

— ილოცე! — წამოიმართა ხუცესი, — იმეორე...

— მომწყდი თავიდან!

მღვდელმა სულ იოლად, ცალი ხელით დაითრია მაქსიმი და გვერდით ამოიყენა.

— იმეორე-მეთქი: მრწამს!..

— მწამს! — ამოიხავლა მაქსიმმა.

— ხმამაღლა! საზეიმოდ: მრწა-ამს! აბა: მრწა-ამს!

— მრწა-ა-ამს! — აბუბუნდნენ ერთხმად.

მერე მღვდელმა ჩვეული სხაპასხუპით მიაყარა:

— ავიაცია, ქიმიზაცია, სოფლის მეურნეობა, მექანიზაცია, კოსმოსი და უწონადობა-ა-ა! რამეთუ ეს ობიექტურია-ა!.. აბა, მომყე!

და მორთეს ბღავილი:

— მრწამს, რომ მალე ყოველი ერთად დაუტევებს ქალაქს და მიაშურებს ველსა ფართოსა-ა!..

— მრწა-ა-ამს!

— მაჩვის ქონი, ხარის რქა, აყუდებული ხელნა-ა! ძვალი და რბილი ხორციელი-ი!..

...ილიუხა ლაპშინმა თვალები მოიფშვნიტა და რას ხედავს: ვეება მღვდელი თავგამოდებით ბუქნავდა, ხელისგულებს გვერდებსა და მკერდზე იტყაპუნებდა და ღრიალებდა:

— ე-ჰაა! მრწამს, მრწამს!
ჰოპა, ჰოპა — ერთი, ორი!
მრწამს, მრწამს! სამი, ოთხი!..

მის გარშემო კი დოინჯშემოყრილი მაქსიმი დაცუნცულებდა და წვრილი ხმით, ქალივით გაჰკიოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უ-ჰაა, უ-ჰაა! ერთი, ორი!
მრწამს, მრწამს, სამი, ოთხი!

— მომყევი! — ჟამიჟამ შეიძახებდა ხოლმე მღვდელი.

მაქსიმიც კვალში ჩაუდგებოდა და ორივენი დავლურს უვლიდნენ მაგიდის გარშემო. მერმე მღვდელი კვლავ მოყვებოდა ბუქნაობას და ისე შეხტებოდა, თითქოს გაყინულ მდინარეში აპირებდა გადაშვებას... სიმწრის კვნესა გაჰქონდა იატაკს.

— ე-ეჰ! მრწამს, მრწამს!
ერთი, ორი, სამი, ოთხი!
მრწამს, მრწამს!
სადაც ენკი, იქაც ბენკი —
მრწამს, მრწამს!
ჰო-ჰაა! ჰო-ჰაა!
მრწამს, მრწამს!

ორივენი — მღვდელიცა და მაქსიმიც ისე გამწარებით, ისეთი სიშმაგით ცეკვავდნენ, რომ უცნაური აღარც კი ჩანდა მათი ქცევა — ასეთ დროს ან მართლა როკვას უნდა მოყვეს კაცი, ან არადა პერანგი შემოიხიოს ტანზე, იტიროს და კბილები აღრჭიალოს...

ილიუხამ ჯერ უყურა, უყურა და მერე თვითონაც აჰყვა — აკუნტრუშდა და წვრილი ხმით შეუკივლა: „იჰ-ჰაა! იჰ-ჰაა!“

მღვდელს უკვე ხვითქი გადასდიოდა: ძალოვან, დაბურცულ კუნთებზე ლამის ასკდებოდა სველი პერანგი. ადრე, ალბათ დაღლა არც ეკარებოდა და ავადობასაც ჯერ ვერ დაეხრა მისი ძარღვმაგარი სხეული. არც მოტყდება აგრე ადვილად — მანამდე, ვინძლო მთელი სამაჩვეთი შესანსლოს... და თუ ვინმემ ურჩია, იმასაც იტყვის, რაც შეიძლება მსუქანი მგელი მომიტანეთო და იმ მგელსაც გაკრავს კბილს — ასეთ კაცს ოღლად ვერ დაათმობინებ წუთისოფელს...

— მომყევით! — გაისმა კვლავ და მძვინვარე, გათაკარებული ხუცესის მოთავეობით ისევ დაუარეს დავლური. მერმე რაღაც ვეება, მძლავრი მხეცივით ისკუპა მღვდელმა შუაწრეში — გაზნიქა იატაკი... მაგიდაზე თეფშებსა და ჭიქებს ჟღრიალი გაუდიოდა.

— ე-ეჰ! მრწამს, მრწამს!..

□

რუმინული პოეზიის ანთოლოგიიდან

ლექსები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარგმნა ოთარ შალამბერიძემ

ლუჩიან ბლაგა

სამსახეოგა

იცინის ბავშვი:
„მისი გონებაც და სიყვარულიც —
არის თამაში!“

მღერის ჭაბუკი:
„მისი თამაშიც და გონებაც —
სიყვარულია!“

დუმს ბერიკაცი:
„სიყვარულიც და თამაშიც მისი —
არის გონება!“

ჯეო ბოგზა

არჩევანი

სიკვდილო!
მე შენკენ მოვრბივარ
გაშლილი ხელებით,
რომ არ დამეწიოს
ზურგიდან სიბერე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაროლინა ილიკა

პოეტი

დემონი იგი მარტოობისა
ფრთებშეკვეცილი ჩემთან ცხადდება.
მორჩილად დახრის დაბლა ქუთუთოს
და მეკითხება, როგორც ხატებას:

მაინც ვინა ხარ? — რომ მაგ სიმღერით
თვითონ დემონის გარდაქმნას ჩემობ?!
დღემდის არ ვიცი, რა ვუპასუხო,
ველარ ვალირსე პასუხი დემონს!

იონ პილატი

სექტემგერი

ნეტა ვინ ხაზავს
ყარყატების სამკუთხედს ცაზე?
გულში ყინულის მახვილივით
ვინ ასობს წარსულს?
შემოდგომა და მოგონება —
ციური დები
ერთად მოდიან. მე სხვა სტუმარს
არც ველი, არც მსურს.

ამაოდ ვფიქრობ, —
იზრდებოდეს დროც წლებთან ერთად
შემოდგომაზე
მე წარსულში ვბრუნდები ჩუმად;
როცა ჭიშკართან
ხილით სავსე კალათას ხედავს,
ჩემი ბავშვობაც
მიცუნცულებს ჭიშკრისკენ უმალ.

□